საქართველოს და ქართველ ხალხს ვულოცავთ საპარლამენტო არჩევნებში `qar Tu l i ocnebis~ გამარჯვებას!



# საერთო გაზეთი

№42 (226) ● 3-9.X.2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



## ბიძინა ივანიშვილი:

„მე მადლობა მინდა გადაგიხადოთ ყველას, ყველაზე დიდ ძალას, ქართველ ხალხს. ვინც აჩვენა, როგორი კულტურული ერი ვართ ჩვენ. თქვენ დაამტკიცეთ, რომ ვიმსახურებთ ღირსეულ მომავალს. თქვენ იმსახურებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს; თქვენ იმსახურებთ ჩადგეთ განვითარებული ევროპის ქვეყნების რიგში და ღირსეული ადგილი დაიჭიროთ. ასეთ ქვეყანას გპირდებით ჩვენ, ამისთვის მოდის ჩვენი გუნდი.“

„დღეს საქართველოს ისტორიაში პირველად ქართველმა ხალხმა მოახერხა არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა. ეს ძალიან დიდი მოვლენაა და ოქროს ასოებით ჩაიწერება. “

„საქართველოს ისტორიაში პირველად, ქართველი ხალხი ჭეშმარიტად დემოკრატიულ არჩევანს გააკეთებს. ჩვენ დღეს დემოკრატიული არჩევნების გზით, პირველად ჩავანაცვლებთ ახლანდელ ხელისუფლებას...“

„ვიზეიმოთ, ვიმღეროთ, მაგრამ არცერთ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს დაპირისპირება, ყველანი ჩვენი ძმები არიან, იცოდეთ!  ვინც ხუთიანი შემოხაზა, ისინიც ჩვენი ძმები არიან. არავინ დააზიანოთ, არ დაუპირისპირდეთ. ყველანი ერთად დავდგეთ და გავაძლიეროთ ჩვენი სამშობლო.“



ISSN 2233-3983
9 772233 398001



# movuwodebT qarTvel xalxs, gamarjvebis eiforias ar ahyves da sifxizle ar moadunos _ mTavari omi saqarTvelos dasabruneblad axla iwyeba!

**1 ოქტომბერი საქართველოს გადარჩენის დღეა!**

**1 ოქტომბერი საქართელოს გამარჯვების დღეა!**

**ეს დღე ბიძინა ივანიშვილმა და ქართველმა ხალხმა ერთად გამოჭედეს.**

**დიდება დიდ ქართველ ხალხს, რომელმაც ოთხწლიანი შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ მიზანს მიაღწია და მოძალადე ხელისუფლებას საკადრისი პასუხი გასცა.**

1 ოქტომბერი საქართველოს გამარჯვების დღეა, მაგრამ ეს არ არის საბოლოო გამარჯვება.

**დიდი ომი საქართელოს დასაბრუნებლად ახლა უნდა დაიწყოს.**

ქართული სახელმწიფოს მშენებლობა თავიდან არის დასაწყები.

ქართული სახელმწიფო ამ ე.წ. ხელისფლების მიერ შიგნიდან არის გამოღრღნილი და გამოხრული.

ხელისუფლებად წოდებულმა ამ კრიმინალურმა ბანდამ ყველაფერი გაყიდა, გაასხვისა, მიიტაცა, მიითთვისა.

გაყიდული და გასხვისებულია ქართული მიწები, ტყეები, მდინარეები, ტბები, სავარგულები, საძოვრები, წიაღისეული სიმდიდრეები, სტრატეგიული თუ არასტრატეგიული ობიექტები.

**მთელი ქვეყანა გაყიდეს ამ გამყიდველებმა და ეს გაყიდული ქვეყანა ახლა უკან არის დასაბრუნებელი.**

**ძალიან ძნელია ამის გაკეთება, ურთულესი ამბავია ეს, მაგრამ თუ ეს არ გაკეთდა, 1 ოქტომბრის გამარჯვება აზრს დაკარგავს.**

**დაუყოვნებლივ გასათავისუფლებელია** ამ ხელისუფლების მიერ მძევლებად და ტყვეებად აყვანილი ადამიანები, რომლებსაც ცივილიზებული სიტყვა პატიმრები ჰქვიათ, თუმცა სინამდვილეში ეს ადამიანები სააკაშვილის რეჟიმის ტყვეები არიან.

**თავისი ქონება უნდა დაუბრუნდეს** ამ ხელისუფლების მიერ დაყაჩაღებულ და გაძარცვულ მოქალაქეებს:

**თავისი ადგილი უნდა მიეჩინოს** (რა თქმა უნდა, ციხეში) ბიზნესმენებად წოდებულ ყაჩაღებს, რომლებიც ხელისუფლებასთან მჭიდრო კავშირის და მასთან გარიგების წყალობით ურცხვად და უტიფრად ეპატრონებოდნენ სხვათა უძრავ-მოძრავ ქონებას.

**დაუყოვნებლივ უნდა გადაიხედოს,** დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს ადამიანთა მასობრივი დათრგუნვის, მასობრივი რეპრესიების მექანიზმად ქცეული ანტიჰუმანური, ანტიადამიანური კანონები თავისი შეკრებითობის პრინციპით, თავისი უსასტიკესი და ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული „სამართლებრივი“ ნორმებით.

**დაუყოვნებლივ უნდა დადგეს** სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იმ მოსამართლეების, იმ პროკურორების მიმართ, რომლებიც სამართლისა და სამართლიანობის მსახურების ნაცვლად უსამართლობას ემსახურებოდნენ და არაფრად უღირდათ ადამიანების ბედი.

**სააკაშვილმა და მისმა გუნდმა წარმოუდგენელი, ერთი შეხედვით დაუჯერებელი მზაკვრობა ჩაიფიქრეს და დაგეგმეს — ძალაუფლების მარადიულად შენარჩუნების მიზნით ქართველი ხალხის ეთნიკურ უმცირესობამდე დაყვანა და უცხო ქვეყნებიდან „მოზიდული“ მასის ხარჯზე ადგილობრივი მოსახლეობის გამოცვლა და ემიგრანტებით ჩანაცვლება გადაწყვიტეს.**

ამ გეგმის განსახორციელებლად ხელისუფლებამ პირველი სერიოზული ნაბიჯები რამდენიმე წლის წინათ გადადგა და გარკვეულ „წარმატებებსაც“ მიაღწია.

ამ ანტისახელმწიფოებრივი, ანტიქართული გეგმის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო ქართული სოფლის მიზანმიმართული ნგრევა და აოხრება, რის შედეგადაც შიდა მიგრანტთა რიცხვმა ნახევარ მილიონს გადააჭარბა.

საქართველოდან ქართველი ხალხის გაძევების და საქართველოს „ყივჩაღიზაციის“ პროექტის შეჩერება მომავალი ხელისუფლების უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს.

კიდევ უამრავი საკითხი, უამრავი უმწვავესი პრობლემაა გადასაწყვეტი და მოსაგვარებელი.

**ქართული სახელმწიფო დღეს იმ სახლს ჰგავს, სადაც ბანდიტები შეიჭრნენ, ყველაფერი გადააბრუნეს და გადააქოთეს, ყველაფერი არივ-დარიეს და თავდაყირა დააყენეს.**

**დღეს ეს სახლი თავიდან არის დასალაგებელი და დასასუფთავებელი...**

და ბოლოს: გვინდა ქართველ ხალხს მოვუწოდოთ, გამარჯვების ეიფორიას არ აჰყვეს და სიფხიზლე არ მოადუნოს.

**მთავარი ომი საქართველოს დასაბრუნებლად წინ არის,** ხოლო ძალა, რომელიც შეეცდება ქართველ ხალხს ყველანაირად შეუშალოს ხელი ამ მიზნის მისაღწევად, ძალზე სახიფათო, ძალზე სასტიკი და დაუნდობელი ძალაა.

ჯერჯერობით ამ ძალას ემორჩილება პოლიცია, სპეცრაზმები, ზონდერბრიგადები, ჯარი, პროკურატურა, სასამართლო.

ეს ძალა აუცილებლად შეეცდება რევანში აიღოს...

**ფხიზლად იყავით, ქართველებო!**

**მედგრად იყავით, ქართველებო!**

**ერთად იყავით, ქართველებო!**

**„საერთო გაზეთის“ რედაქცია**



## „ბოროტსა სძლია კეთილმან..“



მინდა, მივულოცო ქართველ ხალხს ეს ბრწყინვალე გამარჯვება!

მინდა, მივულოცო მთელ საქართველოს!

მინდა, მივულოცო ყველას, ვინც ამ ტირანულ-სადისტურ-მანიაკალურ, კაცთმოძულე ხელისუფლებას ებრძოდა წლების განმავლობაში... ვინც არ გაიყიდა, არ დახურდავდა, ვინც წამების, დამცირების, შეურაცხყოფის, დაპატიმრების მიუხედავად შეინარჩუნა რწმენა, ბრძოლის ჟინი და ღირსება!

მინდა, მივულოცო ამ გამარჯვების სულიჩამდგმელს, უფლისგან მოვლენილ, ღირსეულ მამულიშვილს **ბიძინა ივანიშვილს**, ვინც ერთ მუშტად შეკრა ქართველი ერი, ამერ-იმერი და გამარჯვებამდე მიიყვანა დაწყებული ბრძოლა...

მინდა, მივულოცო თქვენს გაზეთს და მის რედაქტორს, ვახტანგ ხარჩილავას, რომელიც თავისი წერილებით, ლექსებით ამხელდა და აშიშვლებდა სააკაშვილს და მის სატანისტურ ბანდას!..

მინდა, მივულოცო შესანიშნავ გაზეთ „ასავალ-დასავალს“, მის რედაქტორს, ლაშა ნადარეიშვილს, მე-9 არხს, „ინფო-9“-ს „მაესტროს“, „კავკასიას“ და ყველა ჟურნალისტს, მწერალს, ვინც ნიღაბი ჩამოხადა ქვეყნის და ხალხის მოძულე, მოღალატე ხელისუფლებას!..

მინდა, მოგილოცოთ ყველას, ვინც ჩვენი სამშობლოს, ჩვენი მომავლის გადარჩენისათვის იბრძოდით!..

ღმერთი ჰფარავდეს საქართველოს!.. „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!..“

**ბადათერ არაბული,**
პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# gmirobis 359 dRe





**გასული წლის 7 ოქტომბრის შემდეგ, ანუ მას მერე, რაც ბიძინა ივანიშვილი ქართულ პოლიტიკაში შემოვიდა, 359 დღე გავიდა და თითოეული ეს დღე თავგანწირვის, თავდადების, შეუპოვრობის, გაუტეხლობის საოცარი მაგალითია.**

ბიძინა ივანიშვილის მიერ ამ ერთი წლის განმავლობაში გავლილი თითო დღე თითო გმირობაა. დაწყებული პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილებიდან და დამთავრებული 1 ოქტომბრით.

ქართულ სინამდვილეში პიროვნების ასეთი სტოიციზმის, ხასიათის ასეთი სიმტკიცის მაგალითები ძალიან ცოტა ვიცით.

**რამდენი ფული დახარჯა მან ამას კი ნუ ითვლიან და ანგარიშობენ ზოგზოგნი, ის დაითვალონ, რამდენი ენერგია დახარჯა ამ კაცმა, რომ მთელი საქართველო შემოევლო და ყველგან და ყველასთან მისულიყო?**

ისიც გასაკვირია, საიდან უნდა ჰქონოდა ამ კაფანდარა კაცს ამდენი სულიერი და ფიზიკური ენერგია, რომ ყველაფერს გასწვდა და ყველას უწილადა ამ ენერგიის თითო მისხალი.

მხოლოდ დიდ სიყვარულს, განუზომლად დიდ სიყვარულს შეუძლია შვას ასეთი უშრეტი ენერგია.

განუზომლად დიდ სიყვარულს და კიდევ პასუხისმგებლობის გრძნობას.

**სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულმა და სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობამ შეაძლებინა ამ კაცს ამ ერთი წლის განმავლობაში უდრტვინველად ეზიდა ეს უმძიმესი ტვირთი.**

ბევრი ვერ გაუძლებდა ამ ტვირთის სიმძიმეს, გატყდებოდა, წელში გაიდრიკებოდა და დანებდებოდა, მაგრამ მან გაუძლო — გაუძლო დაუმსახურებულ შეურაცხყოფებს, ბინძურ ცილისწამებებს, ქირქილს, სულმდაბალთა სულმდაბლურ გამოხტომებს, ხეპრეების ხეპრობას, ცინიკოსთა ცინიზმს და ფინიშამდე მივიდა.

**ბევრი სკეპტიკურად უყურებდა მის გაპოლიტიკოსებას, მაგრამ მან სასწაული მოახდინა და დროის მცირე მონაკვეთში ბრწყინვალე პოლიტიკოსად მოგვევლინა.**

ბიძინა ივანიშვილი, როგორც პოლიტიკოსი, ჩვენს თვალწინ დაიბადა და გამოიძერწა.

ის იზრდებოდა და იხვეწებოდა ყოველდღე, იხვეწებოდა აქციიდან აქციამდე, შეხვედრიდან შეხვედრამდე.

ის ჩვენს თვალწინ ხელახლა ქმნიდა საკუთარ თავს და როცა ეს ურთულესი პროცესი დასრულდა, ჩვენს წინაშე წარმოსდგა შესანიშნავი პოლიტიკოსი, ჩინებული ორატორული ნიჭით დაჯილდოებული პოლიტიკოსისთვის საჭირო ყველა თვისებით შემკული და აღჭურვილი.

7-8 წლის წინათ მისთვის რომ ეთქვათ, ძალიან კარგი პოლიტიკოსი და ძალიან კარგი ორატორი იქნებითო, შეიძლება მასაც არ დაეჯერებინა ეს.

დიდმა სიყვარულმა და დიდმა პასუხისმგებლობამ მას შეუძლებელი შეაძლებინა...

ბიძინა ივანიშვილი მრავალათასიან მიტინგებზე გამოსვლისას ხშირად ჩაურთავს ხოლმე შეძახილს — გაუ-მაარ-ჯოს!

ის ხვდება, რომ კარგად გამოსდის ეს და ბავშვივით უხარია ხოლმე.

* * *

არავის დამცირებას არ ვაპირებ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური გუნდიდან, არც მათი ღვაწლის და შრომის დაკნინებას ვაპირებ, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვა: — მან, ერთმა კაცმა, ერთმა პიროვნებამ გააკეთა ის, რაც გაკეთდა.

ერთმა კაცმა და კიდევ ქართველმა ხალხმა.

**ორად ორი სუბიექტი, ორად ორი იურიდიული პირი ჰყავს ამ ერთწლიან უმძიმეს პოლიტიკურ მარათონს — ბიძინა ივანიშვილი და ქართველი ხალხი.**

ამ ორმა სუბიექტმა ერთმანეთს ღირსეული პარტნიორობა გაუწიეს — მათ ბოლომდე სჯეროდათ ერთმანეთის, მათ უსიტყვოდ ესმოდათ ერთმანეთის, მათ სწამდათ ერთმანეთის.

**1 ოქტომბრის არჩევნები დამთავრდა, მაგრამ ბრძოლა საქართველოსთვის არ დამთავრებულა და, დარწმუნებული ვართ, ეს ორი სუბიექტი — ქართველი ხალხი და ბიძინა ივანიშვილი ამ ბრძოლას გამარჯვებით დააგვირგვინებს.**

**ვახტანგ ხარჩილავა**

**P.S.** 359 გმირობის 359 დღე დამთავრდა. წინ გმირობის და თავდადების მრავალი 359 დღე გველოდება...













# biZina ivaniSvilis gamosvla mxardamWerebTan



**ბიძინა ივანიშვილი:**

გაიმარჯვა ქართველმა ხალხმა! მინდა მივულოცო მას ეს გამარჯვება. დიდი მადლობა მინდა გადავუხდო ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენს გუნდთან ერთად შრომობდა და იღწვოდა ამ დიდი გამარჯვებისათვის. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა ჩემს მხრდამჭერს, ვინც მოახერხა დღეს და წინა დღეებში დამდგარიყო სამშობლოს მომავლისათვის, ქვეყნის განვითარებისათვის მიიღო ეს დიდი გადაწყვეტილება. ყველამ კარგად ვიცოდით, სად იყო საქართველო, რა იყო რეალობა, ეს არ იყო იოლი, მაგრამ იმიტომ რომ ჩვენ ვართ დიდი ტრადიციების მქონე, ჩვენ ვართ ძალიან ნიჭიერი და დიდი კულტურის მქონე ხალხი და ჩვენ გავიმარჯვეთ და მივაღწიეთ იმას, რაც

ჩვენი მიზანია გავაერთიანოთ ჩვენი ქვეყანა. აღარ მოხდება საქართველოში ის, რაც ხდებოდა ბოლო წლების განმავლობაში. ჩვენ მოვალთ და აღვადგენთ სამართლიანობას, ქვეყანაში დაბრუნდება სამართლიანობის განცდა. ჩვენ მოვალთ და პოლიციას, პროკურატურას ჩავაყენებთ ხალხის სამსახურში! ჩვენ მოვალთ და მედიად გავათავისუფლებთ ყოველგვარი ზეწოლისაგან და ჩვენი ჟურნალისტები მოახერხებენ, ისე იფიქრონ და იაზროვნონ, როგორც თვითონ სურთ, რათა შეწყდეს სიცრუის პოპულარიზაცია. ჩვენს ჟურნალისტებს უნდა აღვუდგინოთ ღირსება.

ჩვენ მოვახერხებთ და დავძლევთ ყველაზე დიდი უბედურებას, ღირსებას დავუბრუნებთ თითოეულ ოჯახს. თითოეული ადამიანი შეძლებს საკუთარ ქვეყანაში ღირსეული სამუშაო ადგილი იშოვოს, ღირსეული შემოსავალი ჰქონდეს და ღირსება დაუბრუნოს საკუთარ ოჯახს.

ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენს ოპონენტებს. არ მოხდება განსხვავებული აზრის დევნა და ამით დასრულდება ეს ეტაპი საქართველოში. ღირსეულად მოვექცევით განსხვავებულ აზრს, ღირსებით მოვეიდებით ყველა ჩვენს ოპონენტს.

ჩვენ ღირსებას დავუბრუნებთ ჩვენს წინაპრებს და ვაჩვენებთ როგორი ხალხი ვარ, როგორი კულტურული ერი ვართ.

რაც შეეხება ჩვენს საგარეო სტრატეგიას, ეს იქნება უცვლელი, ჩვენ განუხრელად გავაგრძელებთ სვლას ევროატლანტიკური სივრცისაკენ, ჩვენ აუცილებლად გავხდებით ევროპის ღირსეული წევრი; ჩვენ აუცილებლად გავხდებით ნატოს წევრი.

და ბოლოს, მე მადლობა მინდა გადაგიხადოთ ყველას, ყველაზე დიდ ძალას, ქართველ ხალხს. ვინც აჩვენა, როგორი კულტურული ერი ვართ ჩვენ. თქვენ დაამტკიცეთ, რომ ვიმსახურებთ ღირსეულ მომავალს. თქვენ იმასახურებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს; თქვენ იმსახურებთ ჩადგეთ განვითარებული ევროპის ქვეყნების რიგში და ღირსეული ადგილი დაიჭიროთ. ასეთ ქვეყანას გპირდებით ჩვენ, ამისთვის მოდის ჩვენი გუნდი. მე მადლობა მინდა გადავუხადო მათ სწორი პოზიციისათვის. კიდევ ეერთხელ შევახსენებ საქართველოს მოსახლეობას, რომ ჩვენ შევქმენით პრეცედენტს და საქართველოში მოვა ჭეშმარიტად სახლხო ხელისუფლება, რითიც შეიძლება ევრპელებიც კი გავაოცოთ. ამისკენაა მოწოდებული ჩვენი გუნდი. ამისთვის ვიბრძოლებთ ჩვენ, რომ განვავითაროთ ჩვენი ქვეყანა და ღირსეული პატივი მოვაგოთ ჩვენს თანამოქალაქეებს.

მე უკვე ემოციები მოვთოკე. ვემზადებით თანამშრომლობისათვის, ვემზადებით შრომისათვის. ძალიან დიდი შრომა გველის წინ. ოცნებების ასრულება აქედან იწყება!

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა და ძალიან მიყვარს თითოეული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი. თითქმის ყველასთან მქონდა შეხვედრა და ყველა მათგანის თვალებში იქნებოდა ეს ქისტი, აზერბაიჯანელი, ლეკი თუ სომეხი, მე ვკითხულობდი ჩვენი სამშობლოს გულწრფელ სიყვარულს! მე ყველა მათგანი მიყვარს. ჩვენ გვაქვს საერთო სამშობლო და ჩვენ ერთად ავაშენებთ საერთო სამშობლოს.

მე უზომოდ მიყვარს ჩემი სამშობლო, ისევე როგორც თქვენ, უზომოდ მიყვარს ჩემი ხალხი. მოვახერხე ნდობის დაბრუნება ხალხში, მოვახერხე მას შემდეგ, რაც საკუთარი გული და გრძნობები ვაჩვენე მათ. მართლა ძალიან მიყვარხართ! მოვახერხე გულის გადაშლა და მივიღე ძალიან დიდი სიყვარული და სითბო. სწორედ ამან განაპირობა ეს გამარჯვება. „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო“ და სწორედ სიყვარულზე დაფუძნებულმა ნდობამ გაგვამარჯვებინა ჩვენ დღეს!

მე დღეს არა ვარ ემოციური, მაგრამ ძალიან ბედნიერი ვარ! ჩვენ ვიბრუნებთ ჩვენს ქვეყანას, ჩვენ ვიბრუნებთ ჩვენს ღირსებას. კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, ჩვენ ღირსეულად მოვექცევით ჩვენს ოპონენტებს. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ



ყველა ქართველს, საქართველოს ყველა მოქალაქეს ეცხოვრებოდეს საქართველოში და ჰქონდეს თავისი ადგილი! მხოლოდ სიყვარულით, მხოლოდ მეგობრობით, მხოლოდ ძმობით მოვახერხებთ და დავიბრუნებთ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს, დაგვიბრუნდებიან ჩვენი ემიგრანტები. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ მათ სიყავრული და სითბო, გული გადავუშალოთ და დარწმუნებული ვარ, მათგანაც მივიღებთ სანაცვლოდ იგივეს გრძნობას და ჩვენ გავაერთიანებთ ჩვენს სამშობლოს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ. მოვუწოდებ საქართველოს მოსახლეობას, შევინარჩუნოთ სიმშვიდე, ჩვენ გმირული ერთი წელიწადი გადავიტანეთ. ჩვენი ძმები, შვილები არიან ის ხალხი, ვისაც გაუგებარი გზით მიჰყავდა ეს ქვეყანა; ჩვენ მოვახერხეთ და დიდი კულტურით, მშვიდობიანად დავასრულეთ არჩევნები. არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ხლხი, ვინც დაზარალდა არჩევნების პროცესში, ძალიან ბევრი მათგანი ციხეშია კიდევ, ბევრია ნაცემი,. ბევრი ოჯახი დაზარალდა. მინდა თანადგომა გამოვუცხადო ამთ, ისინი აუცილებლად დაგვიბრუნდებიან და ერთად ავაშენებთ ჩვენს სამშობლოს.

და ბოლოს დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს ამერიკელ თუ ევროპელ კონსულტანტებს, რომელთაც დიდი დახმარება გაგვიწიეს.

სიყვარულმა გაიმარჯვა ჭეშმარიტად!. გაიმარჯვა საქართველოს დიდმა კულტურამ. ჩვენ ბევრი რამ შეიძლება ვისწავლოთ ევროპისა და ამერიკისგან, მაგრამ ჩვენმა ტოლერანტობამ, ჩვენმა ძმობამ, შეუგუებლობამ და განსაკუთრებულმა ემოციურობამ, დიდმა გრძნობამ შეძლო და გაგვაერთიანა! გაუმარჯოს ჩვენს დიდ სიყვარულს, გაუმარჯოს საქართველოს და მომავალ ბედნიერებას!

ვიზეიმოთ, ვიმღეროთ, მაგრამ არცერთ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს დაპირისპირება, ყველანი ჩვენი ძმები არიან იცოდეთ! ვინც ხუთიანი შემოხაზა, ისინიც ჩვენი ძმები არიან. არავინ დააზიანოთ, არ დაუპირისპირდეთ. ყველანი ერთად დავდგეთ და გავაძლიეროთ ჩვენი სამშობლო.

* * *

**ბიძინა ივანიშვილი:**

დღეს საქართველოს ისტორიაში პირველად ქართველმა ხალხმა მოახერხა არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა. ეს ძალიან დიდი მოვლენაა და ოქროს ასოებით ჩაიწერება. ქართველმა ხალხმა მოახერხა, რომ პოზიციაც და ოპოზიციაც ისე მოქცეულიყვნენ, როგორც საქართველოს შეეფერება. ხელისუფლების სახეც ნახეთ, ოპოზიციის სახეც ნახეთ. საბოლოო ჯამში ჩვენ ყველანი საქართველოს მოქალაქეები ვართ. იყო ძალადობა, იყო სიცრუე, მაგრამ დღეს უნდა მოვახერხოთ, გავერთიანდეთ, დავივიწყოთ ყველანაირი განაწყენება და ერთიანი საქართველო ავაშენოთ!

რა თქმა უნდა ვინც კანონი დაარღვია, ვინც სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა, მან პასუხი უნდა აგოს

დაახლოებით შედეგებს პარალელური დათვლა გვიჩვენებს. მაგრამ არანაკლებ 100 ადგილისა უნდა მივიღოთ პარლამენტში. იმდენად დიდია სხვაობა მონაცემებში, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო უარი ეთქვა წაგებაზე.

* * *

**ბიძინა ივანიშვილი:**

საქართველოს ისტორიაში პირველად, ქართველი ხალხი ჭეშმარიტად დემოკრატიულ არჩევანს გააკეთებს. ჩვენ დღეს დემოკრატიული არჩევნების გზით, პირველად ჩავანაცვლებთ ახლანდელ ხელისუფლებას... დიდი გამოცდა მოგვიწყო ბოლო 20-მა წელიწადმა, დიდი გაჭირვება გადავიტანეთ, მაგრამ ჩვენმა დიდმა წარსულმა და კულტურამ გაგვაძლებინა და დღესეს 20 წლიანი ტანჯვა დასრულდება.

* * *

**ბიძინა ივანიშვილი:**

ძალიან მიყვარს ჩემი ხალხი, მათაც გამოხატეს თავისი სიყვარული. ახლა ეს ურთიერთნდობა ცოტა უფრო უნდა გავაოფიციალურით, ცესკომ უნდა აღიაროს შედეგები.

ეს ეგზიტპოლები სინამდვილესთან ძალიან ახლოსაა. სპეკულირება დაიწყო ისევ ჩვენმა პრეზიდენტმა. ჩვენ არა მარტო პროპორციული, არამედ მაჟორიტარული სიითაც ვიგებთ. შეიძლება, 60-65 მაჟორიტარი გა-

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ვიყვანოთ პარლამენტში, შესაბამისად, წინასწარი მონაცემებით, არანაკლებ 100 ადგილისა, შეიძლება, 120 ადგილიც მივიღოთ პარლამენტში. მოვუწოდებ კიდევ ერთხელ მოსახლეობას, რომ დაველოდოთ ცსკ-ის შედეგებს.

ხელისუფლება ახერხებს სახის შენარჩუნებას და ძალიან კარგი განცხადება გააკეთა პრეზიდენტმა. აღიარა უკვე წაგება პირველ ნაწილში. ვფიქრობ, ნაწილობრივ მაინც შეინარჩუნებენ სახეს და მოახერხებენ, საკუთარ ქვეყანაში ეცხოვრებოდეთ. ჩვენი გებს. თანაც იმხელა უპირატესობა გვაქვს, რომ საეჭვო არაფერია. სხვათა შორის, გუშინ ბევრი შეხვედრა მქონდა უცხოელებთან, ძალიან საინტერესო პიროვნებებთან, ამერიკელებთან, ევროპელებთან, როდესაც ვუმტკიცებდი მათ, რომ ჩვენი სტრატეგია იქნება ევროპული, ისინი დაჟინებით მეკითხებოდნენ, ხომ არ შევიცვლიდი სტრატეგიას. მინდა, ვთქვა, რომ ესაა საქართველოს ბედი, ევროპაა ჩვენი ბედი. ასევეა ჩვენი უსაფრთხოების მხრივ ნატო.

იარსებებს პარლამენტში. ეს არის ძალიან ჯანსაღი პროცესი.ახლაც ვერიდები და მომავალშიც მოვერიდები, რომ ერთპარტიული პარლამენტი არ გვქონდეს.მმე ახალ პარლამენტში ხელს შევუწყობ, რომ მინიმუმ სამი პარტია განვითარდეს დამოუკიდებლად, პარლამენტში შედგეს კამათი ზოგიერთ საკითხზე, მაგრამ ძირითად სტრატეგიულ საკითხებში ჩვენ ვართ შეთანხმებულნი და არ ვფიქრობ, რომ შეიცვლიან დამოკიდებულებას კოალიციის წევრები. ალბათ, "ნაციონალური მოძრაობა" შენარჩუნდება პარლამენტში ოპოზიციური სახით და მოახერებენ ჩვენთან თანამშრომლობას. გამოდის, რომ ოთხპარტიული პარლამენტი მაინც იქნება.

კოალიცია მესხეთ-ჯავახეთში რამდენიმე კანდიდატს აგებს, სხვა რეგიონებში კი პირწმინდად იგებს. ცსკ-მაც დადებული შედეგი უნდა დაამტკიცოს. თქვენ ვერ აცხადებდით, მაგრამ მე ვიცი ეგზიტპოლების წინასწარი მონაცემები. არა მარტო სიით, არამედ მაჟორიტარებშიც დიდი უპირატესობით ვიგებთ. მესხეთ-ჯავახეთში რამდენიმე კანდიდატს ვაგებთ. სხვა რეგიონებში ყველგან პირწმინდად ვიგებთ.

ბოს და ბოლოს ვნახავთ გაბრწყინებულ, იმედიან სახეებს საქართველოში.

ჩვენი პირველი ამოცანა, როცა პარლამენტში შევალთ იქნება ბიუჯეტი. ხელისუფლებას ვალდებულება აქვს გვაჩვენოს ბიუჯეტი. განსხვავებით არჩევნებისა, ძალიან ცუდი მოლოდინი მაქვს ჩვენი ბიუჯეტის. ვფიქრობ, როგორ მოვახერხოთ და დავაბალანსოთ ეს მწირი ბიუჯეტი, რათა დავაფინანსოთ ის, რაც აქამდე ფინანსდებოდა. როგორ შევუსრულოთ დანაპირები ამ ბიუჯეტით. სხვათა შორის ძალიან კარგი გეგმე მაქვს და ყველაზე ცუდ ვარიანტშიც კარგ შედეგებს მივიღებთ. ჩვენ



მიზანიც ესაა, გვინდა, რომ ყველას ეცხოვრებოდეს საკუთარ ქვეყანაში. ხელისუფლება ახერხებს სულ ბოლო მომენტში, რომ გადადგას ღირსეული ნაბიჯი, შესატყვისი იმისა, თუ როგორი ხალხი ცხოვრობს საქართველოში.

ძალიან საინტერესოა, როგორ მოახერხებს თვითონ სააკაშვილი ჩვენთან თანამშრომლობას. მე ამ ცხოვრებაში ყველაფერი მინახავს. ეს კაცი მოვიდა არაფრის გამკეთებელი და ასეთივე გუნდი მოიყვანა და უეცრად გააკეთეს ის, რაც გააკეთეს. ჩემთვის პრობლემა არ არის. მე ყველანაირ ადამიანს, ყველანაირ სიტუაციას შემიძლია შევეგუო. მე ამის დიდი პრაქტიკა მაქვს. არავითარი პრობლემა არ იქნება, ოღონდაც მათ მოახერხონ. მათ დიდი ხანია, ოპოზიციასთან არ უმუშავიათ. კრიტიკა არ აუტანიათ და როდესაც ჩვენ უმრავლესობით ვიქნებით და მაგას მოუწევს ძალიან ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემა, მე წარმომიდგენია როგორ რთულ მდგომარეობაში იქნება. მე არ მიფიქრია მაგაზე, მაგრამ ჩემთვის წარმოუდგენელია თვითონ როგორ მოახერხებს ამას. სხვათაშორის, უცხოელებს ამ ბოლო დღეების განმავლობაში, როცა ნახეს, რომ ჩვენს გამარჯვებას არაფერი წინ არ უდგას, ერთადერთი შეკითხვა აქვთ, როგორ მოვახერხებთ თანამშრომლობას. ჩემგან პრობლემა არ იქნება.

მე არ ვისარგებლე ამ სიით. ერთი ხმა დავკარგეთ. მე როგორც ევროპელმა, არ ვიკადრე ასეთი კონსტიტუციის გამოყენება. ახლა როდესაც გაფორმდება ჩვენი გამარჯვება, სასამართლო სასამართლოს დაემსგავსება. მე იმედი მაქვს, რომ დამიბრუნდება საქართველოს მოქალაქეობა და დავმტკიცდები პარლამენტში როგორც პრემიერ-მინისტრი.

ეს არაა საბოლოო შედეგი. ამას მაინც სჭირდება ოფიციალური განცხადებები, რომელსაც ჩვენ დაველოდებით, მაგრამ ეგზიტპოლები, როგორც წესი 95%-ით უახლოვდებიან შედე-

ძალიან შეშინებულები იყვნენ უცხოელები, როდესაც ნახეს, რომ ამხელა პოლარიზაციაა და დიდი დაძაბულობაა საზოგადოებაში.

მე ვამტკიცებდი, მათთან დაჟინებით ვამბობდი, რომ არავითარი სამოქალაქო დაპირისპირება არ მოხდებოდა საქართველოში და ამ გარანტიებს რომ ვაძლევდი, ცოტა გაოცებულები იყვნენ, იმიტომ რომ ჩვენ არ გვექვემდებარებიან ძალოვანი სტრუქტურები.

უცხოელებმა უარი თქვეს იმ იდეოლოგიაზე, რომელსაც სააკაშვილი ავრცელებდა, რომ ქართველები არიან არადემოკრატიულები.

როდესაც შემოვედი პოლიტიკაში ვთქვი, რომ 2/3-ით მოვიგებდით და გარწმუნებთ, რომ არანაკლებ 2/3-ისა ჩვენ გვექნება პარლამენტში. ბევრმა უცხოელმა დამირეკა და მომილოცა



და გაოცებულნი იყვნენ ჩემი ანალიზით. ჩვენ ძალიან ღირსეული წარსული გვაქვს, ღირსეული აწმყო უნდა შევქმნათ და უფრო ღირსეული მომავალი უნდა შევუქმნათ ჩვენს შვილებს. წინ ძალიან ბედნიერი ცხოვრება გველის. გაბრწყინდება დაღონებული ქართული სახეები.

სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პარტიის ლიდერებმა მოსინჯეს ჩემთან, თუ მქონდა სურვილი, რომ ერთ პარტიად ჩამოვყალიბებულიყავით.მე ძალიან მკაცრი უარი განვაცხადე. დღესაც იგივე შემიძლია, გავიმეორო. ძირითადად მინიმუმ სამი ფრაქცია

ჭეშმარიტად დაგვიდგა აღორძინების ხანა. თუმცაღა ამას სჭირდება დრო. მაგრამ საქართველოს მოსახლეობა დაინახავს სწორ გზას, იგრძნობს უკეთეს მომავალს. დაეკარგება ფასი სიცრუეს და ძალადობას და ვეღარავინ მოახერხებს იძალადოს საქართველოს მოქალაქეებზე. ჩვენ გავათავისუფლებთ მედიას. ჩვენ გავათავისუფლებთ ქართულ ბიზნესს და დავიწყებთ ახალი სამუსაო ადგილების შექმნას. ჩვენ ნელ-ნელა დავიწყებთ სვლას განვითარებული ქვეყნებისაკენ და ჩავდგებით მათ მწკრივში.



**როზერტ სტურუა:** დღეს ქართველი კაცი ბედნიერი შეხვდა მზის ამოსვლას... კიდევ ერთხელ... ო, რა უსასღვროა რომანტიზმზე დამფუძნებული ჩვენი ოპტინიზმი... ფრთხილად, გველეშაპი ჯერ ცოცხალია, ყოველდღიურ მსხვერპლს ელოდება ჩვენგან - სისხლი სწყურია, როგორც ყოველთვის ... ის ადამიანები კი, გუშინ რომ ერთგულად ემსახურებოდა ამ ურჩხულს, დღეს ბედნიერი ღიმილით გვილოცავენ და მერე სადღაც კუთხეში, ჩუმად თავს იმართლებენ: რა ვქნა, ცოლ-შვილი, სამსახური, ხელფასი, პრემიები, ტელევიზია - და გეცოდება ეს უბედური, და პატიობ: ქართველი ხარ და აბა რას იზამ... და მახსენდება ჩემი სპექტაკლი"დრაკონი" - ახალგაზრდა ჯაშუშს ეკითხება გმირი:

- რა მოხდა ისეთი, რომ ახალგაზრდა კაცმა ჯაშუშობა მოინდომე?..

- რა გვექნა, ასე გვზრდიდნენ, ასე გვასწავლიდნენ სკოლაში.

- მერე? ხუთებზე რატომ სწავლობდი?.. ფრიადოსანობა რად მოისურვე?

ეს ხუთოსანი მარიონეტები პარლამენტში ჩაჯდებიან და ერი ისევ მყრალ ჭაობაში ამოყობს თავს... ფრთხილად!.. ფრთხილად! „ჯერ კიდევ ყრის ნაყოფს დამპალი საშო..."



**კახი კალაძე:** პირველი ოქტომბერი ოქროს ასოებით ჩაიწერება საქართველოს ისტორიაში, რადგან ქართულმა ოცნებამ გაიმარჯვა არა ძალადობრივი გზით, არა რევოლუციის გზით, არამედ ის მოვიდა არჩევნებით ხელისუფლებაში!



**შალვა შავგულიძე:** არჩევნების დაწყებამდეც ვვარაუდობდი, რომ "ნაციონალურ მოძრაობას" ამომრჩევლების 20%-ის მხარდაჭერაც არ ექნებოდა. ამ შედეგს ველოდით, რა თქმა უნდა. აშკარა იყო, რომ "ნაციონალური მოძრაობას" პერსპექტივა არ ჰქონდა. არ ვიცი, ცსკ რა შედეგებს დადებს, რაღაც სხვაობა იქნება, თუმცა მგონია, რომ დაახლოებითი შეფარდება დარჩება. არჩევნების დაწყებამდეც ვფიქრობდი, რომ "ნაციონალურ მოძრაობას" ამომრჩევლების 20%-ის მხარდაჭერაც არ ექნებოდა.



**ირმა ინაშვილი:** ბოროტი რეჟიმი, რომელიც ცხრა წელიწადია წურბელასავით სვამს ქართველი ხალხის სისხლს, ვერა და ვერ გაძღა. არც ჩვენ გვანებებს თავს და არც ჩვენს სამშობლოს. ბოროტებმა, ჩამოეხსნათ რა ნიღაბი, ახალი მზაკვრობა განგვიმზადეს: თან გვითხრეს,- არჩევნები წავაგეთო. თან ცდილობენ (ამ წაგებულ არჩევნებში) მოგება გაიფორმონ. როგორ? როგორ და ასე: „ქართულ ოცნებას" 53-55%-ს დაუწერენ, თავისთვის კი, საბოლოო ჯამში, 45%-ს დაიწერენ, რაც, ცხადია, უსინდისო ტყუილია. ყველამ ვიცით, რომ ნიღბის ჩამოხსნამდე „ნაციონალური მოძრაობის" რეიტინგი (მიუკერძოებელი კვლევებით, მათ შორის, „ობიექტივის" კვლევითაც) 22-24%-ს არ აღემატებოდა, ხოლო ნიღბის ჩამოხსნის შემდეგ, „ნაციონალური მოძრაობა" თავისსავე წევრებმა დატოვეს და , ბუნებრივია, მისი რეიტინგი კიდევ უფრო დაეცა... მაგრამ ეს არ არის ყველაზე დიდი ტყუილი, რომელსაც „ნაცები" თავს გვახვევენ. ყველაზე დიდი ტყუილი მაჟორიტარ დეპუტატებთანაა დაკავშირებული.



**გიორგი კარბელაშვილი:** ჩემო მეგობრებო, მინდა მოგმართოთ, როგორც ახლობელ ადამიანებს და თანამებრძოლებს. ბევრმა თქვენგანმა კარგად იცის, რომ ჩემი ცხოვრების მანძილზე არასოდეს გადამიხვევია იმ გზისთვის, რაც კარბელაშვილების გვარმა, ჩემმა დიდმა პაპებმა აირჩიეს. ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ვიქნები მაჟორიტარი დეპუტატი, მინისტრის მოადგილე თუ კომუნიკაციის მექანიკოსი. ჩემთვის ყველაზე ფასეული თქვენთან ერთად თანაცხოვრება, თქვენი სიყვარული და სიხარულია. ჩემი მიზანია, თქვენთან ერთად ვიბრძოლო ჩვენი უკეთესი მომავლისთვის.




# xalxis azriT

41-ბალიანი მიშისძვრაა!!!!!!!!!!!!!!!!!! მიხარია, რომ ხვალიდან ადამიანები საქართველოში აღარ ილაპარაკებენ ჩურჩულით და გამოცანებით, აღარ ექნებათ დაფეთებული თვალები და ამდენი უარყოფითი ემოცია და შიში, რომელიც ფიზიკურ დაავადებებად გარდაიქმნება ორგანიზმში. სადიზმი, ცინიზმი, ფსიქოლოგიური ტერორი, ხელისუფლების მხრიდან შეურაცხყოფა და ათვალწუნება დასრულდება და ეს ქვეყანა დაემსგავსება თავის თავს - ლამაზს, კეთილს, გულღიას, სიყვარულით სავსეს

19 წლის ბიჭი რომ შემოგაკვდება და ბანდიტად გაასაღებ; მეორეზე რომ გაბრაზდები და პოლიციის განყოფილების მაგივრად ტყეში წაიყვან და წამებით მოკლავ; ციხეებზე რომ მიმტკიცებ, მთელი ევროპა აღფრთოვანებულია, ისე კარგიაო და ამ დროს აუპატიურებ პატიმრებს; უნარშეზღუდულებს რომ აწამებ და გიხარია... ამ ბავშვის მკვლელობა რომ შენს სინდისზე არაა და არ გიჯერებენ, გიკვირს, გოკა რომ ხარ, გაბაშვილი?

ეს უმძიმესი არჩევნებია. უმძიმესი დღეა ხვალ, ძალიან საპასუხისმგებლო. ახლა არ შეიძლება იოლად შეხედვა მომავლისთვის, რაც იქნება იქნება, არა, არა... ნებისმიერი ფორმით და გზით თუ სრული გამარჯვება მოიპოვა იმან, ვისაც დღეს, ამწუთამდე უპყრია ძალაუფლება, მერე უკვე ვეღარაფერი შეაკავებს: იქნება რეპრესიები, შურს იძიებენ იმათზე, ვინც მხარს არ უჭერედა, შურს იძიებენ იმ სტუდენტებზე, რომლებიც გამოვიდნენ, შურს იძიებენ ნებიმიერ განსხვავებული აზრის მქონეზე, უსასტიკესად შურს იძიებენ პატიმრებზე, ვისაც ჰგონია, რომ ჯანდაბას, მოიგონ, სამსახური შერჩება, ვისაც ასე ჰგონია: მასწავლებელს, ლექტორს, მუშას, პოლიციელს, ოფიციანტს, მეეზოვეს, მუსიკოსს, მღებავს... არ შერჩება, რადგან საკუთარი აქტიური და აღრიცხული მხარდამჭერის გარდა, არავის გააჭაჭანებენ. შურს იძიებენ მოსწავლეებზეც, რადგან ისინი მოდიან მომავლისთვის, მომავლისკენ და, როგორც ჩანს, მათში ისევ იფეთქებს თავისუფლები, სული, შურს იძიებენ თოთო ბავშვებზე, რადგან.......... შურს იძიებენ სიცოცხლეზე. პატარა მიკროაპოკალიფსს არ მინდა მოვესწრო ჩემს ქვეყანაში, არა...

ყველაფერი დაფარული გაცხადდება! 24 საათი უნდა გავძლოთ! ეს ვარდისფერი ჯოჯოხეთი მალე დაკარგავს ბრწყინვალებას და ყველა დაინახავს, რომ მეფე არა მარტო შიშველია, არამედ დამპალიც, კრიმინალიც და ნაბიჭვარიც

ასეთი სტრესული, ასეთი მძიმე, ხანგრძლივი, თანმიმდევრული და ინტენსიური ბრძოლა ქართველ ხალხს არც ერთ ხელისუფლებასთან არ ჰქონია კომუნისტების შემდეგ.

**ნაირა გელაშვილი:** მგონი, არც ისე მოულოდნელი იყო ის, რაც ჩვენ ვიხილეთ. ყველა ნორმალურ ადამიანს აშფოთებს სისასტიკის გამოვლენა, თუმცა ვთვლი, რომ ეს კანონზომიერი და არც ისე მოულოდნელი უნდა ყოფილიყო. პრესაში მუდამ იბეჭდებოდა ამის შესახებ. მე თავად წავიკითხე ერთ-ერთ გაზეთში პატიმრის ნაამბობი, თუ როგორ გააუპატიურეს ის ხელკეტით! და ამას იგი ჰყვებოდა, როგორც ციხის ჩვეულებრივ წესს. გვახსოვს, ასევე სასაცილოდ აგდებული ომბუდსმენის ანგარიშები, სადაც, ვფიქრობ, ცოტა უფრო პირდაპირ უნდა ყოფილიყო მითითებული პრობლემის არსი, რადგან ადამიანს რაც უფრო შეულამაზებ და ცივილურად გადასცემ პრობლემას, მით ნაკლებად განიცდის. ამ ანგა-



რიშებს აკლდა შინგანი ამბოხი, პროტესტი. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებისათვის ციხის ამბები ცნობილი იყო. აღმოჩნდა რომ საზოგადოებამ, ჩვენ ეს ოცწლიანი ბრძოლა დემოკრატიისათვის ამ ფორმით დავამთავრეთ, ამ გოტესკით, ამ შემზარავი ფაქტებით და დაცემით! ბოლო ოცი წელი სულ ტრაგედიებში, სისხლისღვრაში გაატარებინეს პოლიტიკოსებმა საზოგადოებას და, ცხადია, ენერგია აღარ აქვს, რომ ყველა მიმართულებით იბრძოლოს, მით უფრო, როცა თითოეულ მათგანს საკუთარი თავის და შვილების ფიზიკური არსებობის პრობლემა უდგას. ასეთ მდგომარეობაში საზოგადოება ვეღარ რეაგირებს. ამასთან ნელ-ნელა ხდება შეჩვევა, ისევე როგორც ნელ-ნელა ხდება ზნეობრივი დაცემა, კომპომისზე წასვლა და დანაშაულებათა მორევში ჩაძირვა, საუბარია ხელისუფლებაზე. ჩვენ საქმე არა გვაქვს ლოკალურ დანაშაულთან, კონკრეტულ, პათოლოგ ადამიანებთან, არამედ საქმე გვაქვს სისტემასთან, რადგან ანალოგიური დანაშაული ხდებოდა და ხდება ყველა ციხეში. ალბათ, გსმენიათ, როგორ ემუქრებიან პატიმრებს რუსთავის ციხის უფროსი თუ სხვები, არჩევნებამდე მოიცადეთ და ნახეთ, რა დღე დაგადგებათო. ანუ შექმნილი იყო მთელი სისტემა. ხელისუფლება არის პასუხისმგებელი ამაზე, თუმცა სისასტიკე და არაადამიანობა ვერ იქცევა სისტემად, თუ საზოგადოების საერთო დეგრადაცია არ არის სახეზე. ეს არის სწორედ ფონი. სწორედ კულტურის, განათლების, აღზრდის აღმოფხვრამ გამოიწვია ეს ფონი. კულტურის, რელიგიის, განათლების, ჰუმანიზმის საბოლოო მიზანი ხომ ადამიანში ადამიანის აღზრდაა?! ეს ყველაფერი მოისპო ჩვენთან და გამოვლინებაც სახეზე გვაქვს. ამასთან, ჩვენ ჩვენი სპეციფიკაც გვაქვს დანარჩენი მსოფლიოსგან განმასხვავებელი. ჩვენ არ გავემიჯნეთ სტალინურ ტოტალიტარიზმს, როგორც სისატიკის, აბუჩად აგდების, ძალადობის ტოტალურ ორგანიზაციას: არ მოვინდომეთ ლუსტრაციის კანონი, სიების გახსნა, სინამდვილისთვის თვალებში ჩახედვა. არადა,

**ნებისმიერი განახლება იწყება მწარე სიმართლით. სწორედ სიმართლის აღიარებით ხდება გამიჯვნა და, წინააღმდეგ შემთხვევაში დანაშაული ისევ ვრცელდება, ოღონდ ფარულად. ჩვენ ვართ ამ სტალინური ტოტალიტარიზმის მემკვიდრეები. ჩვენი სპეციფიკა ის არის, რომ თუკი აშენებ დემოკრატიულ სახელმწიფოს და უკვე ააშენე, თუმცა შენ ქვეყანა კი არა, ქვესკნელი შექმენი, სადაც ამ თხელი მბრწყინავი ფასადის უკან არის სისხლიანი ინტერიერი. სხვათა შორის, ამისთვისაც თვალებში ჩახედვა ყველას არ შეუძლია, არ სურს და არც აქვს ამის უნარი და მოთხოვნილება არც დასავლეთში და არც ჩვენთან.**




ამ კადრებმა ყველაზე ერთნაირი გავლენა ნამდვილად არ მოახდინა. თუკი ერთნი ზნეობრივ შოკში ჩააგდო, ავად გახადა, ფსიქიურად დაიმსხვრა ხალხი, იმდენად განიცადა, თუმცა, ალბათ, ისეთებიც არიან, რომელთაც რეაქცია არ ჰქონდათ, ასეთები რომ არ იყვნენ, ასეთი დანაშაულიც არ მოხდებოდა. არიან ადამიანები, რომლებშიც პათოლოგიური საწყისი არსებობს და ასეთი კადრების ტრიალმა შეიძლება ფანტაზიები გაუხსნას, რომ თურმე ასეთი რამ შესაძლებელი ყოფილა.

**ჩვენ ვთქვით, რომ ეს არის სისტემა, რომელიც გახლავთ ორგანული ნაწილი დღევანდელი ხელისუფლების მმართველობის სტილისა. ანუ ციხეების სინამდვილე, ადამიანების წამება არის ცემენტი ამ სახელმწიფოსი, რომელიც მათ შექმნეს. ისმის კითხვა რატომ? რა ღირებულება, რა მიზანი, რა იდეალები აქვს დღეს ამ ხელისუფლებას? თუკი ადრე მათ შორის იყვნენ ადამიანები, რომელთაც მართლა ჰქონდა იდეალები, მისწრაფებები, შეეძლოთ გაბედულების გამოჩენა, დღეს დაკარგეს ეს თვისებები. ხელისუფლებაში აღარავინ აღარ დარჩა, ვისაც აქვს ღირებულება, რომ მართლა დემოკრატიას აშენებს და ამ მაღალი მიზნისაკენ მიდის. მათი უზენაესი მიზანია თუ სამუდამოდ არა, ძალიან დიდხანს მაინც დარჩნენ ხელისუფლებაში. ერთ-ერთმა მინისტრმა ეს პირად საუბარშიც კი მითხრა. მართლა ხავსად ამოუვიდა თვალებში ე.წ. ჟვანიას გუნდი საზოგადოებას 92 წლიდან. ხალხი ამას ვერ ეგუება და**



**აპროტესტებს. ხელისუფლება კი სისატიკით, ცემით, თვალების დათხრით ახშობს ამ პროტესტს. მაგიტომაც იყენებენ ასეთ სისასტიკეს, კაცი არ დარჩენილა ოპოზიციაში, ნაცემი რომ არ იყოს.**

იმისათვის, რომ თავიანთ მიზანს — ხელისუფლებაში მუდმივად ყოფნას — მიაღწიონ ორი გზა აქვთ, ან უნდა ბოლომდე გადაამსხვრიონ საზოგადოება ძვლებში, ან უნდა მოახდინონ მოსახლეობის ჩანაცვლება. ამას ვამბობ მთელი პასუხისმგებლობით. რასაც მე სოფლებში ვხედავ, თუ როგორ განადგურდა სოფლები, მეურნეობა მთელი ამ წლების განმავლობაში. ეს არის მიზანდასახული და არა შეცდომით გაკეთებული, ეს არის კონცეპტუალური სისასტიკე, ეს არის სტრატეგია, ეს არის თეორია და პრაქტიკა. თუ ეს ხალხი არ შეამცირე, როცა მას ვერ ასაქმებ, ის ყოველთვის ბევრია, გინდაც ერთი მილიონი იყოს. რუსეთშიც ეს პრობლემაა, ვერ დაასაქმა თავისი ხალხი, ამიტომ ომებში ასაქმებს. იგივე ხდება საქართველოში. ეს აშკარა არის ჩემთვის. როდესაც შენ სოფლის მეურნეობას გაანადგურებ და ხალხს მიუსჯი, რომ იგი ან ქალაქში წავიდეს და იქ მოხდეს მისი ასიმილირება, ან უცხოეთში წავიდეს, ან ადგილზე მოკვდეს მშიერი, რადგან აბსოლუტურად არ დაეხარე სრულიად უსასოოდ დარჩენილ გლეხს. მაშინ, როდესაც ჩამოსულებს, უცხოებს უქმნი პირობებს, მათზე ჰყიდი ამ გლეხების სავარგულებს, საძოვრებს, მე შენ ვერ დამარწმუნებ, რომ არ გინდა ამ მოსახლეობის ჩანაცვლება.

**ვიცით, როგორ სცემენ, სასტიკ მეთოდებს იყენებენ ხალხის წინააღმდეგ მაშინაც კი, როცა ამის საჭიროება არ არის. დაუნდობლად ურტყამენ, ურტყამენ შინაგან და სასქესო ორგანოებში, რაც ნიშნავს ნელ სიკვდილს. ამით ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად ტყდება ადამიანი და იციან, რომ ის ხმას აღარ ამოიღებს. ამიტომ ცემა არის მათი მეთოდი. დააავადეს ხალხი. რაც ჩვენს ირგვლივ ხდება, არის ავადმყოფური გონების ფანტაზია. მას ეს ხალხი წარმოდგენილი ჰყავს რაღაც ერთარსებად, მონსტრად. მისი მესიჯი ამ ხალხისადმი მუდმივი მუქარაა. დედას გიტირებთ! - ესაა ხელისუფლების მესიჯი ხალხისადმი. რაც შეეხება პატიმრებს, გვყავს უამრავი პატიმარი, ზოგი დამნაშავე, ბევრი — უდანაშაულო. ისინი რომ მტკიცე ფსიქიკის და ჯანმრთელობის ადამიანები იყვნენ, მაშინ ეს საშიში ძალაა. ამიტომ ძალადობენ მათზე, ტეხენ ფსიქოლოგიურად. აუპატიურებენ არა მარტო ცოცხალ პატიმრებს, არამედ გარდაცვლილებსაც. ეს არის ისეთი დაცემა და დეგრადაცია, რომელშიც ერი და ბერი არის ჩართული. ეს არიდ დეგრადაციის კულმინაცია. ისევ იმასთან მივდივართ, რომ იქ ბევრია პატიმარი და როგორმე უნდა შეამცირონ. შეამცირო და მართო. ან სიკვდილი პირდაპირ ან ისეთი ცემა, რომ გამოვა, მაინც მოკვდება. ყველაფერი გათვლილია მოსახლეობის შემცირებაზე. გვაქვს კიდევ ერთი სპეციფიკა პატიმრების რაოდენობასთან დაკავშირებით. ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღიარებით ჩვენებას, რაც ძალიან დიდი უბედურებაა. იქნებ გიჟია ეს კაცი, იბრალებს ან აბრალებს ვინმეს. ამ აღიარების მოსაპოვებლად ხდება ასეთი უბედურებები, რადგან გამოძიებისა და მტკიცებულების მოსაპოვებლად ამათ არც ფული აქვთ, არც განათლება და გონებრივი რესურსი, არც, სურვილი და მოთხოვნილება. ან რა საჭიროა, ვაწამებ და იტყვის, რაც მე მინდა იმას. ეს არის საერთო პროცესის ნაწილი, რომ ყველა იყოს გადატეხილი. ანუ თუ გინდა ხელისუფლებაში დარჩე სამარადჟამოდ, ეს ხალხი უნდა მოსპო. როცა უმცირესობაში აღმოჩნდება ქართველობა და უმეტესობა იქნება სხვა, რომელსაც კაპიკებში აძლევ ქართველი გლეხების მიწას, ის, რა თქმა უნდა, ლოიალურია შენდამი ყოველთვის და პრობლემა აღარ გექმნება. არ არის ხალხი — არ არის პრობლემა! და მოიწყობენ ცხოვრებას სამარადჟამოდ.**

მოქალაქედ უნდა ვიგრძნოთ თავი, რომ ერთი აგური დავდოთ ჩვენი ქვეყნის გასათავისუფლებლად ამ კოშმარისაგან, რომელიც არ გვაძლევს განვითარების საშუალებას, რომელმაც, როგორც კოლექტიურმა ვამპირმა, გამოწოვა სისხლი ქვეყანასა და ხალხს. ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ ამ ხელისუფლებასთან ერთად, რადგან დამთავრდება ყველაფერი.

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# ra daemarTa qarTul vardebs?

**დასავლეთის გამოცემები საქართველოში მიმდინარე საპარლამენტო არჩევნებს სარედაქციო წერილებს უძღვნიან. ამასთან, ერთდროულად ორი გაზეთი დამჭკნარი ყვავილების პოეტურ სახეს ხატავენ. დამკვირვებლები აღნიშნავენ: კვირას ოპოზიციის დემონსტრაციაზე ხალხი „ძალიან, ძალიან თავდაჯერებული" იყო; შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ისინი ქუჩაში გამოვლენ, თუ არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო იქნებიან.**

### „საქართველო: „ვარდების რევოლუციას" ფურცლები სცვივა"

ასე ასათაურებს წერილს **The Gardian**. გაზეთი ფილოსოფოსობს: „დასავლეთის მეგობრებად" წოდებულთა საქციელი უფრო ძნელი განსაჭვრეტია, ვიდრე იმ ლიდერებისა, რომლებიც ანტიდასავლურად არიან განწყობილი. 2008 წლის ომს გამოცემა „კატასტროფულს" უწოდებს: „სააკაშვილის უგუნურებამ და რუსეთის უმოწყალო ღონისძიებებმა სამუდამოდ შეაჩერა ნატოს ექსპანსია აღმოსავლეთისკენ".

სკანდალური ვიდეოჩანაწერების შესახებ, რომლებზეც პატიმართა წამებაა გადაღებული, გამოცემა წერს: „ვიდეოჩანაწერებმა სააკაშვილის მეორე მხარე გააშიშვლა — მისი სულ უფრო მზარდი ავტორიტარიზმი".

გაზეთის მიმომხილველის აზრით, მმართველ პარტიას არ სურს ძალაუფლების არჩევნების გზით დათმობა: „ამომრჩეველთა სიები დამახინჯებულია, ოპოზიციონერებსა და უფლებადამცველებს თავს ესხმიან და აპატიმრებენ". თუკი არჩევნები თავისუფლად ჩატარდება, ივანიშვილის კოალიციას გამარჯვების კარგი შანსი გააჩნია, აღნიშნავს გაზეთი.

გაისად სააკაშვილმა პრეზიდენტის უფლებამოსილება უნდა მოიხსნას, მაგრამ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, ძალაუფლება პრემიერ-მინისტრის ხელში გადადის. ვინმე ხომ არ გახსენდებათ? პუტინი? ეს შეუძლებელია!" — ასკვნის გაზეთი.

### „ვარდების რევოლუციამ" დაიყვავილა"

ამ სათაურით სტატიას აქვეყნებს **Independent**. 2003 წლის შემდგომ საქართველო განვითარდა, მაგრამ ბევრი ნაკლი აქვს: „საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი დაუსაქმებელია, დემოკრატიული რეფორმები შენელებულია". ამას დაუმატეთ „ციხის სკანდალი", რომელმაც კიდევ უფრო გაამყარა ბრალდებები სააკაშვილის ავტორიტარიზმის შესახებ. ამ სკანდალმა ეჭვქვეშ დააყენა უსიტყვო საერთაშორისო მხარდაჭერა, რითაც საქართველოს ახლანდელი პრეზიდენტი სარგებლობდა.

ბევრი წინასწარმეტყველებდა, რომ არჩევნების შემდგომ არეულობა გარდაუვალი იქნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. გამოცემა ქართველ პოლიტიკოსებს ურჩევს: „რომელმა პარტიამაც არ უნდა გაიმარჯვოს, მისი გადაუდებელი ამოცანაა საქართველოს ერთიანობა, რომელსაც ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ბზარი გაუჩნდა".

### „დემოკრატია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში"

ასეთია **The New York Times** სარედაქციო სტატიის სათაური. სააკაშვილი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ყველაზე პროდასავლურ ლიდერად მიაჩნდათ. სასჯელაღსრულების სისტემისა და საპარლამენტო არჩევნების მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულებამ გააჩინა საფუძვლიანი ეჭვი, რამდენად ემსახურება სააკაშვილი დემოკრატიისა და რეფორმების იდეას. საქართველოშიც და უცხოეთშიც სააკაშვილს საყვედურობენ, რომ იგი სდევნის პოლიტიკურ ოპონენტებს, ზეგავლენას ახდენს სასამართლოებზე და ცდილობს, მასმედიას პირში ბურთი ჩასჩაროს.



გამოცემის რეკომენდაციით, აუცილებელია ქართულ ციხეებში არსებული წამების ფაქტების „სრული და გამჭვირვალე" გამოძიების ჩატარება.

თუკი სააკაშვილი ხელისუფლებაში დარჩება, საეჭვოა, მას შესწევდეს იმის უნარი, დაიცვას დემოკრატიული ფასეულობები, ადამიანის უფლებები და საქართველო ნატოში შეიყვანოს.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურმა საკვირაო მსახურების დროს მოუწოდა მრევლს, თავი აარიდონ არჩევნების ფალსიფიკაციას. „პატრიარქი ილია II ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი ადამიანია. არჩევნებამდე იგი ცდილობდა, არ გამოეხატა თავისი სიმპათია რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ, თავს არიდებდა მკვეთრ გამონათქვამებს მას შემდეგაც კი, რაც პატიმართა წამების ამსახველი ვიდეოჩანაწერები გამოქვეყნდა. თუმცა მან კვირას მაინც განაცხადა: „ძველი რომაელები ამბობდნენ: **Vox Populi, Vox Dei**, ხმა ღვთისა, ხმა ერისა. თუ არჩევნებზე დარღვევები იქნება, რა უნდა ვუთხრათ ჩვენს წინაპრებს? ისინი ამას არ გვაპატიებენ".

არჩევნებს წინ უსწრებდა ოპოზიციის დემონსტრაცია. დამკვირვებელთა შეფასებით, ხალხი ძალზედ თავდაჯერებული ჩანდა და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ თუ მათ არჩევნების შედეგები არ მოეწონებოდათ, ისინი ქუჩაში გამოვიდოდნენ.

საქართველოს ბოლოდროინდელ ოცწლიან ისტორიაში, ეს არის პირველი შემთხვევა, როცა არ ვიცით, როგორი იქნება არჩევნების შედეგები, — აცხადებს **Human Rights Watch**-ის თანამშრომელი. აქამდე ოპოზიციას არ ჰქონია იმის რესურსი, რომ ხალხი ასე დაემუხტა.

### სააკაშვილმა სცადა ქვეყნის მოდერნიზაცია, მაგრამ ახლა სულ უფრო ემსგავსება პუტინს

წერს **Der Spiegel**-ის მიმომხილველი. სააკაშვილს, რომელიც 2004 წელს ხელისუფლებაში სამაგალითო დემოკრატის დაფნის გვირგვინით მოვიდა, მძიმე გამოცდა ელის. თუკი საქართველოს სურს, რეგიონში დემოკრატიულ ქვეყნად დარჩეს, ახლანდელმა პრეზიდენტმა უნდა შეძლოს ის, რასაც თავი ვერ გაართვეს მისმა კოლეგებმა მოსკოვში, მინსკში, კიევში და კავკასიის სხვა რესპუბლიკებში: ნებაყოფლობით უარი თქვას ძალაუფლებაზე.

ბოლო პერიოდში სააკაშვილის, როგორც რეფორმატორის იმიჯი შეირყა. გავიხსენოთ 2007 წლის მასობრივი გამოსვლებისას ასობით დაზარალებული, 2008 წლის ხუთდღიანი ომი, გადავსებულ საპატიმროებში ტუსაღების წამება, მასობრივი დემონსტრაციები თბილისში...

სააკაშვილი, რომელიც საქართველოს მეორე სინგაპურად ან დუბაიდ გადაქცევას უპირებდა, საეჭვო რეპუტაციის „მოძღვარს" ჰბაძავს. ამ ადამიანის სახელია ვლადიმირ პუტინი. ახლანდელი პრეზიდენტი ემზადებოდა, ზუსტად გაემეორებინა პუტინის მანევრი და საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების წყალობით, სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფიგურა — პრემიერ-მინისტრი გამხდარიყო.

საქართველოში ჰილარი კლინტონის ვიზიტისას, მას დაუსვეს შეკითხვა: „ხომ არ გამორიცხავს იგი 2013 წელს პრემიერ-მინისტრად გახდომის შესაძლებლობას?" მაშინ პრეზიდენტმა თავი აარიდა შეკითხვას და ლაპარაკი დაიწყო წარმატებულ რეფორმებზე. ამიტომაც ფიქრობენ პოლიტიკოს-ანალიტიკოსები, რომ მან „გემო გაუგო ძალაუფლებას და ნებაყოფლობით არაფერს დათმობს".

### არჩევნებმა კიდევ უფრო გახლიჩა ქართველი საზოგადოება

წერს **The Washington Post**. წარმოუდგენელი რამ ხდება რეგიონებში, სადაც ავტოკრატია ნორმაა. კონკურენტუნარიანმ არჩევნებმა საქართველო დასავლური ყაიდის ლიბერალური დემოკრატიის გზაზე უნდა გაიყვანოს.

წერილის ავტორი დადებითად აფასებს საქართველოში ძლიერი ოპოზიციის ჩამოყალიბებას. „პარლამენტში მმართველი პარტია შეეჩეხება ძლიერ, სამართლიან და დამოუკიდებელ ძალას. ეს განასხვავებს მას დანარჩენი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისგან, მათ შორის რუსეთისგანაც.

### საქართველოს პრეზიდენტი შეცდა

საქართველოს პრეზიდენტმა სათანადოდ ვერ შეაფასა როგორც თავისი მოწინააღმდეგე, ასევე ციხეში წამების სკანდალის შედეგები, წერს ფრანგული გამოცემა Le Figaro. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ, საპარლამენტო არჩევნების შედეგებით წააგო თბილისში, ვერც რაიონებში გაიმარჯვებს და პარლამენტში საკმარის ადგილს ვერ მიიღებს.

ორშაბათს თბილისში საარჩევნო უბნებთან უკიდურესად პოლარიზებული ხალხი იდგა. ცვლილებების მომხრეებს სურთ ცხოვრება უკეთეს ქვეყანაში, სადაც ჯანდაცვა და განათლება ხელმისწვდომი იქნება ყველასთვის და არა მხოლოდ მათთვის, ვინც ძალაუფლება ხელში ჩაიგდო.

ვიღაცა მხარს უჭერს მიხეილ სააკაშვილს — „ქართული დემოკრატიის ფუძემდებელს"... ამ ქალაქში, რომელიც ყოველთვის ოპოზიციურია, ცოტაა ისეთი ხალხი, ვინც ასე ფიქრობს.

## opoziciam saqarTvelos liders Seutia

საპარლამენტო არჩევნების შედეგად პრეზიდენტ სააკაშვილის პოზიციები შეირყა. ორშაბათს საქართველოში გამართული არჩევნები „ყოფილ საბჭოთა ტერიტორიაზე სახელმწიფო მართვის დასავლური მოდელების ლაკმუსის ქაღალდია".



ეგზიტპოლის შედეგებით, „ქართული ოცნება" პარტიული სიით მანდატების ნახევარზე მეტს მიიღებს. ახლა მეორე ნახევარი, ასე ვთქვათ ინდივიდუალურ ორთაბრძოლებში, ისეთ ოლქებში „თამაშდება", სადაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ლიდერობს.

დასავლეთში სააკაშვილის ხელისუფლებას აქებდნენ და უწოდებდნენ იმ რეგიონის რეფორმების შუქურას, სადაც ავტოკრატები ჭარბობენ, მაგრამ ოპონენტები სწორედ სააკაშვილს სდებენ ბრალს ავტოკრატიულ ტენდენციებში.

„პარლამენტის დაკარგვა 44 წლის სააკაშვილის პოლიტიკური კარიერის ფაქტობრივი დასასრულია", — წერს ავტორი. სააკაშვილი პრემიერ-მინისტრობას აპირებდა, მაგრამ ახლა ამ ადგილს მისი მთავარი მეტოქე — ბიძინა ივანიშვილი უმიზნებს.

მმართველი პარტიის იმიჯი საბოლოოდ შელახა დამზაფრველმა ვიდეოჩანაწერებმა, რომლებზეც პატიმართა ღირსების შემლახავი კადრებია აღბეჭდილი. სკანდალმა ქართველ საზოგადოებაში არსებული განხეთქილება გააშიშვლა.

**The Wall Street Journal**

## opozicioneri miliarderi saparlamento arCevnebSi imarjvebs

**ვიდრე ცენტრალური საარჩევნო კომისია ბიულეტენებს ითვლის, საქართველო ეგზიტპოლების შედეგებით ბიძინა ივანიშვილის კოალიციის გამარჯვებას ზეიმობს. „ვარდების რევოლუციის" არქიტექტორს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს პოზიციების დათმობა მოუწევს.**



საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა არსებული რეჟიმის შეცვლას ითხოვს. თუკი „ქართული ოცნება" ახლანდელ ხელისუფლებას ჩაანაცვლებს, ეს იქნება ყველაზე დიდი ეროვნული რყევა მას შემდეგ, რაც 2003 წლის „ვარდების რევოლუციის შედეგად" სააკაშვილმა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება გადააყენა.

**The Times**

**მიმოხილვა მოამზადა ბ. ჭავჭავაძემ.**

# rasafrTxeebi emuqreba biZina ivaniSvils arCevnebis Semdeg?



— მე დაპირებები არ მიყვარს, მაგრამ, რასაც გპირდებით, შეგისრულებთ, — თქვა ბიზნესმენმა ბიძინა ივანიშვილმა ერთი წლის წინ. მან ერთ მუშტად შეკრა უიმედო ხალხი, მშვიდად მოგვიყვანა არჩევნებამდე და გამარჯვება მოაპოვებინა ქართველ ხალხს.

ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს ისტორიაში პირველმა სისხლისღვრის გარეშე მოახერხა ის, რომ ხალხს დაუბრუნა რწმენა და იმის განცდა, რომ საქართველო ეკუთვნის მას, საქართველოში მცხოვრებ ხალხს და არა რამდენიმე ათეულ არამზადას...

ბიძინა ივანიშვილმა 1 ოქტომბერს მოახდინა დიდი მენტალური რევოლუცია და იგი ამ რევოლუციის გმირია.

მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც ის არის, რომ არა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილმა, მისმა ვაჟმა **ბერა ივანიშვილმა მოახერხა ის, რომ ჰარი პოტერის და მაიკლ ჯეკსონის მისაბაძი პერსონაჟების მაგივრად ახალგაზრდებისთვის ის გახდა მისაბაძი, როგორც ალალი, გულწრფელი და პატრიოტი... ქართველი მოზარდებისთვის დღეს ბერაა კეთილი და საყვარელი ქართველი ბიჭი...**

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მას შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა თავისი პოზიცია გუშინ უკვე ხმამაღლა აღიარა და გამოხატა ერთი ძველი ნაცნობი პოლიტიკური ემიგრანტი დამიკავშირდა, გახარებულმა მომილოცა ხალხის თავისუფალი არჩევანი და ისეთ საინტერესო და ნიშანდობლივ რამეებზე გამამახვილებინა ყურადღება, ველარ მოვითმინე ეს ამბები თქვენთვის არ გამეცნო.

ის ადამიანი საფრანგეთში ცხოვრობს და ხშირად ხვდება სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლებს. მისი თქმით, პირველი ოქტომბრის შემდეგ საქართველო სერიოზული გამოცდის წინაშე დადგება და რადგან ჩვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი განაცხადი გააკეთა, მოსალოდნელია, ეცადონ საქართველოში პოლიტიკური დესტაბილიზაცია შექმნან, ეს არ იქნება საკუთრივ მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის ნებით ან სურვილით გამოწვეული. თუმცა სააკაშვილს ისედაც აწყობს და მის გუნდს ხელს აძლევს ახლა საქართველოში არეულობა, რათა საჭიროების შემთხვევაში, უფრო იოლად მოახერხონ უკანონოდ მოხვეჭილი და მიტაცებული ქონების ქვეყნის გარეთ გატანა და ოჯახის წევრების გახიზვნა. ამ არეულობით უფრო მეტად გარე აგრესიული ძალები იქნებიან დაინტერესებულნიო.

იმის გათვალისწინებთ, რომ ამ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ბიძინა ივანიშვილმა ხალხის უდიდესი ნდობა და სიყვარული მოიხვეჭა და კოალიციაში შემავალ სუბიექტებზე უფრო დიდი ავტორიტეტი აქვს, რადგან სხვა კანდიდატურებზე ყოფილა ფსონი დადებული, შესაძლებელია მის მოშორებას ეცადონო. მე, როგორც საზღვარგარეთ მყოფ ქართველს, მიმაჩნია, რომ ბიძინა ივანიშვილი თუმცა მოქმედებებში სრულიად თავისუფალი არაა, შეძლებს საქართველოს ბევრი სიკეთე მოუტანოს, მაგრამ საქართველოთი არა ერთი და ორი სახელმწიფოა დაინტერესებული და როგორ მე ერთი ადამიანი გამაძევეს საქართველოდან საკუთარი შეხედულების გამო, მით უფრო, რომ დიდად მნიშვნელოვანი ფიგურა არასდროს ვყოფილვარ, ბიძინა ივანიშვილს რამხელა საფრთხეები შეიძლება ემუქრებოდეს, ხომ წარმოგიდგენიათო!



იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ მერაბიშვილი, ოქრუაშვილი, იგორ გიორგაძე და თვით კანონიერ ქურდი ტარიელ ონიანი ერთმანეთთან დღეს კონტაქტში არ არიან, ძალიან ცდება. ჩემი მეგობარი, რომელიც რუსეთში ცხოვრობს და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერია, იგორ გიორგაძესთან ყოფილა სტუმრად. როდესაც საუბარი „ქართულ ოცნებაზე“ ჩამოვარდნილა, უსუფაშვილი და ხიდაშელი ჩემს ძველ მეგობარს უცენზურო სიტყვებით მოუხსენიებია და იგორ გიორგაძე ისე გაბრაზებულა, დიდი კამათიც მოსვლიათო.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, დიდი შანსია, ისეთივე სცენარი გაითამაშონ, როგორიც მერაბ კოსტავას შემთხვევაში მოხდაო.

ამ მძიმე ვითარებაში ჩვენ ისღა დაგვრჩენია ბატონ ბიძინას სიფრთხილისკენ მოვუწოდოთ, რადგან როგორც ჩანს, არსებობენ ძალები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რომლებსაც ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციის გეგმა დღის წესრიგიდან არ მოუხსნიათ...

ჩვენ არ გვაქვს იმის გარანტია, რომ უკანასკნელი ძალების დაძაბვითა და მობილიზებით მოპოვებული გამარჯვება, რომლის სულისჩამდგმელი და შემოქმედი ერთი უბრალო ჭორვილელი გლეხის ბიჭი სულით ქართველი ბიძინა ივანიშვილია, არ გაგვიუფერულონ. ამიტომ მეტი სიფრთხილე გვმართებს ჩვენც და მეტი სიფრთხილე მართებს **ბიძინა ივანიშვილსაც, დღეს უკვე ერის სულიერ და ფიზიკურ წინამძღოლს, რომელმაც მოკლე დროში მოახერხა ტრანსფორმაცია წარმატებული ბიზნესმენობიდან რეალურ, ცოცხალ სულიერ ლიდერობამდე და ჩამოყალიბდა, როგორც წარმატებული „მეოცნებე“ პოლიტიკოსი,**

ხოლო ოცნების გარეშე არწივებიც არ ფრენენ...

**ირანდა კალანდაძე**

---

**ხათუნა ლაგაზიძე, ექსპერტი პოლიტიკის საკითხებში:**



მიხეილ სააკაშვილი ყველა მეთოდით ცდილობს, რომ „ქართულ ოცნებას“ არ მისცეს საკონსტიტუციო უმრავლესობა პარლამენტის 2/3, რადგან სააკაშვილს იმპიჩმენტის საფრთხე ემუქრება, რაც აბსოლუტურად რეალურია იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნება“ პარლამენტში უმრავლესობით მოვა. ამიტომ მიხეილ სააკაშვილი ცდილობს „ქართულ ოცნებას“ ფორმალური გამარჯვება გაუფორმოს, ხოლო, მეორეს მხრივ, დაიტოვოს იმის გარანტია, რომ დააკომპლექტოს და მართოს აღმასრულებელი ხელისუფლება. არავინ არაფერს არ დათმობს ახლა არ არის ისეთი სიტუაცია, როცა „ნაციონალებს“ შეეძლოთ გარკვეულ საკითხებზე ვაჭრობა. ამ შემთხვევაში თავად „ქართული ოცნებაც“ არ წყვეტს არაფერს. ახლა საუბარია იმ ხმების დაცვაზე, რომელიც ამომრჩეველმა ამა თუ იმ პარტიას მისცა.

პროცესების ესკალაციას გამოვრიცხავ, მაგრამ გარკვეული დაძაბულობა, ალბათ, იქნება. უბრალოდ, ერთი მაკვირვებს, იმ ფონზე, როცა „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც სახელისუფლებო ძალა, დამთავრდა რა მოტივაცია ამოძრავებთ იმ ხალხს, ვინც კიდევ არჩევნების გაყალბებაში კიდევ მონაწილეობს. ამ რვა წლის განმავლობაში როგორ არიან მონუსხული, რომ თვითგადარჩენის ინსტინქტი მაინც არ ამოძრავებთ.



**მაია ფანჯიკიძე, „ქართული ოცნების“ პრეს-სპიკერი:** ეს არის არაჩვეულებრივი შედეგი, რომელსაც ჩვენ ველოდით იმ მხარდაჭერისგან გამომდინარე, რომელსაც ბოლო ოთხი თვის განმავლობაში ვგრძნობდით. ჩვენი ერთი წლის შრომა დაგვირგვინდა ასეთი დიდი წარმატებით. მომდევნო საათები გადამწყვეტი იქნება სანამ უბნებიდან ოქმები გამოვა. ამიტომ ახლა არ უნდა მოვდუნდეთ.



**თამრიკო ჭოხონელიძე, მომღერალი:** როგორც იქნა სამართალმა გაიმარჯვა. ამდენი წელიწადია ქართველი ხალხი სამართლიანობას ელოდება და ხალხის ხმამ მართლაც გაიმარჯვა. მმინდა ქართველ ხალხს მიულოცო სამართლიანობის აღდგენა.



**რამაზ საყვარელიძე, — ექსპერტი პოლიტიკის საკითხებში:** - არჩევნების პირველი შეფასება, პრაქტიკულად, გვიკარნახა საპარლამენტო არჩევნების ღამემ. ჩემი აზრით, ბრძოლა ჯერ კიდევ დასრულებული არ არის და პროცესი გრძელდება. “ქართულმა ოცნებამ” პოლიტიკური ბრძოლის სერიოზული რაუნდი მოიგო, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი გაუგებრობაა მაჟორიტარებთან დაკავშირებით.

ახლა ბრძოლა იმაზე მიდის, ვის ეყოლება პარლამენტში ნახევარზე მეტი პარლამენტარი. ახლა, ცხადია, მხოლოდ ის, რომ ხელისუფლებას საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ეყოლება. თუმცა ცეკო-ს მოქმედებაში გარკვეული ტენდენცია იკვეთება. სამწუხაროდ, ცესკო არ იმსახურებს იმ ნდობას, რომ მისი მონაცემები უდაოდ იყოს მიღებული. ამავე დროს უბნების გაუქმების ტენდენციაც იკითხება. არის უბნები, სადაც ხელისუფლების ჩარევის შედეგად მოსალოდნელია უბნების გაუქმება. ამ გაუქმებებმა, შესაძლოა, მეტი ზარალი მიაყენოს “ქართულ ოცნებას”, ვიდრე - “ნაცმოძრაობას”.

უდაოა, რომ საქართველოში ერთპარტიული მმართველობა დასრულდა და ახლა ქვეყანაში ორხელისუფლებიანობის პერიოდია. კონსტიტუციაშიც ჩადებული იყო ეს ნაღმი. ახლა მთავარია, მმართველი პარტია, რომელიც ყველგან და ყველაფერში ძალას ეფუძნებოდა, მას ორხელისუფლებიანობის პერიოდში რაც შეიძლება მცირე საყრდენი ჰქონდეს.

არჩევნების შედეგებზე მოსახლეობის რეაქციამ გვაჩვენა, რომ იგი ზნეობრივ საფუძველზეა ორიენტირებული. საზოგადოებისთვის მიუღებელია ძალის დემონსტრირებაზე აგებული ცხოვრება. ხალხს არ სურს, რომ ძალადობაზე დამყარებული ურთიერთობები, ანუ ისეთი რამ, რაც ჩვენ ციხეებში ვნახეთ, იყოს მისი ცხოვრების წესი და ხელისუფლებისა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობების ფორმულა არ იყოს განმსაზღვრელი. ეს არა მარტო შიდა პოლიტიკის, არამედ საზოგადოების ზნეობრივი არჩევანის საკითხია და მისთვის ბრძოლა ჯერ დასრულებული არ არის.

**მირანდა ნაბახტეველი.**

# pirvel amde da pirvelis mere...

რას ემსახურება დღეს, სამწუხაროდ და საუბედუროდ, დემოკრატიული „ტრანსფორმაციის“ შედეგად მიღებული ანუ ლიბერალური, თანამედროვე, ევროპული მიდრეკილებების თავისუფალი აზროვნებით განოყიერებული ქართული ე.წ. ელიტარული ჟურნალისტიკა?!

ამას წინათ ერთი ლიბერალი ჟურნალისტის ნააზრევი მოვისმინე, რომელიც გამოხატვის ორიგინალურ ხერხს მიმართავდა ქართული დემოკრატიის „აღსაზრდელად“: გმობდა ძალადობას ციხეებში, გმობდა ძალადობას სტუდენტების მხრიდან, ეკლესიის მხრიდან, გმობდა ძალადობას ზოგადად.

ახლა რასაც ვწერ, სავარაუდოდ, ეს არის მტკიცებულებითი დოკუმენტი იმისა, რომ ევროპაში ინტეგრირებული, ნატოს სტრუქტურებში გაწევრიანებული, „თანამედროვე მსოფლიოს ნაწილი“ საქართველოს ჟურნალისტიკა მომავალში ზურგს შემაქცევს, როგორც რეგრესულს და კონსერვატიულს, მაგრამ უნდა ვთქვა — საქართველო არ არის აფრიკის რომელიმე ჩამორჩენილი ტომი, რომ თანამედროვეობას ფეხი ვერ აუწყოს და მას აუცილებლად მასწავლებლები სჭირდებოდეს...

ვითომ ლიბერალური ელიტარების და ბომონდებად თვითმარქვია ადამიანების მიერ იდეოლოგიურ სამოთხეში წასაყვანი საქართველოს არაფერი სჭირს. ყველა მდინარე თავის კალაპოტს თვითონ მონახავს და ციხეებში ძალადობის გმობა, სტუდენტთა პროტესტის გამოხატვის ძალადობად აღქმა, ეკლესიის პოზიციები, ლუკა კურტანიძის, ადამიანის, რომელსაც აქვს მართალი გული და არის ვაჟკაცი, მისი პოზიციის და მოქმედების დაგმობა სნობობაა, თვითდამკვიდრების გოიმური მცდელობა და აშკარა, სასირცხვილო ონანიზმია, მე თუ მკითხავთ.

ერს, ისევე, როგორც ადამიანს ბუნებრივი ინსტინქტები აქვს და ეს ინსტინქტები ასევე ბუნებრივად და სპონტანურად გამოიხატება მაშინ, როცა ამის მაპროვოცირებული ფაქტორი იჩენს თავს.

სამწუხაროა, რომ საქართველომ სიმდაბლეზე და ერის გონების ტრანსფორმირების მცდელობაზე 9 წლის განმავლობაში უშედეგოდ ივიშვიშა, მაგრამ პოლიტიკოსები, რომლებიც თითქოს ხალხის ნებას გამოხატავდნენ, სინამდვილეში ლაპარაკობდნენ და აკეთებდნენ იმას, რაც უცხოეთს, დასავლეთს მოეწონებოდა. ამ მედასავლეთეობამ დაგვღუპა ჩვენ, და ზუსტად ვიცი, ზოგიერთი იმ დასავლეთში ან დაგვამცირებს, ან გამოგვიყენებს და ან საერთოდ, უგულებელგვყოფს ჩვენი მიმბაძველობის და უპრინციპობის გამო, ისე, როგორც მძულდა ყოველთვის ის თანატოლები, რომლებიც მბაძავდნენ და საკუთარი მე არ გააჩნდათ...

რა სურს დღეს ქართველ ხალხს?

რაც სურს ქართველ ხალხს, როცა კალაპოტი ნახა ივანიშვილის პროვოცირებულ აქციებში, ყველამ ნახა და ეს მუტაციურ-პერვერსიული საზოგადოებრივი, შიდა თუ გარე პოლიტიკა უნაყოფო აქტია, რომლისგან სიამოვნებასაც კი ვერ იღებს ქართველი ხალხი...




ტყუილად ტრიალებენ საქართველოს მენტალურ სივრცეში ჟვანია-სააკაშვილის აწ უკვე ფრთადაძენძილი არწივები ჟურნალისტების მანტიაში, ხალხი, ვისაც სურს ახლადფეხადგმული ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა უპრინციპო მონის მდგომარეობაში ამყოფონ ისე, როგორც თვითონ არიან... უსაფუძვლო, უფესვო, უიდეო, ყრუ არსებებად, რომლებსაც მხოლოდ ის ესმით, რასაც ჩასძახებენ...

საქართველოში არ მეგულება ადამიანი, ვისაც ქსენოფობია ოდნავ მაინც უწუხებდეს გულს. არავინ ებრძვის აქ არც ერთი სხვა ეროვნების ადამიანს. არც არასდროს უდევნიათ არავინ განსხვავებული აღმსარებლობის გამო და ზოგიერთი თვითონ ქსენოფობი, რომელსაც, როგორც ეტყობა, ქართული და ეროვნული ყველაფერი ეზიზღება, აქეთ დებს ხალხს ბრალს — სომხები რატომ ეჯავრებათო.

რაც შეეხება გეიაღლუმს. საქმე ისაა, რომ, როგორც ყველასთვის ცხადია, გეები სულიერ და ფიზიკურ სიამოვნებას არატრადიციულ სიყვარულსა და სექსში პოულობენ. „ელიტარები“ და „ლიბერალები“ მათ მეტ ინტეგრაციას მოითხოვენ — საზოგადოებაში ხმას ხმამაღლა ვერ იღებენო. მაინტერესებს, ხმას რომ ამოიღებენ, რა უნდა თქვან: სიამოვნების წერტილები ანალში გვაქვს, თქვენ კი სხვაგანო?

ყოველგვარი კულტივირება არის ფარსი და როგორც ამერიკული სიმინდის თესლმა ვერ იხარა ქართულ მიწაზე, ისევე ვერ იხარებს ვერაფერი, რომელსაც ნიადაგი არ ექნება შესაბამისი და ტყუილად ნუ ცდილობენ ნურც ერის იდეოლოგიურ მამებად და დედებად თავწარმოჩენილი ე.წ. დასავლური ღირებულებების მატარებელი ინტელექტუალი ადეპტები ძალად ერის „გასვეტებას“!!! არაფერი გამოვა ამ საქმიდან...

თუ დემოკრატია ჩვენთვის ცნობიერებისა და მენტალიტეტის საბავშვო ბაღია, ერი იმ „საგანს“ აითვისებს უკეთესად, რომლისკენაც მიდრეკილება აქვს, თორემ ხომ ხედავთ, ჩვენ წინაშე ნათელი მაგალითია — მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილი სად არ ატარეს, ენები ასწავლეს, კულტურა შეათვისებინეს, ცხოვრება ანახეს და ვინ დადგა მისგან — დახვეწილი, კეთილშობილი ერუდიტი თუ ხარბი, ჰალსტუხის მღეჭავი, ცხვირის თითით მხოცავი, ქალების ძუძუს მკვნეტელი, ემოციურად არამდგრადი და ადამიანების სასიკვდილოდ გაწირვაში და თვით მკვლელობაში ეჭვმიტანილი სუბიექტი?!

ჩვენს ქვეყანას აქვს გენეტიკური ცნობიერება, ჩემი აზრით, ურყევი ტრადიციული ღირებულებები ტანსფორმაციების გარეშე და მას ვერავინ ასწავლის ტოლერანტობას, თანამედროვეობას. საქართველო არის საქართველო; სადაც არ არსებობს ღირებულებათა დეფიციტი, ხოლო მისმა შვილებმა თუ გერებმა, ვისაც „დედის“ სისხლიანი და ცრემლიანი საუკუნეებში გახუნებული ბრძოლით დაცრეცილი კავკასიური ლეჩაქი არ მოსწონს, ევროპულ ჟაბოებს სცეს თაყვანი და ტრანსსექსუალურ ნირვანაში დაივიწყოს ქართველებისთვის შეთავაზებული დიდაქტიკური დროის კარგვა...

**ირანდა კალანდაძე**



## xalxis azriT

და აღარ "ჩარეცხავენ" სუსტებს, და საზოგადოებრივი მაუწყებელი მართლა საზოგადოებრივი გახდება, და აღარ შეგვეშინდება, რომ ვილაც მოგზავნილია და ჩაგვიშვებს, და დაგვიბრუნდება ყოველდღიურობა, და ფუქსავატი ჭორებით გავირთობთ თავს, და მოვუსმენთ მუსიკას, და წავიკითხავთ კარგ და ჭკვიანურ წიგნებს, და ისევ ვიგრძნობთ თავს ადამიანებად, და, აღარ იხავლებს განუწყვეტლივ ჩვენი პროდასავლელად წოდებული და რეალურად, პუტინის ასლი ლიდერი ტელეეკრანებიდან, და მე წყნარად მოვკვდები იმიტომ, რომ ბავშვებს თავისუფალ ქვეყანაში დავტოვებ, და ხალხი მიხვდება, რომ შეუძლია შეცვალოს თავისი ცხოვრება და ისევ დაუბრუნდება სამშობლოს განცდა საქართველოს ყველა მოქალაქეს! :)))

აი, ეხლა უნდა დავდგეთ ყველანი ჩვენი ხმების დასაცავად!!!!!!!!!!!!! არცერთი ხმა, არცერთი პროცენტი არ უნდა დავუთმოთ! არანაირი გარიგება და მოლაპარაკება!!!!!

ერთი წუთით არ შეიძლება ყურადღების მოდუნება, ყოფილი ხელისუფლება ოცნებობს, რომ გამარჯვება მოპაროს ხალხს. არაფერი გამოუვათ, მაგრამ ყურადღება მაინც აუცილებელია!

61% აქტივობა??? აი ესაა გაბერილი სიების ბრალი! დაგვთვალეთ ერთხელ და სამუდამოდ, — არ შეიძლება, კაცოოოოოოო????!!!

ახლა მე ვარ სიყვარულითა და სიხარულით გაბერილი დიდი ბუშტი...ვერ ვეტევი დედამიწაზე და მივფრინავ ცაში...მოიცა! ეს ვინაა, ღრუბელ—ღრუბელ რომ მიიპარება ცოცხზე გადამჯდარი? მიშა, შე უნაკლო...ხომ გითხარი, "გავფრინდებით-მეთქი. აბა ახლა თქვი:აააააა!:))

ბიძინამ სიტყვა შეასრულა და ოქტომბერში გამარჯვება მოუტანა საქართველოს!! და დიდი რუსთაველის სიტყვებით მიულოცა ქართველობას — "რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია"!!! გილოცავთ სუყველას, ღმერთმა დალოცოს საქართველო!!! მადლობა ამ კაცს, რომელმაც სირცხვილი მოწმინდა ჩვენს სამშობლოს — სააკაშვილის უგვანო რეჟიმის სახით!!!!!

ისე, როგორები ვართ მაინც. გუშინ გვიჭერდნენ, გვისმენდნენ, გვაშინებდნენ და დღეს ვივიწყებთ ყველაფერს და ვითანამშრომლოთო. ნეტავ, როდისმე შევიცვლებით?

თუ აღიარებ, რომ პროპორციული სისტემით წააგე, ეს მაჟორიტარების მოგება როგორაა? პარტიულ სიაში 41 შემოხაზა ხალხმა და მაჟორიტარებში ხუთიანი??? :))))))))))))))) აი, ამას იდიოტიც კი არ იტყოდა!!!!

# saakaSvils Tavi uZleveli rom egona, misi diqtatura swored maSin daemxo



**„საერთო გაზეთის“ წინა ნომერში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ ხელისუფლების ბარბაროსული გეგმის შესახებ ისაუბრა. ამ საკითხის წამოჭრა ციხეებში პატიმრების მიმართ არაადამიანური წამების გამოაშკარავებამ განაპირობა. წამების ფაქტების შესახებ საზოგადოებას მანამდეც არაერთხელ გვსმენია, თუმცა, ალბათ ცოტა თუ დაფიქრებულა იმის შესახებ, რომ ხელისუფლებამ ციხის რეფორმა კონკრეტული მიზნისკენ — მოსახლეობის უძრავი ქონების კაპიტალიზაციის მოსახდენად მიმართა. საქართველოს უძრავი ქონება 24 მილიარდს შეადგენს, თუმცა პრობლემის გასაღები მხოლოდ ციხის რეფორმიდან უძრავი ქონების შეწოვა როდია. აანალოგიურს ხელისუფლება ჯანდაცვის, განათლების რეფორმებითაც ახორციელებს. რა მეთოდებით ახდენს სააკაშვილის ხელისუფლება — ქვეყნის იდეოლოგიური მტერი სხვადასხვა დარგის რეფორმებით უძრავი ქონების „შეწოვას“, ჩვენი მიწა-წყლის გასხვისებასა თუ ქართველი მოსახლეობის ქვეყნიდან განდევნას, ამ საკითხებზე ბატონი დიმიტრი უფრო ვრცლად გვესაუბრება:**

— პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ, როცა ინტერვიუ დაიბეჭდება, პოლიტიკურად თვისობრივად სხვა ატმოსფეროში ვიცხოვრებთ. ბოროტისგან გათავისუფლების განცდა მეუფლება, რაც წლების მანძილზე სულთამხუთავივით გვახრჩობდა. ივანიშვილმა ბიძგი მისცა ახალ მოძრაობას, მან გამოაფხიზლა, გამოაცოცხლა ეროვნული მოძრაობა, ამისთვის მას ისტორია საპატიო ადგილს განუსაზღვრავს, ჩვენც მოკრძალებით მადლობას შევწირავთ. ვფიქრობ, ჩვენი თანამედროვე ყოფის პირობებში ეს არჩევნები ბოლო შანსია. ეს მხოლოდ არჩევანის თავისუფლების რეალიზაცია არაა, არამედ რეალური სინანულის განცდა, რომელიც ახალი ხელისუფლების მიერ მომზადებულ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ინიციატივებში უნდა გამოიხატოს. კერძოდ, მინდა მოსახლეობას შევახსენო, რომ 2010 წელს ხელისუფლებამ ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებების შემსწავლელი კომისიის შექმნით შეეცადა ის ვალდებულებები გადაეფარა, რაც 1991-93 წლების მოვლენების შემსწავლელ კომისიას საკუთარ თავზე უნდა აეღო. დაიდო არაფრისმთქმელი, უნიათო დასკვნა, რომელსაც არანაირი კონკრეტიკა თან არ ახლავს, სამაგიეროდ, წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით, სააკაშვილს ის ლაქა ჩამოერეცხა, რაც მისი დანაპირების აუსრულებლობას უკავშირდებოდა. რა თქმა უნდა, დაკვირვებული მკითხველი, საზოგადოება ამ პროტესტს გულით ატარებს. თუმცა, მასობრივად, ამაზე მსჯელობა, არ მიმდინარეობს, არადა ეს ცხვრის ტყავში გახვეული მგლის როლის შემსრულებელი ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი მთავარი ბრალდება იქნებოდა. ამის შემდეგ სცენაზე მთავარი გმირები გამოჩნდნენ: ბაჩო ახალაია, რომელიც სახალხო დამცველის მოადგილე გახლდათ. მის მიმართ საზოგადოებაში გარკვეული ნდობა არსებობდა, მაგრამ ნდობა მალევე გაქარწყლდა, როდესაც მიხეილ სააკაშვილის მოქმედების გენერალური ხაზი გამოიკვეთა — ეს ნულოვან ტოლერანტობას უკავშირდება, ანუ 2006 წლის თებერვალს. ამ პერიოდში ახალაია ტოვებს სახალხო დამცველის აპარატს და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ ინიშნება. ცხადდება ნულოვანი ტოლერანტობა, 2006 წლის ივნისშივე გიგა ბოკერიას თაოსნობით საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივების მთელი პაკეტი შემოდის, მათ შორის, სასჯელების შეკრებითობის კანონი და სწორედ ამ დროს პოტენციური მსჯავრდებულებისთვის, რომელთა რიცხვი 2006 წლიდან კატასტროფულად გაიზარდა ჯოჯოხეთური პირობები იქმნება. აქვე ერთი დეტალი, რომელიც ამ ხელისუფლების რეალურ ზრახვებს უკავშირდება — სწორედ ამავე პერიოდში 2006 წლის ივნისში ისევ და ისევ გოგა ბოკერიას თაოსნობით სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცვლილება შემოდის, რის მიხედვითაც დამატებითი სასჯელების სახით განსაზღვრული ჯარიმების მაქსიმალური ზღვრული ოდენობის ჭერი იხსნება, რომელიც მანამდე 10 ათას ლარს შეადგენდა და ეს თანხა ახლა უდრის პლუს უსასრულობას, პლუს განუსაზღვრელობას, ანუ ნებისმიერი დანაშაულის ჩადენისთვის დამატებითი სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმის ოდენობა შეიძლება ნებისმიერი არაადეკვატური თანხა ყოფილიყო. სწორედ მაშინ შეიქმნა პრეცედენტები — მოსამართლე ხარებავამ ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის ბრალდებულ პირს გირაოს სახით 184 ათასი ლარი დააკისრა. იგი მოპარული მობილური ტელეფონის გასხვისების ბრალდებით იყო დაკავებული. სწორედ მაშინ ნარკოტიკული დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირებისთვის 10-20-30 ათასი ლარის დაკისრება თითქმის ნორმად ითვლებოდა. 2007 წელს დამატებითი სასჯელის სახით მოსახლეობისგან მიღებულმა თანხებმა, როგორც არასაგადასახადო სეგმენტმა, ბიუჯეტში 30 მილიონი ლარი შეადგინა. ეს ის 30 მილიონი ლარია, რომელიც მსჯავრდებულთა ოჯახის წევრებმა საკუთარი უძრავი ქონების გაყიდვით, დაგირავებით, უცხოეთში გადახვეწით მოიპოვეს. ცხადია, ხელისუფლება საკუთარ მოსახლეობას დიდ საჭადრაკო პარტიას ეთამაშებოდა და დარწმუნებული იყო, რომ პარტია მის სასარგებლოდ დასრულდებოდა და ერთდროულად რამოდენიმე მიზანს მიაღწევდა, პირველი: გაღატაკებული, დაბეჩავებული მოსახლეობის მართვა ძალიან ადვილია. დღეის მდგომარეობით, საქართველოში 1.650 ათასი ადამიანი სიღატაკის ზღვარს ქვემოთაა, ეს ამ ხელისუფლების ერთ-ერთი „დამსახურებაა“, რითაც მათ მორჩილი, დაკაბალებული საარჩევნო ელექტორატის შექმნა უზრუნველყვეს. მეორე — მნიშვნელოვანი საკითხი, ასევე ელექტორალურ მიზნებს უკავშირდება, ეს საოცრად დიდი მიგრაციის ხარისხია, რომელიც ხელისუფლებამ უზრუნველყო და განახორციელა. 2009-2010 წლის სტატისტიკით თუ ვიმსჯელებთ, რაც ოფიციალურად გამოთხოვილი დოკუმენტის საფუძველზე ხელთ ჩაგვივარდა, ყოველწლიურად ქვეყანას 160 ათასი ელექტორალურ ასაკს მიღწეული ადამიანი ტოვებს, რომელიც სამუშაოს ძებნაში ქვეყნის საზღვრებს გარეთ შემოუსვლელად გადის უკან. ამიტომაა, რომ დღევანდელი სტატისტიკით, რომელიც სრულყოფილი არაა, ცხადი ხდება, რომ ქვეყნიდან ბოლო წლებში 1.400-500 ათასამდე ადამიანია გასული, მათ შორის ყველაზე დიდი ოდენობით რუსეთში, სადაც ჩვენმა ხელისუფლებამ არჩევნების ჩატარება არ ისურვა. ეს მზაკვრული გეგმები მიმართულია იქითკენ, რომ საქართველო სისხლისგან დაიცალოს, შემდგომ მოხდეს პლაზმის გამოცვლა. ამ კუთხით სააკაშვილს არაერთხელ გაუკეთებია საგულისხმო განცხადებები, რისთვისაც შეიძლება მოსახლეობას ყურადღება არ მიუქცევია. მაგალითად, მან თქვა — ძალიან მალე ფოთის და ბათუმის მუნიციპალიტეტები გაერთიანდებიან და ამ ორ ქალაქში ერთად 1.500 ათასი ადამიანი იცხოვრებსო. ავიღოთ ლაზიკას თემა: აკო მინაშვილმა პარლამენტის ტრიბუნიდან განაცხადა, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და პროგრესი არა სოფლის, არამედ ქალაქის განვითარებასთანაა დაკავშირებული, სწორედ ურბანულმა ავტონომიამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური პროგრესი. ლაზიკაში ნახევარი მილიონი ადამიანი იცხოვრებსო. ჩნდება კითხვა — საიდან იცხოვრებს ლაზიკაში ნახევარი მილიონი ადამიანი? — ლაზიკა უცხოური კაპიტალით იქმნება, ეს არის ფულის რეცხვის დიდი სარეცხი მანქანა, რომელშიც ქართული კანონმდებლობა არ იმოქმედებს, არამედ ბრიტანული. აქვე აცხადებენ, რომ წალენჯიხის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, მარტვილის რაიონის მაცხოვრებლები ლაზიკაში დასაქმდებიან და სოფლის მეურნეობები დიდ ფერმერულ ბლოკებში გაერთიანდება. ხოლო ამ ფერმერული ბლოკებისთვის განკუთვნილი მიწები, როგორც დღეს ხდება, ელექტრონული აუქციონით უცხოელებზე გაიყიდება. ამის არაერთი მაგალითი გვაქვს. მოკლედ, ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, გეგმაზომიერად, დაუფარავად ისტორიული მიწიდან ქართველთა განდევნა მოხდება. იმ მიწიდან, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ჩვენი წინაპრები ეწირებოდნენ და რომელიც ჩვენი წინაპართა სისხლითაა გაპოხიერებული. სამწუხაროა, რომ 2008 წლიდან მოყოლებული ისეთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები ხორციელდებოდა, რასაც ხელისუფლების სასარგებლოდ ამ მიზნის უზრუნველყოფა უნდა მოეხდინა. ამაში მონაწილეობას იღებდნენ ოპოზიციურად წოდებული პოლიტიკოსებიც, რაც ამაზრზენია. ისინი დღესაც საარჩევნო სუბიექტად ითვლებიან. სწორედ მათი ხელდასმით მოხდა საქართველოს კონსტიტუციაში ისეთი ნორმების შეტანა, მათ შორის საკუთრების მარეგულირებელი ნორმისაც, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეს არათუ არ უზღუდავს ქვეყნის ტერიტორიაზე მიწის საკუთრების ფლობას, არამედ პირიქით მას ამ საკუთრების შეძენაზე არავითარ შეზღუდვას არ უწესებს. შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. მხოლოდ ბოლო ორი წლის მანძილზე დემოგრაფიული ცვლილება საგრძნობია ბათუმში — თუ ორი წლის წინ აჭარის უძრავი ქონების მფლობელი თურქეთის რესპუბლიკის 17 ათასი მოქალაქე იყო, დღეს მათი რიცხვი — 48 ათასს აღწევს, თუკი ადრე ე.წ. ინვესტორები ქალაქის ინფრასტრუქტურით იყვნენ დაინტერესებული, დღეს თვალი მიუვალ სოფლებზე აქვთ დადგმული, ანუ





იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ტყიბულის, ვანის, თეთრიწყაროს, საგარეჯოს რაიონის სოფლებზე. ჩნდებიან პაკისტანელები, ინდუსები, ჩინელები, არაბები, თურქები, ირანელები. ხელისუფლების მზაკვრული გეგმა იმდენად ნათელია, მართალი გითხრათ, გაოცება მიპყრობს, როცა ქუჩაში, სუფრაზე ან სადმე მაინც მხვდებიან ხელისუფლების აპოლოგეტები, რომლებიც პროგრესზე, მოდერნიზმზე და განვითარებაზე მესაუბრებიან. რად გვინდა ისეთი მოდერნიზმი და პროგრესი თუკი იგი ქვეყანაში ქართველების გარეშე განხორციელდება. ასე ხომ მოღალატეებად ჩავითვლებით და არავითარი მორალური უფლება არ გვექნება მამულიშვილნი, ქართველი ერი გვერქვას. ამიტომ მგონია, ეს მართლაც ეგზისტენციალური ხასიათის საკითხი, იდეოლოგიათა ჭიდილია. არ მინდა დავაკონკრეტო, თუ რა ძალები უტევენ დღეს ჩვენს ქვეყანას. ეს ძალები ქვეყნის ისტორიიის მანძილზე ყოველთვის არსებობდნენ. თუ ეს პრობლემა არ გავისიგრძეგანეთ, ძალიან ზედაპირულად შევხედეთ ამ პოლიტიკურ პროცესებს, რა თქმა უნდა, განგაშის ზარის დარისხების მოტივაცია არ გვექნება, ერი და ბერი უნდა გაერთიანდეს. უნდა შედგეს სადისკუსიო კლუბი, სადაც ერვნული ღირებულებების გადასარჩენად პროგრესული ძალები პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაებმებიან. დიდ პატივს ვცემ ივანიშვილის პოლიტიკურ დოქტრინას, თუმცა მიმაჩნია, რომ ქართული ოცნების ახდენის გზაზე „თავისუფალი საქართველო" მნიშვნელოვან როლს ითამაშებს.

**— ახლა, უცხო ტომების მიერ ქართული მიწა-წყლის დაპატრონებაზე ისაუბრეთ. მართლაც, რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჩვენი მიწა-წყალი ყველასია, გარდა ქართველებისა. ცნობილია, რომ აშშ-ს ადმინისტრაციაში გეგმაც არსებობს, რომლის მიხედვით, 1.500 ათასზე მეტი ქართველი არ უნდა არსებობდეს. პრობლემა, რაზეც საუბრობთ, მხოლოდ ციხეების რეფორმით ხომ არ ამოიწურება, ეს მზაკვრული გეგმა ხომ თანაბრად ყველა სფეროს ეხება. კონკრეტულად, როგორ არის, ამ ეტაპზე ხელისუფლების მიერ უძრავი ქონების კაპიტალი გამოყენებული?**




— დიდი მადლობა ამ შეკითხვისთვის. მართლაც მთელი ეს ინსტიტუტები, რომელიც ვარდოსნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეიქმნა, პროგრესს და მოდერნიზმს მხოლოდ გარეგნული ანტურაჟით ემსახურებოდა. რეალური მიზნები და ზრახვები ქართული სახელმწიფოს დასუსტებასთან იყო დაკავშირებული.



ეს პირდაპირ კავშირშია ჯანდაცვის, განათლებისა და მართლმსაჯულების სფეროებთან. განათლება, რომელიც სახელმწიფოსთვის უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს, მიუხედავად ჩატარებული რეფორმებისა, ვხედავთ, რომ სავალალო მდგომარეობაშია. პირველი დონის უმაღლესი სწავლება — ბაკალავრიატი საერთოდ კრიტიკას ვერ უძლებს. ხელისუფლება აქაც ფისკალურ ეფექტს ეძებს, ეს რეფორმაც ფინანსური ინტერესებითაა ნაკარნახევი და არა განათლების ხარისხის დონის ამაღლებით. იგივე ხდება საჯარო სკოლებშიც, სახელმძღვანელოები ყოველწლიურად ყოველწლიურად მრავალი ტენდერის და კორუფციური მაქინაციების შედეგად იქმნება და ა.შ. დოქტურანტურაში სწავლება კი ერთეულებისთვისაა ხელმისაწვდომი. ეს დეგრადაციის გზაზე მდგომი რეფორმაა. იგივე ვითარებაა, ჯანდაცვის რეფორმის კუთხით, რომელმაც საერთოდ შეუძლებელი გახადა, როგორც პრევენციული ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, ისე ურგენტული გადაუდებელი დახმარება, რაც, ფაქტობრვად ვერ ხორციელდება. 60 წელს გადაშორებული ადამიანები, რეალურად, დაუცველნი არიან, რაც ჩვენი ერის ეთნოფსიქოლოგიურ თავისებურებაზეა გათვლილი. ამ შემთხვევაშიც, როცა შუახნის ადამიანს დასჭირდება გადაუდებელი დახმარება, ოჯახმა ყველაფერი უნდა გაიღოს, რათა მისი სიცოცხლე შენარჩუნდეს. რაც შეეხება სადაზღვევო სისტემას, ეს ეფუძნება წინასაარჩევნო პიარ-კამპანიას, რომელიც ორთვიან მონაკვეთს მოიცავს. ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში ხელისუფლების მხრიდან პოტიომკინის სოფლის მშენებლობის გაგრძელებაა. ზუსტად ისევე ახორციელებენ რეფორმებს, როგორც ალმაშენებლის გამზირზე მუყაოებითა და გიპსოკარდონებით სახელდახელოდ შექმნეს ძველი პლეხანოვის გამზირის იერსახე. ზუსტად იგივე ანალოგია შემიძლია მოვიტანო მართლმსაჯულებისა და სასჯელაღსრულების სფეროშიც. მართლმსაჯულებამ საკუთარ თავზე ორი უმთავრესი ფუნქცია აიღო: პირველი — ის ყველა საშუალებით სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების გარანტი უნდა ყოფილიყო — მოსახლეობის დაყაჩაღების, დატერორების გზითაც, რასაც შესანიშნავად აკეთებენ მოსამართლეები. თუ კარგად გავიხსენებთ, დავრწმუნდებით, რომ საბიუჯეტო შენატანებისთვის მხოლოდ მოსამართლეები და პროკურორები როდი ირჯებიან. ყველას გვახსოვს კერძო სამართლის სხვადასხვა იურიდიული პირი, რომლის ანგარიშებზეც ე.წ. კონტრიბუტორებს, ჯერ კიდევ 2004 წლიდან, შემოწირულობები შეჰქონდათ. გიგა ბოკერია ამ ყველაფრის სათავეშია. როცა აქცენტების გადატანა სააკაშვილზე ხდება, არ დაგვავიწყდეს, რომ იდეების ერთ-ერთი მთავარი გენერატორი გიგა ბოკერიაა, რომელიც მთელ ხალხს საჭადრაკო პარტიას ეთამაშება, მაგრამ ყველაფერი გაცხადდა და საზოგადოებამ დაინახა, რა ხდება ციხეებში. ეს არ იყო წამების ერთჯერადი აქტი, არამედ პრაქტიკაში გამოყენებული კარგად დახვეწილი ინსტიტუციური მიდგომა და მეთოდოლოგია, რომელსაც ადამიანი უნდა დაეთრგუნა, მოეხდინა მისი დეპერსონიზაცია. გარეთ მყოფი მოსახლეობისთვის ნათელი და მკაფიო სიგნალი უნდა ყოფილიყო, რომ გარეთ მყოფებიც რეალურად ციხეში ვართ. ეს ნიშნავს, რომ გვეუბნებიან — თქვენი თავისუფლება პირობითი ცნებაა, როცა მოგვინდება, მაშინ მოგაქცევთ ციხეში და როგორც საკატლეტე ხორცის მასალას, ისე გაგატარებთ ხორცის მანქანაში და თქვენგან ყველაფერს მივიღებთო. ფაშისტები, სანამ კრემატორიუმში შეიყვანდნენ ადამიანებს, მათ კბილებს, ასევე სხვადასხვა ორგანოებს აცლიდნენ. ასეთივე მიდგომა აქვთ დღევანდელ ხელისუფლებას, ოღონდ ეს ყველაფერი დემოკრატიის საფარველქვეშ ხდება, გვართმევენ ყველაფერს, რაც შეიძლება რომ წაგვართვან — დაწყებული უბილეთო მგზავრობისთვის მევალეთა რეესტრში გადაბრძანებით მიღებული ზიანით, დასრულებული მშობიარობისთვის ახალგაზრდა გოგონას მიერ აღებული ვალით, რომელიც მას შეიძლება მთელი თავისი ქონების ფასად დაუჯდეს. ქვეყანაში არ არის დასაქმება, სამსახური, შრომის კოდექსი აკანონებს თანამედროვე მონობას, სახელმწიფო თავად გვევლინება მთავარ ტრეფიკიორად — ივლისაგვისტოში მთელი აჭარა, იმერეთი, გურია მიდის თურქეთში, რათა დაკრიფოს ჩაი და 300 კგ. ჩაიში 70 დოლარი მიიღოს. ეს ხელისუფლების მზაკვრული გეგმის ნაწილია. ამას თუ დავუმატებთ იმას, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის რიად-მისიის ხელშეკრულება ამოქმედდა, რომელიც, ერთი მხრივ, გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი ემიგრანტების იმ ქვეყნიდან გამოსახლების საფუძველი ხდება, სადაც ისინი თავს ირჩენენ, მეორე მხრივ — ვინც კი საქართველოს ტერიტორიაზე გავლით ევროკავშირში მესამე ქვეყნებიდან შეაღწია, მათი გამოსახლების საფუძველი ხდება. საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, რომ მათ ჩინელებს, ვიეტნამელებს, მალაიზიელებს, კამბოჯიელებს თავშესაფრები აუშენოს. ეს ვალდებულებები აქვს საქართველოს აღებული და სწორედ ეს არის ამ მზაკვრული გეგმის სხვადასხვა ნაწილი.

**— კაპიტალის რა ნაწილი აქვს ამ გზებით ხელისუფლებას მითვისებული?**

— სააკაშვილი არ მალავს, რომ ქვეყნის კაპიტალიზაცია 24 მილიარდისგან შედგება. თუმცა ბუნებრივი წიაღისეულის აუდიტი ამ ქვეყანაში არავის არასდროს ჩაუტარებია. მომავალი ხელისუფლება უნდა დაფიქრდეს იმაზე, რათა ზუსტად ვიცოდეთ, თუ რა სიმდიდრე გვეკუთვნის. ძალიან კარგად ვიცით, რომ კვარციტი, რომელსაც ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლება ანიავებდა, ახლა სააკაშვილის ხელისუფლების ჯიბის გასქელების საუკეთესო წყარო და კორუფციის გადასარევი შესაძლებლობაა. ჩვენ არ ვიცით, რა სიმდიდრეს ვფლობთ. ბუნებრივია, ამის სრული ღირებულება უკიდეგანოდ დიდი იქნება. ღაც შეეხება უძრავ ქონებას, რომელსაც ამ ქვეყნის მოქალაქეები ფლობენ თავიანთ კერძო საკუთრებაში — საცხოვრებელი ბინები, მიწები და მიწაზე არსებული შენობა-ნაგებობები, ეს ხელისუფლება მეთოდურად ისრუტავს ფორმალურად დაფუძნებული სხვადასხვა კომპანიებითა და ფირმებით. სხვათაშორის, ბიძინა ივანიშვილის კომპანიის შესრუტვა ამის ნათელი დასტურია. ხელისუფლება მესამე პირების ხელით მოქმედებს, მაგრამ მხოლოდ საკუთარი პერსონალური ინტერესებიდან გამომდინარე. წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაკვირი იქნებოდა, როგორ გახდა თავის დროზე ზურაბ ნოღაიდელი ოფიციალური მილიონერი, რომლის კაპიტალი 75 მილიონს აღწევდა. ასევე ნიკა გილაური, რომელსაც ხელისუფლებაში ყოფნამდე არავითარი ბიზნესი არ ჰქონია. ასევე, კეზერაშვილი, რომელიც სახელმწიფო სამსახურში არასმქონე მოვიდა და დღეს მრავალი ბიზნესის მფლობელი და მონოპოლისტია. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ოლიგარქიული კლანები და კაპიტალიზმი — ეს არის ჩვენი ქვეყნის ნორმა, რომელიც ნომენკლატურული კაპიტალიზმის შედეგია და რაზეც ბევრი დასავლური საერთაშორისო ორგანიზაცია ამ ხელისუფლების ნამოღვაწარის შეფასების პროცესში თვალს ხუჭავს. ფაქტია, მაშინ, როცა სააკაშვილს ყველაზე მეტად ეგონა თავი დაუმარცხებელი, სწორედ მაშინ დაემხო მისი დიქტატურა, რომელსაც ამ მარცხს ქართველი ხალხი გაუფორმებს.

**— ხელისუფლება ციხეს უძრავი ქონების კაპიტალიზაციის მოსახდენად იყენებს. ეს აისახება მხოლოდ ზღვარგადასული ჯარიმების დაწესებით, თუ სხვა მეთოდებიც არსებობს?**

— შეწოვა ხდება ტერორით, დაშანტაჟებით, რომელიც დაკავშირებულია სამოქალაქო, სისხლისსამართლის ან ადმინისტრაციული სამართალწარმოებასთან. სამივე შემთხვევაში ხელისუფლებას არ უჭირს ადამიანის პრობლემის ინსპირირება მოახდინოს და შემდგომ რუტინაში გაახვიოს და მსგავსი ტიპის ზეწოლა განახორციელოს, დაწყებული სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებიდან, დამთავრებული დაკისრებული ჯარიმის გადახდის ვალდებულებით, რომელიც სწრაფადვე ექცევა ადამიანის ქონების ათვისების რეჟიმში, და რამაც იგი, შეიძლება, უმალ არასმქონე დატოვოს. შემდგომ მიგითითებენ,



რომ სოციალურად დაუცველთა ბაზაშია თქვენი ადგილი, დამოკიდებულს გაგხდიან იმ მიზერულ თანხებზე ადამიანებს იმასაც კი ეუბნებიან — ამასაც მოგიხსნით, შიმშილით მოგკლავთო და მართლაც შიმშილით გარდაცვალების არაერთი ფაქტი არსებობს. ბოლო შემთხვევა გორის რაიონში დაფიქსირდა — 3 წლის ბავშვი შიმშილით გარდაიცვალა. ამაზე ჩვენ, ყველანი პასუხისმგებელნი ვართ. რაც უფრო სწრაფად მოვიცილებთ ამ ტერორისტ პოლიტიკურ გაერთიანებას, ქვეყანას მით სწრაფად ეშველება.

**თამარ შველიძე**

***P.S.** მზაკვრული გეგმა, რასაც ხელისუფლება წლებია საკუთარი მოსახლეობის მისამართით ახორციელებს, ქვეყანას სრული განადგურებით ემუქრება, ქართველ ხალხს კი საკუთარი სამშობლოდან განდევნით. აღნიშნული პრობლემა საგულდაგულო განხილვას, მსჯელობას საჭიროებს. ვფიქრობთ, ეს სწორედ ის საკითხია, რაზეც განახლებულმა პარლამენტმა სათანადო ყურადღება და რეაგირება უნდა მოახდინოს. „საერთო გაზეთი" განაგრძობს ამ თემაზე საუბარს და მომდევნო ნომერში კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური კვლევითი ინსტიტუტის აღმასრულებელ დირექტორთან დავით ნარმანიასთან გავაგრძელებთ.*

## შოკი




# სექსუალური ძალადობის ფაქტებმა მთელი საზოგადოება შოკში ჩააგდო

**ვესაუბრებით ფსიქიური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ამბულატორიული დეპარტამენტის ექიმ-ფსიქიატრს მაია კიკნაძეს**

**— ქალბატონო მაია, თითოეული ჩვენგანი სულით ხორცამდე შეგვძრა პატიმართა წამებისა და ღირსების შელახვის ამსახველმა ამაზრზენმა კადრებმა. აღშფოთების პარალელურად საზოგადოებაში გაჩნდა უდიდესი თანადგომა ნაწამები ადამიანების მიმართ. ცხადია, მათ ჩვენი თანადგომა და პროფესიონალთა დახმარება ესაჭიროებათ. როგორ უნდა მოხდეს ძალადობის მსხვერპლთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია?**

— მათ რომ ნამდვილად სჭირდებათ ფსიქოლოგიური დახმარება, ეს სადავო არ არის. იმ ადამიანებმა უნდა შეძლონ საზოგადოებაში ინტეგრაცია, საჭიროა მოხდეს ორივე კატეგორიის რეაბილიტაცია; იმათი, ვინც მძიმე დანაშაულისთვის იხდის სასჯელს და გათავისუფლებას ვერ დაექვემდებარება და იმათი, ვინც მალე დატოვებს ციხეს, რადგან შედარებით მსუბუქი სახის დანაშაული აქვს ჩადენილი. პირველ კატეგორიასთან იმუშავებს სარეაბილიტაციო გუნდი, რომელიც დაკომპლექტდება ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, ფსიქოთერაპევტისა და სოცმუშაკისაგან. ე.ი. პატიმართა რეაბილიტაციის პროცესი წარიმართება ციხეშივე. რაც შეეხება გათავისუფლებულებს, უნდა მოხდეს არა მარტო პირადად მათი, არამედ მათი მიკროსოციუმის რეაბილიტაციაც. აქ ძირითადი რგოლი ოჯახია: მეუღლე, შვილები, მშობლები... რა თქმა უნდა, მიკროსოციუმს განეკუთვნებიან ნათესავები, ახლობლები და თანამშრომლები, თუკი გათავისუფლებული პატიმარი დასაქმებულია. ყველაზე მთავარი მაინც ოჯახის წევრებთან ურთიერთობის მოწესრიგებაა.

**— რა ფორმით უნდა მოხდეს ეს?**

— აუცილებლად ჯგუფური თერაპიის სახით. ყველაზე დიდი და მტკივნეული სამუშაო ჩასატარებელია ძალადობის მსხვერპლთა შვილებთან. შეიძლება, ამ შემთხვევაში ბავშვები ბევრად უფრო ტრავმირებულნი იყვნენ, ვიდრე მათი მამა — განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი გარდამავალ ასაკში არიან. მათ მენტალიტეტში ეჭვის გაჩენა გამორიცხული არ გახლავთ — იქნებ მამა თავიდანვე სხვა ორიენტაციისა იყო? იქნებ სექსუალური ძალადობის იმპულსი სწორედ მისგან მოდიოდა? მართლაც, ყველა პატიმარი ხომ არ გამხდარა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, ეს ხომ შერჩევით ხდებოდა. ამიტომაც არ გამოვრიცხავ ასეთ ეჭვს მოზარდების მხრიდან და მიმაჩნია, რომ ყველაზე აქტუალური სწორედ მათთან მუშაობაა. როგორც უკვე აღვნიშნე, ჯგუფური ფსიქოთერაპიის სეანსებს ოჯახის ყველა წევრი უნდა დაესწროს და თითოეულმა მათგანმა ღიად უნდა დააფიქსიროს თავისი პოზიცია მომხდარის მიმართ. ცხადია, ეს არ ეხება მცირეწლოვან ბავშვებს — საერთოდ, არ დაესწრებიან ამ სეანსებს. აგრეთვე არ დაესწრება ოჯახის ის წევრი, რომლისთვისაც აბსოლუტურად მიუღებელია აღნიშნული საკითხის განხილვა. ერთი სიტყვით, სეანსში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, თუმცა, რასაკვირველია, უკეთესია მთელი ოჯახის (სრულწლოვანი წევრების) ჩართვა ამ პროცესში და, რაც მთავარია, მათი აბსოლუტური გახსნილობა — სხვაგვარად სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ. შედეგის მიღება კი აუცილებელია. რა წარმოადგენს ამგვარი ჯგუფური თერაპიის არსს? დამტკიცება, რომ ეს ნაწამები ადამიანები ამ უსამართლო სისტემის სპონტანური მსხვერპლნი არიან, რომ მათ არ მოუხდენიათ იმის პროვოცირება, რაც უკვე მთელმა ქვეყანამ იხილა ტელევიზიით, რომ მათზე სრული ზეწოლა განხორციელდა და თავდაცვის არანაირი საშუალება არ გააჩნდათ — ამის ახსნა და გაცხადება ოჯახის წევრებთან ერთად შვების მომგვრელია, როგორც მსხვერპლისთვის, ისე ოჯახის სხვა წევრებისათვის.

**— შეიცვალა თუ არა პატიმართა დამოკიდებულება, ზოგადად, ძალადობის მიმართ?**

— დიახ, შეიცვალა. ისინი ზემგრძნობიარენი გახდნენ ამასთან მიმართებით. თუ ადრე ესა თუ ის ქმედება არც მიაჩნდათ ძალადობად და ციხეში არსებულ ნორმად განხილავდნენ, ახლა, 18 სექტემბრის მერე, ყველაფერს თავის სახელს არქმევენ და თითქმის ყველა თვლის, რომ თავადაც ამა თუ იმ სახის ძალადობის მსხვერპლია. ეს აბსოლუტურად ბუნებრივია — პატიმრებს თავდაცვითი მექანიზმი გამოუმუშავდათ, ისინი ასე მსჯელობენ: თუკი ვიღაც აწამეს და დაამცირეს, ხომ შეიძლება შემდეგი მე ვიყო? ციხეში რომ ძალადობა არსებობდა, ეს ყველამ ვიცოდით; ის, რომ გლდანის ციხეში ყოველი ახალი პატიმრის შესვლა მისი ცემით იწყებოდა, არავისთვის წარმოადგენდა საიდუმლოს; ახლა, უბრალოდ, ამ ძალადობის ვიზუალიზაცია მოხდა, თანაც, მისი კონკრეტული ფორმა გაცხადდა — თურმე სექსუალური ძალადობა ჩვენი პენიტენციარული სისტემის ჩვეული მეთოდი ყოფილა. აი, ეს კი ნამდვილად არ იცოდა ხალხმა, ახლა ეს ყველასათვის ცნობილია, მათ შორის, პატიმრებისთვისაც და, ცხადია, პრევენციას მიმართავენ.

**— გახშირდა ციხეებში სუიციდის შემთხვევები. რამდენად პროგნოზირებადია ეს ტრაგედია ფსიქოლოგის მხრიდან?**

— წინასწარ ვერანაირად ვერ იტყვი, რომელი პატიმარი რას მოიმოქმედებს. ასე რომ, სამწუხაროდ, ზუსტი პროგნოზის გაკეთება ძნელია, თუმცა ფსიქოლოგს შეუძლია პატიმრის ქცევაზე დაკვირვება და სათანადო დასკვნების გამოტანა. ზოგჯერ ძალიან არაადეკვატური მეჩვენება ესა თუ ის ადამიანი — თითქოს არაფერი აწუხებს, არავის და არაფერს უჩივის, თავს მშვენივრად გრძნობს. ასეთ შემთხვევაში ის მსახიობობს, თავს ინიღბავს. სწორი ისაა, თანამოსაკნეს მივმართოთ; თანამოსაკნე ყველაზე ინფორმაციულია, რადგან 24 საათის განმავლობაში ერთად არიან და მას არაფერი გამოეპარება — თუ იტყვის, რომ ესა თუ ის პატიმარი ბოლო ხანს დეპრესიულია, არავის ეკონტაქტება, ეს უკვე საგანგაშოა.

**— ყველაზე რთული მომენტები პატიმრებთან ურთიერთობაში...**

— მიუსჯელებთან ვმუშაობ. ისინი შოკურ მდგომარეობაში არიან. ვეხმარები, რომ შეძლონ ჩაკეტილ სივრცეში ადაპტირება, თანამოსაკნეებთან ურთიერთობა. ვცდილობ, როგორღაც შევუმსუბუქო მდგომარეობა, ყურადღება გადავატანინო... რაც შეეხება იმათ, ვინც სასჯელი უკვე მოიხადა, თავისუფლებისათვის მომზადება სჭირდებათ. მათ აფიქრებთ ის, თუ როგორ შეხვდებიან ოჯახის წევრები, ახლობლები — ეს ძალიან დაძაბული და დრამატული მომენტებია.

**— როგორ ფიქრობთ, ძალადობის მსხვერპლთაგან ბევრი მოგმართავთ დახმარებისათვის? იქნებ ჯობდეს, მათ ინიციატივას არ დაველოდოთ?**

— გეთანხმებით. ამიტომ უკეთესია. პრობაციის ეტაპზევე მოხდეს ჩვენი სერვისის შეთავაზება და თანაც, პირველადი იყოს სოცმუშაკის დახმარება, როცა ყოფილ პატიმარს ამა თუ იმ სახის პრობლემას მოუგვარებ, დასაქმებაში დაეხმარები, ამით მის ნდობას დაიმსახურებ და მერე უკვე იოლია ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემებზე გადასვლა. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ კეთილშობილურ საქმეს დიდი რესურსი სჭირდება — წარმოიდგინეთ, რამდენი სოცმუშაკი, ფსიქოლოგი თუ ფსიქიატრია საჭირო იმისათვის, რომ არც დედაქალაქში და არც რეგიონებში არც ერთი მსხვერპლი არ დარჩეს ჩვენი ყურადღების მიღმა. ასეთი რესურსი კი ნამდვილად არა გვაქვს. არც ის შეიძლება, ადამიანებს ენთუზიაზმის ხარჯზე მუშაობა მოვთხოვოთ. ჩემი აზრით, უნდა მოხდეს იმათი ქონების კონფისკაცია, ვინც მიზანმიმართულად აწამებდა და ამცირებდა პატიმრებს. ამ ჯალათებისაგან ამოღებული ფინანსები სავსებით საკმარისი იქნება იმისათვის, რომ რეალურად, პროფესიონალურ დონეზე მოხდეს მსხვერპლთა რეაბილიტაცია მთელი საქართველოს მასშტაბით.

**— ქალბატონო მაია, დღეს მთელი საზოგადოება მსხვერპლია, უსამართლობისა და დაუცველობის გრძნობა თითქმის ყველას აწუხებს, რასაც ემატება ამდენი ნეგატიური ინფორმაციისაგან მიღებული სტრესი. რას ურჩევდით სრულიად საქართველოს საზოგადოებას?**

— სიმშვიდეს, საკუთარი ემოციების მართვას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია: ვისაც ემოციების გაკონტროლება შეუძლია, შვებას იპოვის, მიუხედავად დღევანდელი მძიმე ვითარებისა. ისიც ფაქტია, რომ მთელ საზოგადოებას ერთ ენაზე ვერ დაელაპარაკები — ადამიანებს განსხვავებული მსოფლმხედველობა, გენეტიკა, გემოვნება გააჩნიათ და თითოეულ მათგანთან ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო.

**ნინო სიხარულიძე**

## უცხოელი დამკვირვებლები საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს დემოკრატიის გამარჯვებად აფასებენ

უცხოური სადამკვირვებლო მისიების წარმომადგენლები დადებითად აფასებენ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებს. მაგალითად, ფრანგმა დამკვირვებელმა მას „დემოკრატიის გამარჯვება“ უწოდა.

არჩევნები ჩატარდა გამჭვირვალობის პირობებში, განაცხადა ევროპარლამენტის დამკვირვებელთა წარმომადგენელმა ინდრეკ ტარანდმა.



საფრანგეთის პარლამენტის წევრის ჟანა მარი ბოკერის თქმით, არჩევნებმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა: „საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად ჩამოსულია უამრავი პარლამენტარი — როგორც ევროკავშირიდან, ასევე ევროპის ქვეყნებიდან. არჩევნებს ჩვენთან ერთად აკვირდებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები. ვიყავი 12 უბანზე, სოფლებში, აზერბაიჯანელებით დასახლებულ ადგილებში“.

ამომრჩეველთა აქტივობას და არჩევნების მიმართ დამოკიდებულებას აღნიშნავს ლიტვის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი იულიუს იასაიტისი: „საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა რიგში იდგნენ და მოთმინებით იცდიდნენ. ლიტვაში მსგავსი რამ არ ხდება“.

ჯერ ადრეა ლაპარაკი საბოლოო შედეგებზე, თუმცა ფაქტია, რომ აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“. ჯერჯერობით უცნობია, გადალახა თუ არა რომელიმე პარტიამ 5-პროცენტიანი ბარიერი.

**rosbalt.ru**

## უფრთხილდით „მოსკოვის ხელს“ საქართველოს, უკრაინის და ლიტვის არჩევნებში

ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში საპარლამენტო არჩევნები აშიშვლებს დემოკრატიისა და სუვერენიტეტის სიმყიფეს იმ ქვეყნებში, რომლებიც ოდესღაც საბჭოთა კავშირის ტყვეობაში იყვნენ, ამტკიცებს სტრატეგიული და ინტერნაციონალური სწავლებების ვაშინგტონის ცენტრის პოლიტიკური ექსპერტი იანუშ ბუგაისკი.

მესამე საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში, პუტინის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების რეინტეგრაციაა. მოსკოვი ცდილობს, დასავლეთში ევროკავშირისა და აღმოსავლეთში ჩინეთის საპირწონედ ახალი ევრაზიული კავშირი შექმნას.

რუსეთი აქტიურად ერევა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში. მას სურს ჩაახშოს ის წინააღმდეგობა, რაც რუსეთის რეგიონულ ამბიციებს უპირისპირდება. ამ თვალსაზრისით, ორშაბათს საქართველოში გამართული საპარლამენტო არჩევნები „დიდი პოლიტიკური გამოცდაა“. რუსეთის ხელისუფლებას არ უნდა მიეცეს რაიმე საბაბი, რომ ეს არჩევნები და მასთან დაკავშირებული ემოციები სათავისოდ გამოიყენოს. მოსკოვისთვის ხომ ნებისმიერი არჩევნები შანსია.

**The Christian Science Monitor**

# scadeT SeaCeroT momava l i _ miiRebT revo l ucias

საქართველო კრიზისს განიცდის. კრიზისი სიცოცხლის ნიშანია. წინ საპარლამენტო არჩევნებია — დაძაბული და უკომპრომისო. თუ რამე პარალელი შეიძლება გაივლოს რომელიმე ქვეყანასთან, ეს არის 80 წლის წინანდელი გერმანია. მძაფრი პოლიტიკური კონფრონტაცია პარტიებს შორის და სრული სოციალური პოლარიზაცია კლასთა შორის, ბეწვის ხიდზე მდგომი ეკონომიკა და მზარდი საგარეო ვალები, ეროვნული საკითხი და ადამიანის თვითგამორკვევა, სახელმწიფო საზღვრები და საგარეო ალიანსები ჰგავს XX საუკუნის 30-იან წლების დამდეგის გერმანიას თავისი პრობლემებითა და გამოწვევებით. XXI საუკუნის 10-იანი წლების დამდეგის საქართველო ემბრიონალური დემოკრატია არჩევნების გზით ან სიცოცხლეს იხილავს, ან ავტორიტარიზმის ცივი მაშებით მოიშთობა. როგორი იყო პროცესები ამ 80 წლის წინ გერმანიაში, რომლის გაკვეთილებიც ფრიად საყურადღებოა თანამედროვე საქართველოსთვის.



1932 წლის 6 ნოემბერს გაიმართა გერმანიის რაიხსტაგის არჩევნები, შედეგები იყო ამგვარი:

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 79,94 პროცენტმა ანუ 35 470788 ადამიანმა.

**ნაციონალ-სოციალისტურმა გერმანულმა მუშათა პარტიამ** მიიღო 11737395 ხმა ანუ 33, 09 პროცენტი და 192 მანდატი;

**სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ** მიიღო 7 251 690 ხმა ანუ 20,44 პროცენტი და 121 მანდატი;

**კომუნისტურმა პარტიამ** მიიღო 5980614 ხმა ანუ 16,86 პროცენტი და 100 მანდატი;

**ცენტრალურმა პარტიამ** მიიღო 4 230 545 ხმა ანუ 11,93 პროცენტი და 70 მანდანტი;

**ეროვნულმა სახალხო პარტიამ** მიიღო 3131674 ხმა ანუ 8,83 პროცენტი და 52 მანდატი;

**ბავარიის სახალხო პარტიამ** მიიღო 10 95938 ხმა, ანუ 3,09 პროცენტი და 20 მანდატი:

**სახალხო პარტიამ** მიიღო 660889 ხმა ანუ 1,86 პროცენტი და 11 მანდატი;

**გერმანულმა პარტიამ** – სახელმწიფო პარტიამ მიიღო 338609 ხმა ანუ 0,95 პროცენტი და 2 მანდატი:

სხვა მცირე პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა მიიღეს 1043434 ხმა ანუ 2,94 პროცენტი და 10 მანდატი.

ამ საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკურმა შედეგებმა განაპირობეს პრეზიდენტ ფონ ჰინდენბურგის მიერ ნაციონალ-სოციალისტური გერმანული მუშათა პარტიის ლიდერის ჰიტლერისადმი კანცლერის (ანუ პრემიერ-მინისტრის) პოსტის გადაცემა. კანცლერის პოსტი იმჟამინდელ გერმანიაში პოლიტიკური სისტემის ძლიერმა და ცენტრალურმა ფიგურამ წარმოადგინა. ამ პოლიტიკურმა აქტმა 1933 წლის 30 იანვარს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა გერმანიაში დემოკრატიის არსებობას. რაიხსტაგის დაწვის ინსცენირებისა და მემარცხენე პოლიტიკური ფლანგის მიმართ რეპრესიების ფონზე 1933 წლის 5 მარტს გაიმართა რაიხსტაგის ახალი არჩევნები, რომელთაც შემდეგი შედეგები მოიტანა:

**ნაციონალ-სოციალისტური გერმანული მუშათა პარტია** 17 277 328 ხმა ანუ 43,91 პროცენტი და 219 მანდატი;

**სოციალ-დემოკრატიული პარტია** 7 181 273 ხმა ანუ 18,25 პროცენტი და 120 მანდატი;

**კომუნისტური პარტია** 4 847 939 ხმა ანუ 12,32 პროცენტი და 81 მანდატი, ცენტრისტული პარტია 4 425 000 ხმა ანუ 11,25 პროცენტი და 74 მანდატი;

**ეროვნული სახალხო პარტია** 3 136 979 ხმა ანუ 7,97 პროცენტი და 52 მანდატი, სახალხო პარტია 432 255 ხმა ანუ 1,10 პროცენტი და 5 მანდატი.

**ქრისტიან-სოციალური ეროვნული სამსახური** 383 970 ხმა ანუ 0,98 პროცენტი.

**გერმანული პარტია — სახელმწიფო პარტია** 334315 ანუ 0,85 პროცენტი და 2 მანდატი;

**ბავარიიის გლეხთა კავშირი** 1114077 ხმა ანუ 0,29 პროცენტი და 2 მანდატი;

**მიწათმოქმედთა კავშირი** 83 839 ხმა ანუ 0,21 პროცენტი და 1 მანდატი.

სხვა მცირე პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა მიიღეს 57776 ხმა ანუ 0,13 პროცენტი და არც ერთი მანდატი.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში უფრო მეტი ადამიანი 39 343302 ამომრჩეველი ანუ 88,09 პროცენტი მონაწილეობდა **ნაციონალ-სოციალისტური გერმანული მუშათა პარტიისთვის** კანცლერის პოსტის გადაცემამ და ამით ამ პარტიის ხელში სამთავრობო ძალის კონცენტრაციამ თავისი დამანგრეველი შედეგი დემოკრატიისთვის სრულად გამოიღო. ეს ბოლო მაინც მრავალპარტიული რაიხსტაგი დათხოვნილი იქნა და 1933 წლის 12 ნოემბერს მხოლოდ ნაციონალ-სოციალისტური გერმანული მუშათა პარტიის მონაწილეობით იქნა არჩეული ახალი რაიხსტაგი. არჩევნებში მონაწილეობდა 43053473 ამომრჩეველი ანუ 95,30 პროცენტი. ამ პარტიის წინააღმდეგ ხმა მისცა მონაწილეთა 7,89 პროცენტმა ანუ 3398249 ადამიანმა, ხოლო მხარი დაუჭირა 92,11 პროცენტმა ანუ 39655224 ადამიანმა. რაიხსტაგში აირჩიეს 661 დეპუტატი.

1934 წლის 19 აგვისტოს კანცლერ ჰიტლერისადმი პრეზიდენტის უფლებამოსილების გადაცემის რეფერენდუმში მონაწილეობდა ამომრჩეველთა 93,73 პროცენტი ანუ 42 595218 ადამიანი. მოწინააღმდეგე იყო 10,07 პროცენტი ანუ 4300370 ადამიანი, ხოლო მომხრე 89,93 პროცენტი ანუ 38394848 ადამიანი.

ნაციონალ-სოციალისტური გერმანული მუშათა პარტიის რეჟიმში პირობებში, როდესაც ეს პოლიტიკური ძალა 1933 წლის 1 დეკემბრის კანონით საჯარო სამართლის კორპორაციად იქნა აღიარებული. ხოლო შემდეგ საკანონმდებლო ხელისუფლება დემოკრატიამ ბუფატორიული ხასიათი მიიღო. რაიხსტაგის არჩევნები ორჯერ კიდევ გაიმართა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ნაციონალ-სოციალისტური გერმანული მუშათა პარტიის პოლიტიკური აქციები. მათი შედეგი ასეთი იყო 1936 წლის 29 მარტს რაიხსტაგში აირჩეს 741 დეპუტატი. არჩევნებში მონაწილეობდა 45 002702 ადამიანი ანუ ამომრჩეველთა 99 პროცენტი. ნაციონალ-სოციალისტური გერმანული მუშათა პარტიის წინააღმდეგ იყო ამომრჩეველთა 1,2 პროცენტი ანუ 540244 ადამიანი, ხოლო მომხრე იყო ამომრჩეველთა 98,8 პროცენტი ანუ 44462458 ადამიანი.

1938 წლის 10 აპრილს კვლავ აირჩიეს ახალი რაიხსტაგი 813 დეპუტატით. არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა 99,57 პროცენტი, ანუ 49 279 104 ადამიანი. პარტიის წინააღმდეგ ხმა მისცა 1,07 პროცენტმა ანუ 527 517 ადამიანმა, ხოლო მომხრე იყო 98, 93 პროცენტი ანუ 4875187 ადამიანი.

გერანიასთან სტუდენტების მიერთების შემდეგ 1938 წლის 4 დეკემბერს რაიხსტაგში დამატებით ამ ტერიტორიებიდან 41 დეპუტატი აირჩა. არჩევნებზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ ნაციონალ-სოციალისტური გერმანული მუშათა პარტია, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 98, 61 პროცენტმა ანუ 2497604 ადამიანმა. წინააღმდეგი იყო 1,07 პროცენტი ანუ 32923 ადამიანი, მომხრე 98,68 პროცენტი ანუ 2464681 ადამიანი.

საქართველოსთვის გერმანიის ეს გაკვეთილები თვალნათლივ აჩვენებს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ერთმნიშვნელოვანი გაბატონება საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებაზე, მონოპოლიზმი ეკონომიკაში და სოციალური პარტნიორობის პრინციპის უარყოფა ცხოვრებაში ადგილს აღარ უტოვებს პოლიტიკურ დემოკრატიას. არჩევნები შეიძლება იმართებოდეს და მასზე დასწრება სარეკორდო მაჩვენებლებს უტოლდებოდეს, მონოპოლისტი პარტია ასევე შეიძლება იღებდეს საარჩევნო ხმების გრანდიოზულ მოსავალს, მაგრამ დემოკრატიის ჭაჭანებაც არ იყოს. ამის თავიდან აცილება საქართველოს შეუძლია. მას აქვს სახელოვანი წარსული მრავალპარტიული, წარმომადგენლობთი დემოკრატიისა, როდესაც 1919 წელს და 1990 წელს საქართველოს ხალხმა მართლაც დამოუკიდებლად აირჩია რეალურად მრავალ პარტიული და მართლაც წარმომადგენლობითი დამფუძნებელი კრება და უზენაესი საბჭო.

ის, ვინც სიტყვით დემოკრატიას ქადაგებს, ხოლო საქმით ხელს უშლის მრავალპარტიული და წარმომადგენლობითი დემოკრატიის განხორციელებას უნდა ახსოვდეს ვიქტორ ჰიუგოს სიტყვები: „სცადეთ შეაჩეროთ მომავალი — მიიღებთ რევოლუციას“. ხალხი ძალაა და ეს ძალა ყოველთვის მომავლისკენ მიემართება.

**დავით არაბიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## ukanaskne l saaTs

## საერთაშორისო დამკვირვებლების წასვლის შემდეგ სააკაშვილი დიდი შურისძიებისთვის ემზადება?

**არჩევნების მეორე დღეს, 2 ოქტომბერს, უცნაური ამბები ხდება საქართველოში.**

**პრეზიდენტმა სააკაშვილმა უკვე აღიარა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა და — ჩვენ ოპოზიციაში გადავდივართო, — განაცხადა.**



**საერთაშორისო დამკვირვებლებმაც და არჩევნებზე საგანგებოდ მოვლენილმა უცხოელმა მაღალჩინოსნებმაც არაერთი ბრიფინგი და პრესკონფერენცია გამართეს, სადაც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ არჩევნებმა დემოკრატიულად და სამართლიანად ჩაიარა.**

**იგივე ბრძანა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმაც და კოალიციის სხვა ლიდერებმაც.**

**ივანიშვილს ჟურნალისტები უკვე ეკითხებიან თუ რა შემადგენლობით დააკომპლექტებს იგი მინისტრთა კაბინეტს, ვინ იქნება პარლამენტის თავმჯდომარე, ვის რა პორტფელი ერგება და ა.შ.**

**ყოველივე ამაში კი უცნაური ის არის, რომ ცესკოს ჯერ არ გამოუცხადებია არჩევნების საბოლოო შედეგები. ამ დროისთვის, 2 სექტემბრის საღამოს რვა საათისთვის, როგორც ცესკო აცხადებს, დათვლილია მხოლოდ ხმების 40 პროცენტი, ანუ ოფიციალურად ჯერ არავის არ უთქვამს რამდენი ადგილი ერგო მომავალ პარლამენტში „ქართულ ოცნებას“, რამდენი „ნაცმოძრაობას“.**

**მიუხედავად იმისა, სააკაშვილი ღიად აცხადებს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ხმათა უმრავლესობა მოიპოვა და სწორედ ის, „ქართული ოცნება“ დააკომპლექტებს მომავალ მთავრობას, ცესკოს კი, როგორც გითხარით, ოფიციალური შედეგები ჯერაც არ გამოუცხადებია — ცესკო ხმების დათვლას არ ჩქარობს და დროს საეჭვოდ ჭიმავს.**

**რა იმალება ყოველივე ამის უკან? რა ფანდია ეს და საერთოდ რასთან გვაქვს საქმე?**



**როგორც ჩვენთან საუბარში ერთმა ექსპერტმა განაცხადა, შეიძლება ხელისუფლება სპეციალურად წელავს დათვლის პროცესს და ხელოვნურად აყოვნებს შედეგების გამოქვეყნებას, რადგან ის საერთაშორისო დამკვირვებლების გამგზავრებას ელოდება, ამის შემდეგ ცესკო იმ შედეგებს დადებს, რაც „ნაცმოძრაობას“ აძლევს ხელს, მოსალოდნელ პროტესტს მოსახლეობის მხრიდან კი ხელისუფლება ძალის გამოყენებით ჩაახშობს.**

**ექსპერტის აზრით, სააკაშვილი თავს იკატუნებს და თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს წაგებას შეეგუა და როგორც ჭეშმარიტ დემოკრატს შეჰფერის, ხალხის ნებას ემორჩილება, სინამდვილეში კი, როგორც კი საერთაშორისო დამკვირვებლები თვალს მიეფარებიან, ის თავის ნამდვილ სახეს გამოაჩენს.**

**ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ეს ვარაუდი გამართლდეს, თუმცა, როგორც იტყვიან, ეშმაკს არ სძინავს და ქართველი ხალხი ისეთი დაუნდობელი რეჟიმისგან, როგორიც სააკაშვილის რეჟიმია, ყველანაირ საფრთხეს უნდა ელოდეს...**

**დავით ქავთარია,**
2 ოქტომბერი, 20 საათი

# ანტიდეპრესიული თერაპია

გადატანილი სტრესის შემდგომ, იმისდა მიხედვით, თუ რა ხარისხის იყო იგი და რა დონით მოახერხა ადამიანმა ნერვული სისტემის სტაბილური მუშაობის რეჟიმიდან გამოყვანა, ბევრს დასახმარებლად ანტიდეპრესანტები სჭირდება. არცთუ იშვიათად, მათ გარეშე თავს ვერ აღწევენ რთულ ვითარებას და გამოსავალის პოვნაც უჭირთ.

ანტიდეპრესიულ თერაპიასთან დაკავშირებით მოსახლეობაში არაერთგვაროვანი აზრია დამკვიდრებული. ზოგიერთნი ამტკიცებენ, რომ ანტიდეპრესანტი ძლიერ საშიში და მავნებელია, რომ მას ახასიათებს მიჩვევა და სხვა.

მოდით, გავარკვიოთ, საზოგადოებაში დამკვიდრებული მოსაზრებებიდან რომელია მისაღები.



### პრობლემა 1

სამწუხაროდ, ჩვენში დღემდე გამეფებულია ის აზრი, რომ დეპრესია მხოლოდ სუსტი ნებისყოფის, გაფანტული ყურადღების მქონე და დაბნეულ ადამიანთა ხვედრია. ამასთან, მიაჩნიათ, რომ ძლიერმოქმედი ანტიდეპრესიული პრეპარატებით მკურნალობა ყოველთვის არ სჭირდებათ; მხოლოდ მცირე ნაწილს თუ ესმის, რომ დეპრესია ისეთივე დაავადებაა, როგორიც, მაგალითად, ართრიტი, რომელიც შესაძლოა, ყველას დაემართოს და რომელსაც აუცილებლად სჭირდება მკურნალობა.

შესაძლოა, ანტიდეპრესიული თერაპია ყოველთვის პაციენტის სრული გამოჯანმრთელებით არ დასრულდეს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ის ამცირებს ადამიანის სულიერ და ფიზიკურ ტანჯვასა და წამებას;

### პრობლემა 2

ბევრს წამალთან მიჩვევისა და დამოკიდებულების ჩამოყალიბების განსაკუთრებით ეშინია — რამდენად შეიძლება მოხდეს, რომ დეპრესიული მდგომარეობიდან გამოსვლისას პრეპარატებს ადამიანი ისე მიეჩვიოს, მათ გარეშე ველარ გაძლოს?

ამ კითხვაზე სპეციალისტთა პასუხი ცალსახაა — პრეპარატები, რომლებიც დღესდღეობით დეპრესიული მდგომარეობების სამკურნალოდ გამოიყენება, არ იწვევს მიჩვევას და მათზე დამოკიდებულების განვითარებას. ისინი უბრალოდ ეხმარებიან ორგანიზმს იმ მექანიზმების აღდგენაში, რომლებიც დარღვეულია პათოლოგიური პროცესის გამო.

პრეპარატებზე მიჩვევის საკითხი განსაკუთრებით იმ ადამიანებს აინტერესებთ, ვისი საქმიანობაც შემოქმედებით პროცესს უკავშირდება. მათთვის ასევე მნიშვნელოვანია, ხომ არ არღვევს პრეპარატები ტვინში მიმდინარე იმ პროცესებს, რომლებიც შემოქმედებით უნარს განსაზღვრავს?

უმრავლეს შემთხვევაში დეპრესია, უპირველეს ყოვლისა, ნეგატიურ გავლენას სწორედ შემოქმედებით უნარზე ახდენს, ხშირად მას აბსოლუტურად შეუძლებელსაც კი ხდის. ანტიდეპრესანტები აღადგენს ადამიანის დაზიანებულ შინაგან სამყაროს და მას შემოქმედების უნარს უბრუნებს.

### პრობლემა 3

პრეპარატების სწორი შერჩევა.

თერაპიის პირველი კურსის შემდეგ თავს უკეთესად მხოლოდ პაციენტების ნახევარი გრძნობს და ამან არ უნდა შეგაშინოთ. თერაპიული კურსის პირველ ნაწილს ტყუილად ხომ არ უწოდებენ „სინჯებისა და ცდების პერიოდს". ყველა ადამიანი ინდივიდია და ამიტომ შესაძლოა, თვალშისაცემი ეფექტი სწრაფად ვერ იგრძნოთ. ისე კი გახსოვდეთ: სწორად შერჩეულმა პრეპარატმა დადებითი ეფექტი დაახლოებით 2-3 კვირაში მაინც უნდა გამოავლინოს, თუმცა ზოგჯერ პოზიტიური ძვრები ერთი კვირის შემდეგაც ჩნდება.

ზოგიერთებისთვის პრეპარატები ერთგვარ პანაცეად იქცევა ხოლმე და ადამიანი, რომელიც რამდენიმე თვის განამვლობში ამაოდ ცდილობდა დეპრესიისგან თავის დახსნას, ანტიდეპრესიული თერაპიის პირველივე დღეებში აღნიშნავს საგრძნობ გამოჯანმრთელებას.

### აქტუალური კითხვები

**რამდენ ხანს გრძელდება ანტიდეპრესიული თერაპია?**

ჩვეულებრივ, ანტიდეპრესიული თერაპია 4-6 თვე გრძელდება, ზოგიერთ მძიმე შემთხვევებში კი ექიმები უფრო დიდი ხნით ურჩევენ პაციენტებს წამლის მიღებას.

აშკარა თერაპიული ეფექტი ვლინდება 4-6 კვირის შემდეგ, თუმცა, დეპრესიის სიმპტომთა სრული გაქრობის შემთხვევაშიც კი, აუცილებელია მკურნალობის კურსის ბოლომდე მიყვანა. ეს ხელს უწყობს მკურნალობით მიღწეული ეფექტის გამყარებას და წინ ეღობება დეპრესიული მდგომარეობის განმეორებას.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წამლის დოზის და მისი მიღების სქემის შეცვლა.

**დასაშვებია ანტიდეპრესანტების მიღება სხვა წამლებთან ერთად?**

ანტიდეპრესანტები ძლიერ ურთიერთქმედებს სხვა პრეპარატებთან, ამიტომ ვიდრე მათ მიიღებდეთ, აუცილებლად აცნობეთ ექიმს ყველა იმ წამლის შესახებ, რომლებსაც სვამთ, მათ შორის ყველაზე უვნებელი — მცენარეული წამლების შესახებაც კი.

მკურნალობის დაწყებამდე აუცილებლად უნდა იცოდეთ იმ გართულებების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა ,თერაპიის პროცესში იჩინოს თავი.

### გაითვალისწინეთ

ბევრი ანტიდეპრესანტი ადამიანზე დამამშვიდებლად მოქმედებს, იწვევს მომატებულ ძილიანობასა და მოთენთვას. აუცილებელია დაადგინოთ, როგორ რეაგირებთ ამ თუ იმ წამალზე. ამიტომ მკურნალობის პირველ დღეებში დარჩით შინ, ნუ მიუჯდებით საჭეს, ნურც ავტომატურ მოწყობილობებსა და ტექნიკურ აგრეგატებს მიუახლოვდებით;

ვიდრე ექიმი წამლებს შეგირჩევთ, მას უნდა აცნობოთ, ხომ არ გაქვთ გლაუკომა, ხომ არ გაწუხებთ შარდის შეკავება ან გულ-სისხლძარღვოვანი დაავადებები;

რამდენადაც ეს პრეპარატები აძლიერებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ალკოჰოლის მოქმედებას, აუცილებლად დაეკითხეთ მკურნალ ექიმს, რამდენად შეიძლება ალკოჰოლის გარკვეული ოდენობის მიღება და საერთოდ შეიძლება თუ არა;

ორსულებსა და მეძუძურ დედებს დიდი სიფრთხილითა და წინდახედულებით უნდა დაენიშნოთ ანტიდეპრესიული პრეპარატები. უმჯობესია, ამ პერიოდებში საერთოდ შეიკავოთ თავი ანტიდეპრესიული მედიკამენტების მიღებისგან.

# როგორ ამოვიცნოთ ფსიქოპატი

ფფსიქიატრთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ფსიქოპათია დაავადება არ არის. იგი ადამიანის თანდაყოლილი ან შეძენილი ხასიათის ნიშან-თვისებებია, რომლებიც მას ნერვული სისტემის არასრულფასოვანი ფუნქციონირების შედეგად უყალიბდება.

ფსიქოზისას ადამიანის მოქმედება აშკარად სცილდება არსებულ რეალობას და არ შეესაბამება სინამდვილეს, რაც ვლინდება მისი ქცევის დარღვევასა და ისეთი სიმპტომების გამოვლენაში, რომლებიც ჩვეულებრივ ნორმალური ფსიქო-ემოციური ფონის მქონესთვის დამახასიათებელი არ არის.

ფსიქოზის ყველაზე გავრცელებული ფორმებია: ჰალუცინაციური, ბოდვითი, ჰალუცინაციურ-ბოდვითი, აფექტური, დეპრესიული, მანიაკური და სხვა.

სამწუხაროდ, დღეს აშკარად იმატა ფსიქიკის აღნიშნული ტიპის დარღვევის მქონე ადამიანთა რაოდენობამ, ზოგჯერ მათ უცნაურებს ვუწოდებთ, ზოგჯერ კი — ორიგინალურებს.

არსებობს შვიდი ძირითადი ნიშანი, რომლებიც დაგეხმარებათ გაიგოთ, ვინ არის თქვენ წინაშე, ფსიქოპათი თუ ზომაზე მეტად მიზანდასახული ადამიანი?



### შტრიხები პორტრეტისთვის

**გაიცანით!**

1. ფსიქოპათებს ყოველთვის ეუფლებათ აუტანელი მოწყენილობა. ამიტომაც ეძებენ ამ მდგომარეობიდან თავის დახსნას ექსტრემალური სპორტის სახეობებში — რაც უფრო დიდ რისკთანაა დაკავშირებული, მით უფრო იზიდავთ.

მათთვის ბიზნესიც სპორტის ერთ-ერთი სახეობაა. კლიენტზე ნადირობა, კონკურენტებთან ბრძოლა, შემოსავლის გაზრდა — ყოველივე ეს ფსიქოპათს გაცილებით დიდ სიამოვნებას ანიჭებს, ვიდრე განხორციელებული სამუშაოს შედეგი.

2. ხშირად აწუხებთ არარეალური მიზნები. ისინი გამოუსწორებელი მეოცნებენი არიან და ყოველთვის დარწმუნებული იმაში, რომ სხვებისთვის დაუძლეველ სიმაღლეს მიაღწევენ.

3. სხვადასხვა ნიღაბს ამოფარებული ფსიქოპათისთვის დამახასიათებელია განდიდების მანია და საკუთარი უცოდველობის შეგრძნება.

4. ახასიათებთ ოლიმპიური სიმშვიდე და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ არ გააჩნიათ ძლიერი განცდების უნარი. ლაბორატორიულმა ექსპერიმენტებმა დაადასტურა, რომ ნორმალური ფსიქიკის ადამიანი ყველაზე მეტად რეაგირებს მოულოდნელ ხმაურზე, რომელიც საშინელი სცენების ყურების მომენტში გაიგონა, ფსიქოპათი კი ამ დროს არც კი გაინძრევა.

5. ზეამბიციური ფსიქოპათი მიზნების მისაღწევად საკუთარ დედასაც კი გაყიდის და ეს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ამასთან, არც სინდისის ქენჯნა შეაწუხებს და არც სირცხვილი.

6. ისინი არაფრის წინაშე უკან არ იხევენ, თუმცა მათი შეუვალობა, სიმამაცე და დამარცხებისადმი შეურიგებლობა მათვე უბრუნდებათ ცუდად. ისინი საკუთარ შეცდომებზეც კი არ სწავლობენ.

7. ფსიქოპათს შეუძლია დაინტერესდეს სხვათა საქმეებით, მაგრამ საკუთარ მიზანს მიაღწევს თუ არა, მაშინვე ივიწყებს უწინდელ ინტერესს. ზუსტად ასევე იქცევიან ბიზნესშიც — შეუძლიათ, თავი გადადონ რაიმე საქმისთვის, მაგრამ როგორც კი ჰორიზონტზე ახალი, შედარებით სარფიანი პროექტი გამოჩნდება, მაშინვე ივიწყებენ ყველაფერს და არც ყოფილ ბიზნეს-პარტნიორთა ბედი ანაღვლებთ.

### ფსიქოპათის ხასიათის ძირითადი ნიშნები

**ქცევითი თავისებურებანი:**

— ცხოვრების თანამგზავრთა ხშირი ცვლა.
— სხვადასხვა ტიპის დარღვევები გარდატეხის ასაკში.
— კანონთან პრობლემები.
— ცხოვრების პარაზიტული წესი.
— კრიმინალური მიდრეკილებანი.
— მუდმივი მოწყენილობა და მძაფრი შეგრძნებების მოთხოვნილება.
— უწესრიგო სქესობრივი კავშირები.
— ქცევითი დარღვევები ბავშვთა ასაკში.
— რეალური ცხოვრებისეული მიზნების უქონლობა.

**პიროვნული თავისებურებანი:**

— საკუთარი შესაძლებლობების მიმართ უდიდესი რწმენა.
— გრანდიოზული წარმოდგენები თავზე.
— პათოლოგიური მატყუარა.
— ნდობის მოპოვების უნარი.
— მონანიების გრძნობის უუნარობა.
— ღრმა განცდების უქონლობა.
— არ შესწევს თანაგრძნობის უნარი.
— სუსტად აკონტროლებს საკუთარ ქცევას.
— იმპულსურობა.
— უპასუხისმგებლობა.
— საკუთარი შეცდომების უღიარებლობა.

**ზვიად ღონღაძე**

# qurdul i `sxodkebi~, anu `rac ginaxavs, veRar naxav~!

არჩევნებამდე ორი-სამი დღით ადრე ლაშა შუშანაშვილი დაგვიდეს ლამის ფონად სატელევიზიო ბადეზე გინდა-არგინდა წარსულში გადაგაგდებენ ადამიანს და გაგახსენდება, რომ „იაპონჩიკი“ მიხეილ სააკაშვილს შეეწირა და საერთოდაც, საქართველოს „ვარდოსნებთან“ ურთიერთობას შეეწირა ქურდული „გვირგვინები“...

მივყვეთ საქმის ვითარებას და თუ ასე არ დალაგდება, თითს მოვკაკვავ ამ „ბრალდების“ გამეორების გამო. „კანონიერი ქურდი“ ვიაჩესლავ ივანკოვი („იაპონჩიკი“) საავადმყოფოში სიკვდილს ებრძვის,“ — აიტაცა რუსეთის თითქმის ყველა საინფორმაციო წყარომ და არც ქართული მედია-სივრცე ჩამორჩა, საინფორმაციო გადაცემებში მთელი დღე გვიჩვენებდნენ იმ რესტორნის გამოსასვლელს, სადაც ქილერის სამი ტყვია მუცელში მოხვდა ივანკოვს და თვითმხილველებს, რომელთაც ის უფრო აინტერესებთ, რა მოხდებოდა შემდეგ, ვიდრე ის, გადარჩებოდა თუ არა ქურდული სამყაროს ერთ-ერთი ლეგენდა. რა თქმა უნდა, მასალა რუსეთის ტელევიზიიდან იყო გადმოქაჩული, მაგრამ მთავარი ინტერესის ხარისხია, ნუთუ მხოლოდ იმიტომ გვაზეპირებინებდნენ ამ კადრებს, რომ იაპონჩიკი საქართველოში დაბადებული იყო და საქართველოშივე დაბადებულ „კანონიერ ქურდებს“ უკავშირდებოდა ეს გასროლაც? ხომ საინტერესოა?

ფედერალური გამოძიება გამოძიების მასალებს არ აქვეყნებდა, მაგრამ იყო ვერსია, რომ სასიკვდილო გასროლა კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის დაპირისპირებებს მოჰყვა. ასევე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ივანკოვი ქართველი კანონიერი ქურდების — ტარიელ ონიანის და ასლან უსოიანის დაპირისპირებაში აქტიური ჩარევის გამო იქნა სასიკვდილოდ გამეტებული. იმ დროს ტარიელ ონიანი დაკავებული იყო და მოსკოვში მისი სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა, ამდენად, მასზე ხელის შეწმენდა ასე იოლად შეუძლებელი იყო...

დაპირისპირება ონიანსა და „იაპონჩიკს“ შორის 2006 წელს გამოიკვეთა, როდესაც შაქრო კალაშოვი დააკავეს და ასლან უსოიანმა მისი ქონების მმართველად ლაშა შუშანაშვილი დანიშნა, ეს კი ონიანის დაჯგუფებას არ მოეწონა, რადგან მანამდე შუშანაშვილს ონიანის მიერ ქურდის სტატუსი ჰქონდა ჩამორთმეული, — გავრცელდა ქართული საინფორმაციო საშუალებების მიერ.

2008 წლის 7 ივლისს, პიროგოვის — წყალსაცავზე, თბომავალი „მოსკოვი-60“ ტარიელ ონიანისა და მერაბ ჯანგველაძის ქურდულ




„სხოდკას“ მასპინძლობდა, რომელიც ლაშა შუშანაშვილის და ასლან უსოიანთან ქურდულ ოჯახთან იყო დაპირისპირებული. დაძაბული ურთიერთობის კულმინაცია იმავე წლის 10 აპრილი გახდა, როდესაც მოსკოვში, რესტორანში, ონიანის დაჯგუფებამ დაუსწრებლად შეუჩერა „გვირგვინი“ ლაშა შუშანაშვილს და იური პიჩუგინს. პასუხმა არ დააყოვნა და 13 აპრილს, უსოიანმა, შუშანაშვილმა და მათზე მიმხრობილმა „იაპონჩიკმა“ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კანონიერი ქურდის სახელის ტარების უფლება შეჩერებოდა: ტარიელ ონიანს, მერაბ ჯანგველაძეს, დიმიტრი გალეევს და ალექსანდრე ბორას. რა თქმა უნდა, არც ერთი მხარე უკან არ იხევდა, პირიქით, „იაპონჩიკის“ მონაწილეობაზე, როგორც „მიმდგარ“ მხარეზე, რეპლიკები გაისმა მეორე მხრიდან, რომ იგი არაფრით იყო სხვაზე მაღლა მდგომი და ადვილი შესაძლებელი იყო თვით დაეკარგა „გვირგვინი.“

ამის შემდეგ დაძაბული ურთიერთობა ისეთ ჩიხში შევიდა, რომ სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი იყო მესამე პირის ჩარევა, ისეთის, რომლის ავტორიტეტიც ორივე მხარისთვის ეჭვშეუვალი იყო. ასეთად თბილისში მყოფი 82 წლის გოგი ჩიქოვანი, „პაპაშა“ (თბილისის ე.წ „ციხის ბუნტამდე“ ორიოდე დღის წინ გვიჩვენეს) და აშშ-ში მცხოვრები 81 წლის ბორის კომინი („ბორია უშატი“) დასახელდნენ.

პიროგოვის წყალსაცავზე გამართული „სხოდკა“ იყო ყველაზე დიდი ქურდული შეკრება 2001 წელს ქალაქ ფრიაზინოში გამართული შეკრების შემდეგ, სადაც 29 მოქმედი ქურდი იქნა დაკავებული. (სხვათაშორის, 39 ქურდის დასაკავებლად მისული სამართალდამცავების მეთაურის ბრძანება, **íå áåèòå íèêîãî, íå íàäî, íå íàäî áèòü íèêîãî!** ვინმესთვის რომ ნერვებს არ ემტყუნა და ხელი არ გაექნია, რამდენჯერმე იქნა გაცემული, არათუ ყველა მათგანის ადგილზე ლიკვიდაციის შესახებ.)

ცნობისათვის, ფრიაზინოს „სხოდკის“ შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით „უბედური შემთხვევით“ ხუთი ქურდი გარდაიცვალა...

დრო შეიცვალა, ცვლილებები განიცადა ქურდულმა კანონებმა და თვით მათმა სიკვდილმაც. უწინ თუ ძირითადად მილიციასთან შეტაკებისას ან ციხის საავადმყოფოს კედლებში კვდებოდნენ, ახლა სად დაეწეოდათ ტყვია, ღმერთმა იცოდა მხოლოდ. ამ სიაში იყვნენ „კანონიერი ქურდებიც“ და ავტორიტეტებიც: „კალინა“ („იაპონჩიკის“ შვილობილად მიღებული), ხუდო (დიდუბელი ხუდო გასოიანი, რომელსაც მუდმივად კონფლიქტი ჰქონდა როგორც მილიციასთან, ისე ჩეჩენ მაფიოზებთან და მოკლეს კიდეც, როგორც ყველა დანარჩენი ჩამოთვლილი), „სილვესტრი,“ „გლობუსი,“ „გივი რეზანი,“ „ჰიტლერა,“ „ვიტია ჟიდი,“ „ფედია ბეშენნი,“ „რომეო,“ „სულტანი,“ „რასპისნოი,“ „არსენა,“ „დუდუკა,“ „როსტიკი,“ „ჯონი,“ „შრამი,“ ამირან და ოთარ კვანტრიშვილები, პაატა ჩლაიძე („პაატა უფროსი“) და ახლა „იაპონჩიკი“ ჩააყენეს რიგში.

სამი მცველის თანხლებით რესტორნიდან გამოსულ ივანკოვს ტყვიამ მუცელში გაუარა და რესტორნის კიბეებზე დაეცა. დაჭრილი „იაპონჩიკი“ მცველებმა ციმციმ გადაიყვანეს ბოტკინის საავადმყოფოში, სადაც სასწრაფოდ გაუკეთდა ოპერაცია, ამოაჭრეს დაზიანებული მსხვილი ნაწლავის ნაწილი. მიდამოს დათვალიერებისას ნახეს ადგილი, სადაც ქილერი იყო ჩასაფრებული, ტენტიანი „გაზელი,“ დრაგუნოვის ოპტიკურსამიზნიანი სნაიპერის შაშხანა და კამუფლიაჟის კომპლექტი.

როგორც ოპერატიული სამსახურის თანამშრომლები ამბობდნენ, ასეთი შაშხანიდან და ამ მანძილიდან, მიუხედავად იმისა, რომ ხალხმრავლობას შეიძლება ხელი შეეშალა დამიზნებისთვის, სნაიპერისთვის არავითარი პრობლემა არ იყო, რომ მსხვერპლი სიცოცხლეს გამოსალმებოდა, ამდენად, სავარაუდოა, რომ იგი ან პროფესიონალი არ იყო, ან განგებ დაუმიზნა მუცელში, რადგან ასეთი შემთხვევა ყოველთვის სიკვდილით არ მთავრდება, მაგრამ ძალზე მტკივნეული და მტანჯველი არის.

სროლის ადგილზე დამონტაჟებული ვიდეოთვალი გარემოს აფიქსირებდა, მაგრამ სადაც „გაზელი“ იდგა, ის მონაკვეთი არ ხვდებოდა



ფოკუსში, თუმცა, როგორც თვითმხილველები ამბობენ, ეს მანქანა რამდენიმე დღე იყო, რაც იქ იდგა და არავის ეჭვი არ აღძვრია, ხოლო გასროლის შემდეგ ადგილიდან დაიძრა იქვე მდგარი ლურჯი „ჰონდა...“

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება არანაირ კომენტარს არ აკეთებდა, მაინც გამოჟონა ინფორმაციამ, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით, შაშხანას, რომლითაც გასროლა მოხდა, დაზიანებული ჰქონდა სამიზნე და სწორედ ამიტომ არ მოხვდა ტყვია გულში ან თავში...

დღეს რა აზრის არიან ხელისუფლებაში მოსვლის თუ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის იდეით ატაცებული ზოგიერთი ქურდი, ასე ვთქვათ, უცნობია (ვითომ), მაგრამ, რაც თვალსაჩინო და სალაპარაკო გახდა?

საბჭოთა მასშტაბებს რომ თავი დავანებოთ და მხოლოდ საქართველოს მილიციით შემოვიფარგლოთ, აუცილებლად გაგვახსენდება ყველა შსს მინისტრთან და შსს სამმართველოს უფროსთან დაკავშირებით აგორებული ხმები იმის შესახებ, რომ ქურდებსა და მათ შორის, გარიგება იყო, მაგრამ ეს მხოლოდ ხმების დონეზე რჩებოდა. მაგრამ, აი, დასრულდა საქართველოს ისტორიის ერთი ეტაპი და პირველი განცხადება „ვარდების რევოლუციის“ გარიჟრაჟზე, დღევანდელი ხელისუფლება რომ ქურდების დახმარებით მოგვევლინა, ოფიციალურად გაისმა აწ უკვე გარდაცვლილი (მოკლული) ბონდო შალიკიანის პირით. ტარიელ ონიანის სახელი პირდაპირ დაედო მიხეილ სააკაშვილის სახელს — ქურდულ „სხოდკაზე“ მისი არაქურდად დატოვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სააკაშვილთან კავშირი იყო, რაც ფინანსურ დახმარებაში გამოიხატებოდა და, ამის მოთავეებად ლაშა შუშანაშვილი („ლაშა რუსტავსკი“) და ასლან უსოიანი („დედ ჰასანი“) სახელდებიან, თუმცა ეს მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზია, მთავარზე მთავარი ისაა, 2008 წლის 7 აპრილი, პიროგოვის წყალსაცავზე თბომავალი „მოსკოვი-60“...

ახლა ცოტა კიდევ გადმოვინაცვლოთ აქით, დღევანდელობისკენ — როდესაც ტარიელ ონიანი ევროპიდან აქეთ „მოავლინეს,“ მანაც ათვისებული ტერიტორიის, ანუ უკრაინაში გადაწყვიტა „მოღვაწეობა.“ მოხდა ინტერესთა შეჯახება და, თუ ის ამბავიც, რომ გივი თარგამაძის სათამაშო ბიზნესს უკრაინაში გია ხმელიძე კურირებდა, სიმართლე იყო, მაშინ უკვე აღარ არის გასაკვირი, რომ ყოფილ „პარტნიორს,“ ტარიელ ონიანს, „ხალვას“ (მურმან ტვილდიანი) დაპატიმრების შემდეგ „აჩუ!“ უთხრა ამ ხელისუფლებამ და დშუშანაშვილ-ხმელიძის ტანდემს ჩაეფსკვნა.

კიდევ ახლოს მივჩოჩდეთ და გავიხსენოთ ის კადრები, როცა საკანში მოჩხუბარი მურმან ტვილდიანი და ვატო აბაშიძე გვიჩვენეს. რას ვერ იყოფდა საერთო მტრის მიერ გამომწყვდეული ორი მსჯავრდებული?

ვატოს ძმას, კონსტანტინეს, თბილისის გარდა უკრაინაშიც აქვს ბიზნესი, მეგობრობს შუშანაშვილთან და ხმელიძესთან და, აბა, შეხმატკბილებულად როგორ იქნებოდნენ ერთ საკანში მტრების ძმაკაცები?

ბოლოს ამგვარი აზრი ჩამოუყალიბდა კაცს ამდენი „ქურდულზე“ ლაპარაკის გადამკიდეს, იმ ქართული ფილმისა არ იყოს, „რაც გინახავს — ველარ ნახავ,“ თავადი რომ გოგოს არ ატანს, მე ეს ქალი ჩემთვის მინდაო, ჩვენი ხელისუფლების ამბავიც ასე ხომ არაა, მე ქურდები ჩემთვის მინდაო? — ვაი, გადით, გადაშენდით, რა!

**მაია ჭელიძე**

### რეპლიკა

# ukan SeyaviT Tavi, Tqve turebo!



„თავისუფლების მოედანზე“ კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა ზეიმის ამსახველ კადრებში უცებ ორმა ტურამ გამოჰყო თავი: — ნახეთ, ჩვენც აქ ვართ, ქართველი ხალხის გვერდით ვდგევართ და „ქართულ ოცნებას“ ვუჭერთ მხარსო.

ეს ორი ტურა პოეტებად იწოდებიან და „მწერალთა კავშირში“ მომხდარ სკანდალურ ამბებში ორივე ტურას თავისი წილი ტურული ღვაწლი აქვთ შეტანილი — ერთი პრემიებს ირიგებდა და, როგორც ამბობენ, ყველა ფინანსურ მაქინაციას „აპრავებდა“ და ბეჭედს უსვამდა, მეორემ კი, როგორც მწერალთა კავშირის სპეციალურმა კომისიამ დაადგინა, მწერლების კუთვნილი დიდძალი თანხა მიითვისა.

ეს მეორე ტურა აქამდე თითქმის მალვაში იყო და, აი, ახლა გამოჰყო თავი სამალავიდან.

ორივე ტურა მჭიდროდ და აქტიურად თანამშრომლობდა „ნაცმოძრაობასთან“ და თბილისის მერიასთან.

დროზე შეაბრუნეთ თავი უკან, თქვე მართლა ტურებო და მეტი არ გაბედოთ ამ თქვენი შერცხვენილი თავების კიდევ ერთხელ გამოყოფა.

**„ს.გ.“**

მოგზაურობა სამშობლოში

# mTvlemare legenda da istoria

## ცენტრალური ჯავახეთი

*ახალქალაქს სამხრეთიდან თავს დასდგომია ერთი კონუსური ფორმის მთა, რომელსაც ამირანის გორა ჰქვია. აქედან ხელისგულივით მოჩანს რამდენიმე დიდი თუ პატარა სოფელია. თავად გორაზე დღეს საეთერო ანძისა და მისი დამხმარე ნაგებობის გარდა სხვას ვერაფერს ნახავთ, არადა მიწის სიღრმეში რამდენიმე არქეოლოგიური შრე 5 ათასი წლის ისტორიულ-კულტურული ცხოვრების საიდუმლოს ინახავს. თურქებს ამირანის გორისთვის თავშან-თაფა დაურქმევიათ, რაც კურდღლის გორას ნიშნავს. თურქულ ტოპონიმს დიდი კვლევა არ ჭირდება, აი, ქართული ტოპონიმი კი საინტერესო ფიქრებს აღძრავს.*





ბავრის საყდარი, მისი რელიეფიანი და წარწერიანი ქვები

მითოსური ამირანის მიჯაჭვის ადგილად ხალხურ გადმოცემებში ხან იალბუზი სახელდება, ხან — მყინვარწვერი, ხან — თებულო, ხან — ბესალთავი, ხან რომელი და ხან რომელი მთა, რომელთა შორის ჯავახეთის **ამირანის გორაც** არის. ამირანის თქმულებას თუ გავიხსენებთ, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, როგორ მალავს იგი თავის ვინაობას: **„სომეხი ვარ, ტანტრე მქვია, დავკარგე და ვეძებ ვირსა“...** გასაგებია, რომ ეს თქმულების რამდენადმე გვიანდელი ვარიანტია, მაგრამ მასში რომ უძველესი პლასტებია დალექილი, ესეც უდავოა. ზევით მოტანილი ფრაზა იმაზე მიგვანიშნებს, რომ დევების საცხოვრებელ ადგილებში სომხები არხეინად გრძნობენ თავს. ახლა გავიხსენოთ ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“, რომელშიც ნათქვამია: **„...მაშინ იქმნა სომხითს დიდი იგი მეფე იარვანდ და დაივიწყა მან კეთილი ქართველთა, ემძლავრა ფარსმანს არმაზელსა და მიუღო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტაანი მტკურამდე და დასხნა წენდას შინა კაცნი მხეცნი, ნათესავნი დევთანი და უწოდა სახელად ქაჯატუნი, რომელი-ესე ითარგმნების დევთ-სახლად“.** აქ სწორედ სომეხთა მეფისგან ძვ.წ.-ის II საუკუნეში მიტაცებულ ჯავახეთზეა საუბარი, რომელიც შემდგომში იბერიის წყვილ მეფეს აზორკსა და არმაზელს დაუბრუნებიათ. საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს ის ვერსია, რომ თქმულებაში სწორედ ხსენებული ეპოქის მოვლენებია დალექილი: **ამირანი გორაზე ცხოვრობს, იქ ჭედავს და ლესავს სატევარს, ხოლო „კაცნი მხეცნი-ნათესავნი დევდათანი“ ამ გორის ქვეშ, წუნდაში, ახალქალაქის პლატოზე და მტკვრის ხეობაში დასახლებულან.**

**... ამირანი დევებს ხოცავს.**



ამირანის გორა დასავლეთით ერთ მცირე ტბას გასცქერს, რომელთანაც წერტილივით მოჩანს რაღაც ნაგებობა. ჩვენც იქით ვიღებთ გეზს. ტბის ახლოს მდებარე მცირე სოფლისთვის სახელი შეუცვლიათ და ახლა კიროვაკანი ჰქვია. იმის მტკიცებას, რომ მას ადრე **ზრესკი** ერქვა, ადგილობრივი სომხებისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ჩვენთვის კი ფრიად საყურადღებოა. **აქედან არც თუ ისე შორს მდებარე სოფელ ვაჩიანში ნიკო ბერძენიშვილმა 1933 წელს მიაგნო ერთ საყურადღებო ქვას, რომელიც უცნობი საყდრის კუთვნილება იყო და ამჟამად ახალციხის მუზეუმშია დაცული. ქვაზე ქართული ნუსხურით ამოკვეთილი წარწერაში ნახსენები ბერი ზრესკელი, რომელსაც ზუინაკტში ამირასპასალარ ზაქარია მხარგრძელის დაკვეთით ეკლესია აუშენებია.** სად იმყოფებოდა ზუინაკტი უცნობია, მისი ტაძრის ამგები კი იმ პატარა ტბისპირა სოფლიდან ყოფილა, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით. ტოპონიმ ზრესკის ახსნა ვერ ხერხდება, ზეინაკტი კი ალბათ „ზვინიდან“ უნდა მიმდინარეობდეს.





1937 წელს საინტერესო ქვა თვით ზრესკშიც იპოვნეს მეცნიერებმა. იგი ამჟამად სომეხთა მიერ ახალაგებულ პატარა სურბში (სამლოცველოში) ინახება. უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ სურბი ამ ქვის გამო აიგო. ეს ის მცირე ნაგებობაა, რომელიც ამირანის გორიდან დავინახეთ ბინოკლით. **სალოცავის აღმოსავლეთ ნაწილში დგას მაქმანიანი ნაჭრით შებურვილი ტრაპეზის ქვა, რომელიც სინამდვილეში ლაშა-გიორგის „ხელის“ სტელას წარმოადგენს და რომლის სანახვადაც მოვისწრაფოდით აქეთ.** ხელის მტევანი ხელისუფლების ნიშანი გახლდათ ფეოდალურ საქართველოში და მას მხოლოდ ზრესკში როდი ვხედავთ. სტელის სიმაღლე დაახლოებით 130 სმ-ია. თავში ამოკვეთილია ექვსქიმიანი ვარსკვლავი — ბაგრატიონთა იესე-დავითიანური და ქრისტესეული წარმომავლობის ლოგოსი. იქვეა ვარდული და ჯვარი, ხოლო მათ ქვევით, თაღში — ხელის მტევნის ანაბეჭდი, რომელიც პირობითად ლაშა-გიორგის — სრულიად საქართველოს მეფეს ეკუთვნის. მის ქვეშ ასომთავრულით წერია: **„თამარის ძისა გიორგის ხელი“.** გავიხსენოთ, რომ ჯავახეთი და მისი ერთ-ერთი ძველი ცენტრი — ალასტანი ლაშას საუფლისწულო მამული იყო და ზოგიერთი ისტორიულ საბუთში იგი ალასტნელადაც არის მოხსენიებული.



ზრესკის სამლოცველო და სტელა — ლაშა-გიორგის „ხელი“



... ზრესკიდან ახალქალაქის მიმართულებით ვბრუნდებით და საღამო ხანს ამირანის გორის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთებზე შეფენილ სოფელ **ბავრაში** შევდივართ, თარჯიმნად გურამ წინწკალაძე. გვიდგას, რომელიც ჩემს შეკითხვებს სომხურად უთარგმნის ადგილობრივებს.

— ვინმე თუ იცით ამ სოფელში, ვისაც თავისი ქართული წარმომავლობა ახსოვს?

— არა, არ ვიცით! — ყველასგან ერთნაირი, ცივი უარი მესმის.

თვალებში ჩავცქერი ყველას, იქნებ მზერით გავუთბო გული და ფესვი, მაგრამ ამაოდ. ასე მგონია, საქართთელოში კი არა, სადღაც შორს — ევფრატის, ტიგროსის, ჰალისისა და არაქსის ხეობებში, ვანისა და ურმიის ტბების მიდამოებში ვიყო, საიდანაც ისტორიულმა ქარტეხილებმა დიდი ხანია ამოგლიჯა და გაახმო ქართული ფესვი. არადა, **1829 წლამდე მთელ ჯავახეთში და მასთან ბავრაშიც, ცოტა იყო თუ ბევრი, მართლმადიდებელი, კათოლიკე თუ მაჰმადიანი მოსახლეობის 90 პროცენტი ქართველობა იყო.** ახალციხე აიღო თუ არა, გრაფმა პასკევიჩმა ყურად არ იღო ადრე გახიზნული ქართველი თავად-აზნაურების თხოვნა უკან დაბრუნების შესახებ და მათ ნაცვლად ერზრუმელი მონოფიზიტი და კათოლიკე სომხების 30 000 ოჯახი ჩამოასახლა. **ჩამოსახლებულთა ამ დიდ ტალღაში ერია არტაანის რაიონის სოფელ ველის კათოლიკე ქართველთა მცირე ჯგუფიც, რომელიც ხულგუმოში, კარტიკამში, ხოსპიოსა და ბავრაში დაასახლეს.** როგორც შოთა ლომსაძე წერს, „ველი იმ გამონაკლისი სოფლების რიგს ეკუთვნოდა, რომელმაც დიდი მსხვერპლის ფასად შეინარჩუნა ქრისტიანული სარწმუნოება და XVIII საუკუნის დასაწყისში გამაჰმადიანებულ ოკეანეში დარჩენილ კუნძულს ჰგავდა“, **მაგრამ კათოლიკობამ, რამაც ველელები გამაჰმადიანებისგან იხსნა არტაანში, დაღუპა კათოლიკე სომხებში შერევამ.** და აი, ახლა სოფლის ცენტრში მდგარმა მსურს ვიყვირო, რომ ბავრელების დიდი ნაწილი ქართველები ხართ-მეთქი, მაგრამ ეს სასაცილოდ არ ეყოფა არავის.

სოფლის ძველისძველ უბანში შევდივართ, სადაც X საუკუნის ეკლესია დგას. ეკლესიის წინ მაღალი სტელაა, გვერდზე გადაქანებული დგას და ზედ, გოლგოთის ჯვართან ერთად, ქართული ასომთავრული წარწერაა: **„ესე საფლავი მგელაისი არს. შეუნდვენ ღმერთმან და ვინცა შენდობა თქვას, მასცა შეუნდვენ ღმერთმან“.**

თავად ტაძარი ნაგებია რუხი და მოვარდისფრო, ფაქიზად გათლილი და დაწყობილი ქვებით. ზოგიერთი ლოდი, ისეთი დიდია, რომ 2-3 ქვის ადგილი უკავია. სამხრეთიდან მოგვიანებით ეკვდერი მიუშენებიათ. ტაძარს ორი ქართული ასომთავრული წარწერა აქვს. აღმოსავლეთ ფასადზე ცნობილი ბიბლიური სიუჟეტის („დანიელი ლომების ხაროში“) ქვეშ ამოკვეთილია წარწერა: **„ქრისტე, ადიდე სოფრონ“.** იგივე სახელი გვხვდება დასავლეთის ფრონტონში ჩასმულ წარწერიან ქვაზეც: **„სახელითა ღვთისაითა აეგო ესე ეკლესიაი წმიდაი სოფრონს ქონქოლელსა, ამინ!“** ამავე ფასადზე ყურადღებას იპყრობს გრძელი ქვაში ამოკვეთილი მედალიონები, რომელთაგან ერთ-ერთში ათფრთიანი ბორჯღალი (სვასტიკა) ზის. უფრო საინტერესო სანახაობა გველის ინტერიერში. ხუროთმოძღვარს იდილიურ-მისტიკური სამყარო შეუქმნია სივრცისა და სუსტი შუქის საშუალებით. საინტერესოა პილასტრების კაპიტელების გაფორმება, მაგრამ ყველაზე დიდ ეფექტს კონქში არსებული ორი თხელი, თითქმის ნაკაწრი რელიეფი ახდენს. ერთია ორმაგ წრეში ჩასმული ადამიანის სახე (მამაზეციერის?), მეორე — კუთხოვანი ბორჯღალი, რომლის ოთხივე ფრთა 90 გრადუსიანი კუთხით მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით გრძელდება. ეს სვასტიკა მართკურთხედში კი არ იკეტება, არამედ უსასრულობისკენ ილტვის. მსგავსი ბორჯღალები, რომელთაც ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს, ნაპოვნია წარმართული ეპოქის საბეჭდურებზეც და გვაქვს სვეტიცხოვლის ერთ-ერთი სარკმლის საპირეშიც.

ეს ქართველი კაცის, ჩვენი წინაპრის შემოქმედებაა, სამყაროს უსასრულობის გამოხატულებაა.

**გელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**

მგელაის საფლავის სტელა წარწერით



# mware gakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

ჯემალ დავლიანიძე

### კავკასიაში საჭიროა ლოკალური ომი

კავკასიაში საჭიროა ლოკალური ომის კერა აინ-თოს, რომ მომავალში ევროამერიკამ რუსეთს მთელი ეს მხარე ხელიდან წაგლიჯოს!

აქ, კავკასიაში გახლავთ ნავთობის ორი უდიდესი კერა, თუნდაც ცენტრი – გროზნო და ბაქო!

აქედან, კავკასიიდან, კასპიის ზღვის გავლით, აღმოსავლეთით, მდებარეობს ენერგორესურსებით სავსე შუა აზია: გაზი, ნავთობი... თან გასასვლელია ავღანეთისკენ, სამხრეთით – ირანისკენ, სადაც უამრავი ნავთობია!

სხვათა შორის, კასპიის ზღვის აუზიც აინტერესებთ, რადგან ევროპელებსაც და ამერიკელებსაც ძალიან უყვართ თართი, სვია და შავი ხიზილალაც!

ვის ხელშია ახლა კასპიის ზღვა? აზერბაიჯანის, ირანის, რუსეთის, თურქმენეთის ხელშია!

მერე, თუ კავკასიის ომები დაიწყება, სარგებელს ვინ ნახავს?

რა თქმა უნდა ის, ვინც ამ ომებს წამოიწყებს!

ბოლოს და ბოლოს, ევროამერიკას შეუძლია რუსეთთან გარიგებაზეც კი წავიდეს და ყველაფრის შუაზე გაყოფა შესთავაზონ!

ძმაო, იტყვის ევროამერიკელი, - შენ უკრაინამ წაგართვა შავი ზღვის სანაპირო, ვითომ აფხაზეთზე უარს იტყვი?

აქეთ თურქეთია, - ნატოს წევრი. იმას ჩუმ-ჩუმად შესთავაზებენ – რაო, რა, აჭარაზე უარს იტყვი ძამია? აგერ არ გაქვს ყარსის ცნობილი ხელშეკრულება?

ასეა თუ ისე, როგორც ჰაერი, ისე სჭირდებათ კავკასიური ომი, რათა აირ-დაირიოს ყოველივე, მხოლოდ იმიტომ, რომ შემგომ დაალაგონ ისე, როგორც თვი-თონ სურთ!

რუსეთიც, თავის მხრივ, შორს იხედება! თუ ქართველობა მისგან გვერდით გაიწევს და ჩამოშორდება, მაშინ შეეცდება თავისი სამხრეთი საზღვრები აფხაზეთით და ცხინვალის რეგიონით შემოფარგლოს!

ევროამერიკა რუსეთს მეტ გზას აღარ უტოვებს, ამიტომ იგი თავისას ცდილობს. სიფრთხილეს კი იჩენს, მას ურჩევნია მთლიანად საქართველო შეინარჩუნოს გავლენის სფეროში, მაგრამ დასავლეთს ისეთი ძლიერი მოთამაშე ჰყავს ამ მხარეში შევარდნაძის სახით, რომ ყველაფერს თავისი სურვილისამებრ ვეღარ ახერხებს!

შევარდნაძე კი ამ დროს სამეგრელოში რბევა-აწიოკებით ცდილობს მეგრული სეპარატიზმი ჩასახოს, რომ ქარველობამ აფხაზეთზე კი არა, არამედ სამეგრელო-სვანეთის შენარჩუნებაზე იფიქროს, რაც აუცილებლად ომით და ვაებით დასრულდება!

ამ დროს, საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი გაძევებულია და გროზნოდან შესცქერის საქართველოს უბედურებას! მას სამშობლოში, კერძოდ აფხაზეთშიც, სამეგრელოშიც, იმერეთშიც, სვანეთშიც, გურიაშიც და აჭარაშიც მრავალი მომხრე გააჩნია.

რა თქმა უნდა, ეს ადამიანები ხსნას სულ ახლოს მყოფ, ჩეჩნეთში გახიზნულ საყვარელ პრეზიდენტში ჰხედავენ და არის ერთი ამბავი. თბილისში იბეჭდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაზეთები. არის მანიფესტაციები, მიტინგები. ხალხი მოითხოვს აღსდგეს კანონიერი ხელისუფლება!

ამ აღშფოთების ტალღის გამოყენებას კი შევარდნაძე ცდილობს გამალებით! მისი სურვილია – დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელო-აფხაზეთში, რამენაირად შეიქმნას კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერი შეიარაღებული რაზმები და გაერ-თიანებები.

საამისოდ, როგორც ვთქვით, ტანკებით და ქვემეხებით, სროლით და ხოცვა-ჟლეტით, ცეცხლით და მახვილით შედიან ქალაქებში და დასახლებულ პუნქტებში!

თბილისში მოდის ოფიციალური ცნობები, რომ კანონიერი ხელისუფლების (შევარდნაძის ხელისუფლება უკვე კანონიერად ცხადდება!) შეიარაღებულმა ძალებმა აიღეს სამტრედია, სენაკი, ხობი, აბაშა, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ფოთი, ზუგდიდი...

ამყარებენ წესრიგს, თუმც უკვე გამოჩნდნენ ზვიად გამსახურდიას, ამ დიქტატორის (როგორც ისინი აცხადებენ!) შეიარაღებული ბანდ-ფორმირებები ანუ ტერორისტები!

ვისი ხელწერაა მეგობრებო? ამას ხომ დღე და ღამ გაჰკივის „ამერიკის ხმა“ და რადიო „თავისუფლება“.

შევარდნაძე უკვე კანონიერი ყოფილა, ზვიად გამსახურდია კი დესტრუქციული ძალების მეთაური!

შევარდნაძე ანგელოზი, ზვიად გამსახურდია კი ფაშისტი, ტერორისტი და ბანდიტების მეთაური!

ახლა, როცა ჩვენ უკვე ნათლად ვიცით, რომ შევარდნაძე ევროამერიკელების წარმომადგენელია, მათი ძმაა და დიდზე დიდი მეგობარი, ხომ უეჭველია, რომ მისი სახით მოქმედებს ევროამერიკა ანუ ბუში, ბეიკერი, გენშერი და ა.შ.

ახალი მსოფლიო წესრიგის, გაერთიანებული მსოფლიოს ინჟინრები თავიანთი გეგმების განმახორციელებლად კავკასიაში (და არა მხოლოდ კავკასიაში!) შევარდნაძეს მოიაზრებენ! ამიტომაც ეხმარებიან მას და უჭერენ მხარს! ამიტომაც გააცნეს მათ თავიანთი ახლობლები – დედა, მამა, ძმები, ბებია-ბაბუები! ამიტომ უმღეროდნენ მას ამერიკაში კახურ მრავალჟამიერს. ამიტომაც ჩამოაგდეს საქართველოში კანონიერი პრეზიდენტი და დაღვარეს ულევი სისხლი!

### ჯიუტი რუსეთის ფედერაცია

კავკასიაში საჭიროა ლოკალური ომი!

ეს იცის შევარდნაძემ!

უფრო მეტიც, - ეს მას დაავალეს!!

ამიტომ, შევარდნაძე სამეგრელოს „აღების“ შემდგომ, მიიწევს აფხაზეთისკენ და იქ შეიარაღებულ შეჭრას ლამობს.

აფხაზეთში კი ომის დაწყება მთელ კავკასიას ცეცხლის ალში გახვევს.

საამისოდ კი მიზეზია საჭირო!

მიზეზს გამალებით ეძებს შევარდნაძე და, რა თქმა უნდა, ევროამერიკელთა ინსტრუქციებით, კიდეც პოულობს!

არადა, ჯერ კიდევ 1991 წლის გაზაფხულზე, ზვიად გამსახურდია ასე მიმართავდა აფხაზებს:

„ძვირფასო თანამემამულენო!

აფხაზთა და ქართველთა ძმობა უხსოვარი დროიდან იწყება. ჩვენი საერთო კოლხური წარმოშობა, გენეტიკური ნათესაობა, ჩვენს ხალხებსა და ენებს შორის საერთო ისტორია, საერთო კულტურა, გვავალებს დღეს დიდ დაფიქრებას ჩვენი ხალხების ბედიღბალზე. ჩვენ ერთ მიწა-წყალზე ვცხოვრობდით მუდამ და ურთიერ-თის ჭირს ვიზიარებდით. ჩვენ საერთო სამეფო გვქონდა საუკუნეთა განმავლობაში, ერთ ტაძარში ვლოცულობდით და ერთ ბრძოლის ველზე ვიბრძოდით საერ-თო მტრების წინააღმდეგ...

ჩვენ მრავალი იმპერიის შემოტევას გავუძელით. ჩვენი ძმობა და მეგობრობა ვერ შეარყიეს ვერც რომაელებმა, ვერც ბიზანტიელებმა, ვერც არაბებმა, ვერც თურქებმა და ვერც სხვებმა...

არძინბას სურს აფხაზი ხალხი ჩაითრიოს სახიფათო ავანტიურაში, რომელიც მას მხოლოდ სირცხვილსა და უბედურებას მოუტანს (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №48, 1991 წ.).

ევროამერიკა წინა წლების მანძილზე ისე ფრთხილად მოქმედებდა, რომ ყველა უბედურება, რაც კავკასიაში (და სხვაგანაც, მთელ მსოფლიოში ხდებოდა) საბჭოთა კავშირს ბრალდებოდა!

ამის მიზეზის შესახებ, უფრო ზემოთ რამდენიმე სიტყვით უკვე ვთქვით და კიდევ გავიმეორებ, რომ საბჭოთა კავშირმა არ გაუმართლა მსოფლიო საიდუმლო საბჭოს, მის მმართველობას და არქიტექტორებს...

ძირითადად სტალინმა ჩაშალა მათი გეგმები, როცა რუსეთში მათ მიერ დამხობილი სამეფო მმართველობის ნაცვლად შექმნეს საბჭოეთი! იმის მაგიერ, რუსეთი კიდევ უფრო ჩამოერჩინათ შემდგომი განვითარებისაგან, რაც მათ გეგმებში უთუოდ შედიოდა, სტალინმა მათივე სახსრების გამოყენებით ძლიერი სახელმწიფო შექმნა, რის დანგრევასაც ამდენი ათეული წელიწადია ვეღარასგზით ახერხებენ!

ძლივს დაშალეს საბჭოთა კავშირი! გაიხარეს, რადგან ეგონათ ახლა პირწმინდად მიჰყვებოდნენ და რუსეთის ფედერაციასაც წირვას გამოუყვანდნენ, მაგრამ მოულოდნელად, ელცინის შემდგომ, რუსეთიც გაჯიუტდა და მათ ბნელ გეგმას პრობლემები შეექმნა!

### ფურთხით შემკული სიცოცხლე და შეჭრა აფხაზეთში

შევარდნაძის დიდი იმედი ჰქონდათ და ეს უკანასკნელიც, ნემსის ყუნწში ძვრებოდა, სიცოცხლესაც კი არ იშურებდა, ოღონდ რამენაირად ესიამოვნებინა ღვიძლი ძმებისათვის!

საამისოდ მან სამეგრელოში, მის მიერ აოხრებულ მხარეში, დიდი რისკი გასწია და ჩავიდა.

ამ ნაბიჯის გადადგმა მას ევროამერიკელმა ძმებმა ურჩიეს და რაღა თქმა უნდა, გაიმეტეს კიდეც. რა მოჰყვებოდა შევარდნაძის ამ „ვაჟკაცობას“, მათთვის სულ ერთი იყო, რადგან, თუ სამეგრელოში მას მოკლავდნენ, ამ პროვოკაციის გამო საქართველოში წესრიგის დასამყარებლად უკვე ნატოს ჯარებსაც შემოიყვანდნენ. რუსეთი ამას წინ ვერ აღუდგებოდა! ერთადერთი, რაც შეიძლება ამ შემთხვევაში მომხდარიყო – ნატო და რუსეთის ჯარები ერთობლივად შეეცდებოდნენ წესრიგის დამყარებას რეგიონში!

თუ შევარდნაძეს სამეგრელოში არავინ ესროდა, მაშინ იგი ხვალ-ზეგ აფხაზეთში შეჭრას განახორციელებდა და ევროამერიკული გეგმა უფრო ნელა, მაგრამ მაინც განხორციელდებოდა!

სამეგრელოში შევარდნაძეს აფურთხეს, ლაყე კვერცხები ესროლეს, თითქმის ნეხვში და სკორეში ამოსვარეს, რასაც მან გაუძლო და კიდეც გადარჩა!

თითქოსდა მოიხადა დემონთა ვალი და აქა-იქა გულიც მოიგო გარკვეული წრეებისა, მაგრამ ეს საქმეს არ ჰყოფნიდა!

ამ მხრივ, მეტად საინტერესოა, შევარდნაძის საქართველოში ჩამოყვანის ერთ-ერთი ინიციატორის – ჯაბა იოსელიანის წიგნი „სამი განზომილება“, სადაც აფხაზეთს ცალკე თავი აქვს მიძღვნილი (გვ. 188):

„სახელმწიფო საბჭოში სულ უფრო ხშირად გაისმის ბატონი პრეზიდენტის სახელი. აფხაზეთიდან ჩამოსული დელეგაციები, სახელმწიფო საბჭოს მხარდამჭერნი და პოლიტიკურად უორიენტაციო მოქალაქენი დაჟინებით მოითხოვენ სამხედრო ძალის შეყვანას აფხაზეთში. ბორის კაკუბავა – ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი აფხაზეთში, მოითხოვს იარაღს, სურს სოხუმში ჩამოაყალიბოს მხედრიონი. ვაძლევ რამდენიმე ათეულ ავტომატს და ტყვია-წამალს. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებიც იმ აზრისა არიან, რომ აფხაზეთში ჯარი შევიყვანოთ. არძინბა აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრად ჩვენ დაუკითხავად ნიშნავს ალიკა ანქვაბს... ტვირთის გადაზიდვის საქმე კრიტიკულ მდგომარეობაშია – სოჭის მხრიდან საერთოდ აღარაფერი შემოდის...

შევარდნაძე პრეზიდიუმის სხდომებს საკითხთა მიხედვით ფართო შემადგენლობით იწვევს. ჩვენ ოთხნი უკვე დავიქსაქსეთ. კიტოვანი და სიგუა ერთად, შევარდნაძე – ცალკე. მე მათ შორის ჯერჯერობით მომრიგებელი ვარ. თუმცა თვით შევარდნაძე თენგიზებს არ უპირისპირდება. თუ რაიმე წვეტიანია საკითხი, ჩემი, ჩემი ინიციატივის იმედი აქვს და უნდა ვთქვა, მე ეს ჩემს მოვალეობადაც მიმაჩნია.

ვგეგმავთ რკინიგზის მუდმივი კონტროლის ღონისძიებას სამეგრელოდან სოჭამდე. თავდაცვის სამინისტროსა და შინაგანი ჯარების ხელმძღვანელობას დავალებული აქვთ, აღრიცხონ ხალხის რაოდენობა, აღჭურვილობა, პროვიანტი ზონები, პუნქტები, სადგურებში კავშირგაბმულობის ცენტრები... ამ ღონისძიების განხორციელებას ორი ათასი ჯარისკაცი სჭირდება. გვყავს ამის შემსრულებელი ადამიანები? თენგიზებმა ლამის სასაცილოდ ამიგდეს: როგორ, „გვარდია, შინაგანი ჯარი!“ – ამბობენ ისინი. ამასვე იმეორებენ თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელები. შევარდნაძე მათკენ იხრება... კამათს აზრი არა აქვს. ყველა ძალიან მომხიბვლელად ლაპარაკობს – ენა კომკავშირში აქვთ ალესილი.

... შევარდნაძე გვარწმუნებს, რომ არძინბა თანახმაა, თავისი მხრიდან გამოყოს 100 კაცი და ჩართოს ამ ოპერაციაში. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ შეიძლება გარისკვა. ამით ორ კურდღელს დავიჭერთ. რევანშისტების ბანდების (ესე იგი, ზვიადის მომხრეები რევანშისტთა ბანდები ყოფილან! – ჯ.დ.) და ყაჩაღების თარეშს აღვკვეთთ და აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზეც, პირდაპირ თუ ირიბად, ზემოქმედებას მოვახდენთ (შევარდნაძესაც ორივე კურდღლის მოკვლა სწადდა - ზვიად გამსახურდიას მომხრეებს ამოხოცავდა და, რაც მთავარია – აფხაზეთში, ომს წამოიწყებდა. ეს კი მას თავისმა ევროამერიკელმა უფროსებმა დაუკვეთეს! – ჯ.დ.).

### ჯაბა იოსელიანი: „ვიკრიბებით შევერდნაძესთან – ომი იწყება“

„...ვიკრიბებით შევარდნაძესთან. სიტუაცია საგანგაშოა – ომი იწყება. საჭიროა ადგილზე ყოფნა... ერთიმეორის წაქეზების ატმოსფეროა. საერთო აზრი იქით იხრება, რომ ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს. თუ არ სურთ ჩვენთან ადამიანური ცხოვრება, წავიდნენ, საიდანაც ჩამოთრეულან. საპირისპირო აზრი იშვიათია. ამ მხრივ გამოირჩევა ავთანდილ იოსელიანი, - აფხაზეთის კგბ-ს უფროსი: „ბატონო ჯაბა, ომის დაშვება არ შეიძლება“. მეც ამ აზრისა ვარ... ავთანდილ იოსელიანი უკავშირდება აფხაზეთის სხვა ხელმძღვანელებს: ოზგანს, ანქვაბს, ბაგაპშს. ისინიც იმ აზრისკენ არიან, რომ მოლაპარაკება დავიწყოთ. თვით არძინბა არ გამოდის კავშირზე.

ჩვენში გაბატონებულია აზრი, რომ ომის პროვოცირება რუსეთმა მოაწყო, რომ არძინბა მზად იყო ამისათვის. ომის პირველი პერიოდიდან გამომდინარე, მე სხვა შეხედულება მაქვს. აფხაზეთის მხარე, რასაკვირველია, ჩვენთან შედარებით მეტად მომწიფებული გამოდგა შეიარაღებული წინააღმდეგობებისათვის, მაგრამ თავად დაგეგმილი პროვოკაცია და საპასუხო აქციები არსად გამოჩნდა. მეტიც – ჩვენი პირველი წარმატებები ოჩამჩირეში, სოხუმში, თვითონ ის ფაქტი, რომ აფხაზების მიერ იმ რაიონების დატოვების შემდეგ მოეწყო გუდაუთის აეროპორტ ბომბორაზე განლაგებულ დებეშეზე თავდასხმის ინსცენირება და ორი ათასი ავტომატის აფხაზი ბოევიკებისათვის უსისხლოდ და უომრად „დათმობა“ იმაზე მეტყველებს, რომ კონკრეტული შემთხვევისათვის ისინი მზად არ იყვნენ და საბაბიც შეგნებულად არ მოუციათ ჩვენთვის. ეს აზრი განმიმტკიცდა გაგრაში, მათი იქიდან გაქცევის დროს, ასევე ოჩამჩირესა და ტყვარჩელის რაიონებში ბრძოლების მიმდინარეობისას. აქ პირველ ხანებში არ შეიმჩნეოდნენ რუსი სპეციალისტები და მეომრები, რაც მაფიქრებინებს, რომ რუსეთის ხელისუფლების ზედა ეშელონებში მომხდარი ფაქტის შემდეგ გაიაზრეს მომენტის სარგებლიანობა და რუსეთის გლობალური პოლიტიკის ფარვატერს მიუსადაგეს...

თბილისში კმაყოფილებაა. დაფრინავს მოარული ფრაზა: „რამდენ ხანს უნდა ვუგოროთ კოჭი“, შევარდნაძე თავის განწყობას არ ავლენს...

ჩემი სოხუმიდან დაბრუნების პირველი დილაა. უცებ კარი იღება და გამარჯვებულივით შემოდის კიტოვანი. ხელში რაღაც მომწვანო ქსოვილი უჭირავს. მიდის პირდაპირ შევარდნაძესთან, ამ ჭინჭს მაგიდაზე აგდებს და ეუბნება: „მაგათი დროშაა, მთავრობის სასახლიდან მოვხსენით, - იღიმება და გვიხსნის, - აი, მუსულმანური ემბლემაა, ხომ ხედავთ?!“

...რუსების რეაქციის შესახებ არაფერი ვიცი, მათთან ურთიერთობა აქვთ კიტოვანს, სიგუას და შევარდნაძეს... კიტოვანი და შევარდნაძე აფხაზეთში საომარი ოპერაციების სარდლად ნიშნავენ გია ყარყარაშვილს... ამ ომის თაობაზე რუსების რეაქცია ვერ შევიტყვე. შევარდნაძე არაფერს მეუბნება... დაგეგმილია სოხუმიდან შეტევის გაგრძელების ოპერაცია, ასაღებია ეშერას სიმაღლეები, მაგრამ იქ რუსების რაღაც საიდუმლო ლაბორატორიაა. ხეირიანად მაინც არავინ იცის, რას წარმოადგენს ეს ლაბორატორია...“

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14-40

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# im qarTvels ravuTxari, orianze rom cxovrobs daxuTiani rom Semoxaza!

## წერილი რუსეთიდან

ციმბირის შორეული მიწაზე „ვაწვალებ“ კალამს და ვფიქრობ იმაზე, თუ როგორი ფორმა მოვნახო ჩემს ქვეყანასთან, ჩემს ხალხთან საურთიერთოდ, შევეცადო, ჩემი სიმართლე მოვახვიო ჩემს ხალხს, რამეთუ ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩემი სიმართლე ქართველი ხალხის გონიერი ნაწილის სიმართლეც არის...

დიახ, შორეულ რუსეთის მიწაზე უბედურებასა და უკანონობას გამოქცეული - ვფიქრობ იმაზე, რომ როგორ მოახერხა დღევანდელმა საქართველობამ ასე გაეხლიჩა საზოგადოება მისიანებად და არამისიანებად...

იმის მაგივრად, რომ ჩემს მიწაზე სიკეთეს ვემსახურებოდე, მე და ჩემნაირებს, უამრავს - რუსეთის ბიუჯეტში შეგვაქვს ასეული მილიონობით დოლარი, ჩვენი შრომით მიღებული შემოსავლის ნაწილი, სხვა ერს ვახმართ ჩემს მიწაზე მიღებულ სულიერ და პროფესიულ კაპიტალს...

ვფიქრობ იმაზე, რომ რა ცოდვა გვაწევს ასეთი, რომ საშველი არ დაგვადგა ქართველებს, მაშინ, როდესაც ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ასე თუ ისე, ყველამ მოახერხა და ჩვენზე უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ დღეის დღეობით...

ვფიქრობ იმაზე, რა გამართლება მოეძებნება იმ ფაქტს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ქართველი ადამიანი იძულებულია იქურდოს, იყაჩაღოს, იმრუშოს, ფიზიკური არსებობის გამო ყველა უზნეობაზე და უსინდისობაზე წავიდეს...

ვფიქრობ იმაზე, როგორი უნდა იყოს ქვეყნის ხელისუფლება, რომ 21-ე საუკუნეში ინფორმაციის მისაღებად სატელევიზიო თეფშებს უკრძალავდეს თავის ხალხს და მსოფლიოს გაჰყვიროდეს, დემოკრატიას ვაშენებო...

რამდენი ჩამოვთვალო?...

და ამის მერე, გინდა გამართლება მოგინახო შენ, ჩემო სამშობლოვ?...

რა სუსტები ვყოფილვართ!...

სისუსტე დაუფლებია ქართულ სულს... უძლურება და სიმხდალე მეტასტაზებად მოსდებია საქართველოს მთებსა და ველებს, მის ულამაზეს ბუნებას, ქართულ ხასიათს და ერის მისწრაფებებს...

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ერი, როდესაც სუსტდება, საკუთარი თავი რომ გაიმართლოს, სხვაში ეძებს მიზეზს, სხვას უწუნებს სიკეთესაც კი, სხვაში ეძებს რაიმე ისეთს, რომელიც მის ასეთ ყოფას გაამართლებს... ასეთ დროს საკუთარი ხალხის ზომბირება ერთადერთი იარაღია საკუთარი თავის გამართლებისათვის...

ამის ნათელი მაგალითია ის სულელური პროპაგანდა, რომ ძია „სემი“ კარგია და რუსი „ვანია“ ცუდი, რომ ამერიკული სიგარეტი ჯობია რუსულს, რომ ამერიკელი ქალი უფრო ლამაზია, ვიდრე რუსი, რომ რუსული „ბტრ“ ქართული „ლაზიკიდან“ არის მოპარული და კიდევ ის, რომ თითქოს ქართველი ერი ამერიკელი ერისაგან არის წარმოშობილი და ნოეს შვილიშვილის შვილი თარგამოსი ამერიკელი ყოფილა, რომელმაც მერე ქართლოსი და ჰაოსი დაასახლა ჩვენს მიწაზე, და ... ამერიკა რომ არ ყოფილიყო, ქრისტიანობა ვერ გავრცელდებოდა საქართველოში...

ამდენი სისულელე, ნამდვილად ძნელად მოსასმენია...

სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ ამ სისულელეებზე და ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ... ქართული ხელისუფლება შესანიშნავად „ცეკვავს ამერიკელების დაკრულზე“ და მანამ იცეკვებს, სანამ თვითონ ამერიკელი არ მიხვდება, ვისში ჩადო ამდენი კაპიტალი და სანამ ჩალაგამოვლებული და იმედგაცრუებული ერთ პოზაში თვალს არ გააყოლებს ქვეყნის დამაქცევარ, მის მიერ თანამედროვეობის აბსურდის სცენაზე აყვანილ ნაციონალურ მოძრაობას...

მაგრამ, მერე, ალბათ, თითზე კბენა გვიანი იქნება!...

ამერიკაში ყველაფერი კარგია?... კი, ბატონო, ამერიკაში ბევრია მისაბაძი, მაგრამ ფაქტია, რომ „დაბრმავებული და დაყრუებული“ ერის ნაწილი ვერ ხვდება იმას, რომ დიდი წვლილი ამ უბედურებაში ამერიკის ადმინისტრაციის იმ მოხელეებს მიუძღვით, ვინც ეგოისტური, პირადი ინტერესის გამო „ფეხებზე დაიკიდა“ ქართველი ხალხის ინტერესები და თავისი პირადი „გაისწორა“...

კი, ბატონო, ამერიკა არ არის ცუდი, მაგრამ... არადა, კაცი რომ ჩაუფიქრდეს, აბსოლუტურად დიამეტრალური ღირებულებების მატარებელი ერია ამერიკა საქართველოსთან შედარებით... უფრო მეტი განსხვავებული შეხედულებები და იდეები გვაქვს, ვიდრე საერთო...

აბა, კარგად დაუფიქრდით?...

ამერიკელს ვინც მოსწონს, ქართველ ხალხს ის არ მოსწონს...

ამერიკელს რაც მოსწონს, ქართველ ხალხს ის, უმეტეს შემთხვევებში, ნამდვილად არ მოსწონს...

ამერიკელს ფულით მეგობრობა ურჩევნია სულით მეგობრობას, ჩვენი ერისთვის კი, მთავარია, ტრადიციული ღირებულებები, ღმერთისადმი თაყვანისცემა, და კიდევ ბევრი შემიძლია ჩამოვთვალო...

არადა, სულ სხვანაირად გვაქვს საქმე ჩვენს მეზობელ რუსეთთან ... ისტორიული წარსული, კეთილმეზობლობის პერიოდი, ქართველი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი, რომელსაც განათლება რუსეთში ჰქონდათ მიღებული, კულტურული მემკვიდრეობა, სულიერი სივრცე, ტრადიციული ურთიერთობები და კიდევ ბევრი, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს როგორც საერთო ღირებულებები ჩვენ და რუს ხალხს შორის... და ვაი, რომ ამის სადი თვალით დამნახველი არავის გამოჩნდა დღევანდელ ხელისუფლებაში... ვაი, რომ ეს ყველაფერი დღითიდღე ხელიდან გვეცლება...

მილიონზე მეტი ქართველი თავს აფარებს ქრისტიანულ რუსეთს, უფრო მეტიც, მინდა გითხრათ, რომ საკვირაო წირვაზე ერთად ვდგავართ ჩვენ და რუსები და უფალს ერთად ვთხოვთ ქრისტიანული მრწამსის და ღირებულებების დამკვიდრებას ჩვენს სულებში, საქართველოს გადარჩენას და იმ ვალის გადახდას, რომელიც ორივე ერს, როგორც პირობა, ისე აქვს უფლის წინაშე დადებული...

მილიონზე მეტი რუსეთში გადახვეწილი ქართველობის უმეტესობა მადლობელია რუსეთის და მისი ხელისუფლების... იცოდეთ ეს... ასეა თუ ისეა, ამდენი წელია აქა ვართ და უფრო სიყვარული და პატივისცემა გვაქვს ერთმანეთის მიმართ, ვიდრე სიძულვილი და მტრობა... ის სიყვარული და პატივისცემა, რომელიც ვერა და ვერ დანერგა საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარ ხალხში... მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ერი ტრადიციულად ტოლერანტობით გამოირჩევა, მეშინია ვთქვა, რომ ამჟამინდელი რეჟიმი ასე ვერ უპატრონებდა უცხო ქვეყნიდან ჩამოსულებს... რამდენადაც უცნაურად არ უნდა მოგეჩვენოთ, ასეა ეს!...

აბა, კარგად დაფიქრდით... ის კაპიტალი, რომელიც ქართველმა ხალხმა ქართულ სახელმწიფოში დააბანდა, იქნებ რუსეთშია ნაშოვნი უმეტესობა, ჰა?...

ჩემი უხეში გათვლებით, ის თანხა, რომელმაც ბოლო წლების განმავლობაში გადმოკვეთა რუსეთ-საქართველოს საზღვარი და მისი ადრესატი იყო სააკაშვილის რეჟიმისაგან დაჩაგრული გაჭირვებული ქართველი ხალხი, რამდენჯერმე აღემატება თვით ამერიკიდან გადმორიცხულ თანხას, რომელიც ჯერ კიდევ გაურკვეველია ვის მოხმარდა, ქვეყანას თუ „ნაციონალთა საძმოს“...

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ძალიან ბევრმა აქ ჩამოსულმა ქართველმა შექმნა რუსულ-ქართული ოჯახი, შვილები აქ, რუსეთში დაიბადნენ, დღეს მათი შვილები ნახევრად რუსები არიან და ასეთი ძალიან ბევრია... სამწუხაროდ, მათმა უმეტესობამ ერთი სიტყვა არ იციან ქართული, ბევრ მათგანს საქართველო არც უნახავთ და ვაი, რომ, შეიძლება, ისე მოხდეს, რომ საფლავიც კი უმეტესობა ქართველმა რუსეთის მიწაზე დაიდოს, აქ დაიდოს სამარადჟამო სასუფეველი და თავის ნიჭი და უნარი ამ ქვეყნის აღმშენებლობას მოახმაროს...

მილიონზე მეტი ქართული ნიჭი და უნარი სხვა ქვეყანებში ემსახურება ამ ქვეყნების კეთილდღეობას... ამის მაგალითი უამრავია რუსეთის სინამდვილეში, როცა სხვადასხვა დარგისა თუ სპეციალობის სტრატეგიულ მენეჯერებად სწორედ ქართველები არიან და მათი უმეტესობა ანგარიშგასაწევ ძალად ევლინება რუსეთის სახელმწიფოს... მათი უმეტესობა ირონიით უყურებს დღევანდელი ქართული ხელისუფლების პოლიტიკას...

ეს ყველაფერი კი ჩემი ქვეყნის უჭკუო ხელისუფლების მიზეზით ხდება...

გინება არავის არაფერს კარგს არ მოუტანს, მით უმეტეს, რომ საგინებელი და გასაქილიკებელი იმდენია ქართულ პოლიტიკაში, რომ ძალიან რომ მოინდომო, შეიძლება ვერც კი დაითვალო...

თუ საგინებელია, რუსი ხალხი ისევ მისმა ხალხმა აგინოს... ეს უფრო სწორი საქციელია, ჩემი აზრით, და არა ის, რომ რამდენჯერაც სალაპარაკო შემოელევა საქართველოს პრეზიდენტს, იმდენჯერ ჩრდილოელი მეზობელი ახსენდება...

სირცხვილია, უჭკუო დიზაინერების მოდას მთელი საქართველო რომ აჰყვეს და რუსეთის გინება მოდასავით მოედოს მთელ საქართველოს...

კიდევ კარგი, რომ რუსეთთან მეგობრობისა და ურთიერთობების აღდგენის მომხრეები ბევრად ჭარბობენ, მათ, ვისაც რუსეთთან მტრობა უფრო აწყობს, მხოლოდ ერთი მიზეზით, საკუთარი რომ გაამართლოს და მეტი არაფერი...

მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსმა რომ მისცეს საბაბი, სააკაშვილი პირველი „გაყიდის“ ამერიკას და პირველი შეაღებს კრემლის უკიდეგანო სივრცის კარებს და ფეხებში ჩაუვარდება რუსეთის პრეზიდენტს..

აქედან, საქართველოდან მოშორებით, უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ჩვენი ვალდებულებები და მოვალეობები, როგორც იმ ქვეყანასთან, სადაც ვიმყოფებით, ასევე ჩვენს სამშობლოსთან...



დიახ, იყო ქართველი, თურმე დიდი პასუხისმგებლობაც ყოფილა, თუ გნებავთ თანამდებობაც, რომელსაც პირდაპირ ევალება, ამ გადმოსახედიდან სადად შეაფასოს მოვლენები და ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ ისტორიის მწარე წარსული არ განმეორდეს...

დიახ, ქართველობა დიდი ვალდებულებაა ჩვენი მიწისა და ერის წინაშე...

აქ, უცხო მიწაზე, ჩვენ ნახევრად პატიმრობაში ვართ, იმიტომ კი არა, ვინმე ვინმეს ცუდად ექცევა... არა... ნამდვილი მიზეზი ჩვენი სულიერი მდგომარეობაა, ჩვენი ფსიქოლოგიური მდგომარეობაა, გენის ძახილია შიგნიდან, რომ ვერა გვაქვს ისე ფრთები გაშლილი, როგორც ჩვენს ქვეყანაში უნდა გვქონდეს...

ეს ყველაფერი მიზეზია იმ თავსდამტყდარი უბედურებისა, რომელიც ნაციონალთა საძმომ ჩემს ქვეყანას თავს მოახვია... და ამიტომ:

სანამ ნაციონალური მოძრაობა, როგორც ჭირი, როგორც უკურნებელი სენი, თავისი მეტასტაზებით ჯერ კიდევ არ არის მოდებული მთელ ქვეყანას, გირჩევთ, ჩემო ძმებო და დებო, ჩემი სისხლისა და ხორცის მატარებელო მამულიშვილებო, ნაციონალებო, დაანებთ თავი ქართველი ხალხის ჩაგვრას და „მეფის კვერთხი“ ჩააბარეთ ღირსეულს, ადამიანს, რომელიც ღვთის ნებით არის მოვლინებული ჩემი ხალხის გადასარჩენად!...

**ექვთიმე გადახვეწილი**

(ფსევდონიმი მხოლოდ იმიტომ, რომ უამრავი ჩემი ნათესავი ცხოვრობს საქართველოში და მათ ვუფრთხილდები, მინდა, მათ ავარიდო პრობლემები კრიმინალური ხელისუფლების მხრიდან)

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— შეიძლება თუ არა ანდერძის შედგენა სანოტარო წესით დადასტურების გარეშე?**

— შეიძლება.

ანდერძი უნდა შედგეს წერილობით. ამასთან, დასაშვებია წერილობითი ანდერძი - სანოტარო ფორმით ან მის გარეშე.

ჩემი რჩევაა, ანდერძი შეადგინოთ სანოტარო დადასტურებით, რათა მომავალში აცილელულ იქნას მოსალოდნელი გართულებები, რადგან თუ აღმოჩნდება, რომ ორი ანდერძი არსებობს - ნოტარიული დადასტურებით და ნოტარიული დადასტურების გარეშე, დავის შემთხვევაში, უპირატესობა სანოტარო წესით დადასტურებულ ანდერძს ენიჭება.

* * *

**— მემკვიდრე არის თუ არა ვალდებული, გაისტუმროს მამკვიდრებლის ვალი?**

— დიახ.

მემკვიდრეებზე გადადის მამკვიდრებლის ვალები და ისინი ვალდებულნი არიან, შეატყობინონ კრედიტორებს სამკვიდროს გახსნის შესახებ, თუ მათთვის ცნობილი იყო ვალის არსებობა და გაისტუმრონ ის ვალები, სამკვიდროში მათი წილის პროპორციულად. მამკვიდრებელს შეუძლია, ანდერძით დაასახელოს კონკრეტულად ის მემკვიდრეები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან ვალების დაფარვაზე.

* * *

**— გთხოვთ, მოგვითხროთ, როგორ ხდება განქორწინება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში.**

— მოგახსენებთ, რამდენადაც გაზეთის ფორმატი ამის საშუალებას მომცემს.

თუ მეუღლეთა ერთობლივი სურვილი, ან თუნდაც სურვილი არა, მაგრამ შეთანხმებაა განქორწინება და მათ შეძლეს ცივილურად, ურთიერთმოლაპარაკების გზით ისეთი საკითხების მოგვარება , როგორიცაა, მაგალითად, საერთო ქონების გაყოფა, შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, მათი რჩენისა და აღზრდის საკითხი და ა. შ. - მაშინ განქორწინება გაცილებით მარტივად, უპრობლემოდ, ზედმეტი დროისა და დანახარჯების გარეშე ხდება.

ერთადერთი, რაც ამ შემთხვევაში მეუღლეებს მოეთხოვებათ, ესაა ერთობლივი განცხადების შეტანა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში, ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და მომსახურების საფასურის - 45 ლარის გადახდა.

განცხადებაში მეუღლეები ადასტურებენ, რომ თანახმანი არიან განქორწინებაზე და ერთმანეთს შორის დავა არა აქვთ. მათი პირადი დასწრება სააგენტოში არ არის აუცილებელი, თუკი ორივე ან ერთ-ერთი მეუღლე ვერ ახერხებს გამოცხადებას. ასეთ შემთხვევაში, ეს უნდა აღინიშნოს განცხადებაში და იმ მეუღლის ხელმოწერა, რომელიც ვერ მოახერხებს გამოცხადებას, უნდა იყოს სანოტარო წესით დადასტურებული.

განქორწინება ხდება განცხადების შეტანის დღიდან 15 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი სახეზეა განსაკუთრებული გარემოება - ერთ-ერთი მხარის სიცოცხლისათვის რეალური საფრთხე, ბავშვის დაბადება და ა.შ. განქორწინების რეგისტრაცია შეიძლება მოხდეს განცხადების შეტანის დღესვე.



* * *

**— გარდამეცვალა მეუღლე, რომელთანაც არ ვიმყოფებოდი რეგისტრირებულ ქორწინებაში. გვყავს ორი შვილი, ანუ ფაქტობრივად გვქონდა ოჯახი. აღნიშნულის დადასტურება შეუძლია მთელ ჩვენს სანათესაოს და სამეზობლოს. ვარ თუ არა მისი მემკვიდრე?**

— არა, მოცემულ შემთხვევაში თქვენ არა ხართ გარდაცვლილი მეუღლის მემკვიდრე. აგიხსნით, რატომ: ყოველგვარ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება. დაუქორწინებელ პირებს არა აქვთ ერთმანეთის მიმართ მემკვიდრეობის უფლება. აქედან გამომდინარე, ვინაიდან, თქვენ არ იმყოფებოდით გარდაცვლილ მეუღლესთან რეგისტრირებულ სამოქალაქო ქორწინებაში, ვერ განაცხადებთ პრეტენზიას მის დანატოვარ ქონებაზე. თქვენი ორივე შვილი კი უპრობლემოდ, თანაბარწილად მიიღებს მამის სამკვიდროს.

* * *

**— აქვს თუ არა მემკვიდრეობის უფლება ჩასახულ ბავშვს?**

— სამოქალაქო კანონმდებლობა იცავს ჯერ კიდევ დაუბადებელი მემკვიდრის უფლებებს. დიახ, მემკვიდრეობის უფლება აქვთ არა მხოლოდ მამკვიდრებლის სიცოცხლეში დაბადებულ ბავშვებს, არამედ იმათაც, რომლებიც ჩაისახნენ მამკვიდრებლის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ. კანონით მემკვიდრეობის დროს ჩასახული მემკვიდრე შეიძლება იყოს მხოლოდ მამკვიდრებლის შვილი, ხოლო ანდერძით მემკვიდრეობის დროს - ნებისმიერი სხვა პირი. ამ შემთხვევაში ერთადერთი აუცილებელი მოთხოვნაა, რომ ჩასახული მემკვიდრე ცოცხალი დაიბადოს მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ. მკვდრად შობილი ბავშვი არ შეიძენს მემკვიდრეობის უფლებას.

საყურადღებოა, რომ სამკვიდროს გაყოფა დაუშვებელია მანამ, სანამ არ დაიბადება ჩასახული მემკვიდრე და არ გამოიყოფა სამკვიდროდან მისი კუთვნილი წილი. ამ პროცესში ახალშობილის ინტერესების დასაცავად მოწვეულნი უნდა იქნან მისი წარმომადგენლები/მშობლები ან მეურვეები.

* * *

**— ვლებულობ მამაჩემის სამკვიდროს. იურისტთან კონსულტაციაზე არ ვყოფილვარ. მითხრეს, რომ ქონების მიღებისას ვიბეგრები. რამდენად სწორია ეს ინფორმაცია?**

— სამკვიდრო ქონების მიღებისას ნამდვილად მოქმედებს საგადასახადო რეჟიმი, მაგრამ ეს არ ეხებათ პირველი/მშობლები, შვილები, მეუღლე და მეორე რიგის — დები, ძმები. მემკვიდრეებს. თქვენ, როგორც შვილი, ხართ მამათქვენის პირველი რიგის მემკვიდრე და, აქედან გამომდინარე, მთლიანად თავისუფლდებით საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან.

საშემოსავლო გადასახით იბეგრებიან მესამე და მეოთხე რიგის მემკვიდრეები — ბებია, დეიდა, მამიდა. იმ შემთხვევაში, თუ მიღებული ქონების ღირებულება აღემატება 150000 ლარს. ამ გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს ქონების მიღებიდან ორი კალენდარული წლის განმავლობაში, არა უგვიანეს ყოველი ხუთი თვის შემდგომი თვის 15 რიცხვისა, თანაბარ ნაწილებად.

**დევნილი კანონიერი ეროვნული ხელისუფლება და მოძრაობა „31 მარტი" თანაგრძნობას უცხადებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანს, კოლეგას, პოლიტპატიმარს ვალერი გაბელიას დედის**

## აგრაფინა გაბელიას

**გარდაცვალების გამო**

*გვესაუბრება ასტროლოგი, ბატონი მიხეილ ცაგარელი*

**— ბატონო მიხეილ, სულ ცოტა დრო დარჩა პირველ ოქტომბრამდე. რა პროგნოზის გაკეთება შეიძლება ამ ეტაპზე ასტროლოგიური თვალსაზრისით. როგორი დღეა პირველი ოქტომბერი ორი დაპირისპირებული გუნდისა და მათი ლიდერებისთვის?**

— მე გაოცებული დავრჩი იმ ფაქტით, რომ საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა ოქტომბრის პირველ რიცხვში. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ არც სამთავრობო და არც ოპოზიციურ პოლიტიკურ წრეებში არ ჰყავთ სათანადო მრჩევლები ასტროლოგიისა და ეზოთერიკის სფეროში.

პირველ ოქტომბერს არის სავსემთვარეობა. ერაც ნიშნავს, რომ ნეგატიური ენერგიების დღეა. მთვარე ამ პერიოდში ორი დღის განმავლობაში ახდენს ძლიერ ზეგავლენას სამყაროზე. იგი მოქმედებს ადამიანების როგორც ფსიქიკურ, ასევე ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე. უუნდა



# `yvelam, maT Soris politikosebma, unda gaiTvaliswinon, rom male didi samyaroseuli cvlilebebia mosalodneli~

აღინიშნოს ის ფაქტი, რომ გადის ვერძის ზოდიაქს, რაც აძლიერებს აგრესიულ ენერგიეს.

**— კი, მაგრამ ახლა ხომ სასწორის ზოდიაქის პერიოდია...**

— მზე იმყოფება სასწორის ზოდიაქში, მთვარე კი ვერძში ხვდება. რადგან არჩევნები ინიშნება ისეთი აგრესიული ტალღის მქონე დღეს, როგორიცაა პირველი ოქტომბერი, გამომდინარე აქედან

იქმნება დამატებითი პრობლემები. ეს ეხება როგორც მმართველ გუნდს, ასევე ოპოზიციასაც. ორივესთვის რთული პერიოდია. მზის და მთვარის ენერგიები დისონანსში არიან ერთმანეთთან, ამიტომ სახეზე გვაქვს კოსმიური კანონების რღვევა, ესკი შეიძლება ძალიან რთულად გამოვლინდეს იმისთვის, ვინც ნიშნავს და ატარებს არჩევნებს, ანუ საუბარია მმართველ გუნდზე. შესაბამისად გავითვალისწინოთ: მთავარი დამსჯელი პლანეტა სატურნი იმყოფება სასწორის ზოდიაქის ნიშნის ბოლო გრადუსში. სასწორის ნიშანი იურისპრუნდენციის სიმბოლოა. 23 ოქტომბრის მერე სატურნი უკვე გადადის მორიელის ზოდიაქოში, რომელიც ასევე თავის მხრივ დამსჯელი ნიშანია.



ახლა განვმარტავ რას ნიშნავს, როცა დამსჯელ ნიშანში ვართ: ანუ, ვინც ბოლო ორი წლის მანძილზე უსამართლობას სჩადის, ან უსამართლობას ემსახურებოდა, სასტიკი დასჯის ზონაში მოხვდება. განსაკუთრებით ოქტომბრის მეორე ნახევრიდან ნოემბრის ჩათვლით პერიოდი იგულისხმება. ვინც არასწორად წარმართავს საქმიანობას, ეს პერიოდი განსაკუთრებული პასუხისმგებლობის წინაშე დააყენებს.

**— როგორი პერიოდია პიროვნულად პოლიტიკური ლიდერებისთვის, კერძოდ ივანიშვილისა და სააკაშვილისათვის, მათი ჰოროსკოპიდან გამომდინარე?**

— სააკაშვილი მშვილდოსანია, თხის წელში დაბადებული, ივანიშვილი მერწყული, მაიმუნის წელში დაბადებული. ისინი, ორივე, როგორც მათი გუნდი და საერთოდ ქვეყანა, სერიოზული სირთულეების წინაშე დგებიან ოქტომბრის პირველი რიცხვიდან გამომდინარე, მაგრამ, ვიმეორებ: ეს ეხება უფრო მმართველ გუნდს და პრეზიდენტს. პპირველ რიცხვში არჩევნების დანიშვნით მან გაცილებით მეტი შანსები მისცა წარმატებისთვის თავის მეტოქეს ივანიშვილს. შეიძლება კარტ-ბლანშსს არ აძლევს, მაგრამ თავისი ხელით მეტი ქულები დაუწერა მოწინააღმდეგეს. მმაგრამ ხაზს გავუსმევ იმას, რომ ყველამ, მათ შორის პოლიტიკოსებმა გაითვალისწინონ, რომ დიდი სამყაროსეული ცვლილებებია მოსალოდნელი. აასევე რთული იქნება ნოემბრის ბოლო და დეკემბერი, რადგან ეს პერიოდი მზისა და მთვარის დაბნელებებს უკავშირდება. 21 დეკემბერს გვაქვს პლანეტების დიდი გალაქტიკური აღლუმი, რაც კიდევ უფრო ართულებს სიტუაციას.

**— ანუ ისევ მივედით 2012 წლის 21 დეკემბრამდე. ეესე იგი ეს თარიღი დიდი მნიშვნელობისაა სამყაროსთვის, მაიას ტომს უთქვამს თავისი სათქმელი...**

— სამწუხაროდ, მაიას კალენდრის არასწორი ინტერპრეტაცია ხდება. მათ ზუსტად გვამცნეს, რომ ამ პერიოდიდან იწყება ახალი ეპოქალური განვითარება, დგება მატრიარქატის პერიოდი. ეს პროცესები ადამიანის ცნობიერებას მესამე და მეოთხე განზომილებაში გადაიყვანს. ეეს გვითხრეს მათ და არა ის, რომ ასტეროიდი დაგვეჯახება. სწორი გაგებაა საჭირო იმ ინფორმაციისა, რაც დაგვიტოვეს. 2012 წლის 21 დეკემბრიდან სამყარო შედის მეექვსე მზის განვითარების ფაზაში, ახალ 13 ათასწლიან პერიოდში, აქედან იწყება მატრიარქატი. სამყარო, კოსმოსი ძირითად ძალაუფლებას აძლევს ქალებს. ქალები გახდებიან ორგანიზატორები, ხელმძღვანელები, შემოიტანენ ჰარმონიას, რასაც ვერ ახერხებდა მამაკაცი თავისი ომებით, სისხლისღვრით. აანუ ეპოქალური ცვლილებების პერიოდია. იწყება მერწყულის ახალი განვითარების ეტაპი, ეს მოიტანს რადიკალურ ცვლილებებს, შემოვა ახალი ხალხი, მათ შორის პოლიტიკურ სარბიელზე. აამიტომ სერიოზული ცვლილებების წინაშე ვდგევართ არა მარტო ჩვენ და ჩვენი ქვეყანა, არამედ მთელი მსოფლიო, სამყარო.

**— ანუ გლობალური სამყაროსეული ცვლილებები ვრცელდება ყველაზე და მათ შორის პოლიტიკოსებზე...**

— პრეზიდენტებმა, პოლიტიკოსებმა, ვინც არ უნდა იყვნენ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ კოსმიური მოვლენები და აქედან გამომდინარე სწორად იმოქმედონ, რათა შეცდომები არ დაუშვან და მეტად გამოადგნენ ქვეყანას.

**თამუნა ქადაგიძე**

# ფარაონებს „ჯადოსნური“ ქუდები ჰქონდათ



ფარაონის ცილინდრები ეს გამოუცნობი ფორმის ნივთები მეცნიერებს საგონებელში აგდებს.

1967 წელს კავკასიის მთიანეთში უძველესი ეზოთერიკული ხელნაწერი აღმოაჩინეს, სახელწოდებით „სიცოცხლისა და სიკვდილის საიდუმლო“. ხელნაწერი შეიცავდა ინფორმაციებს მთვარისა და მზის ცილინდრების შესახებ. უცნობი ავტორის აზრით, ცილინდრული თავსაბურავები ეხურათ ფარაონებს და ძველ ეგვიპტელებს სასიცოცხლო ენერგიის გასამყარებლად და ღმერთებთან მუდმივი კავშირისათვის.

ცილინდრული ქუდები სპეციალური ნივთიერებისგან მზადდებოდა ძველეგვიპტური რეცეპტის მიხედვით. ფიზიკოსების, ქიმიკოსების, ექიმების, ესქტრასენსების და ეგვიპტელების ერთობლივი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფარაონთა ქუდები შეიცავდა უდიდეს სასიცოცხლო ენერგიას, თავსაბურავები მის მფლობელს იცავდა გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან, ნეიროტროფიკული, ჰიპერტონიული სნეულებებისგან, ასთმისგან, უძილობისგან, თავის ტკივილებისგან. იგი ხსნიდა სტრესებს და პროფილაქტიკური საშუალება იყო ათეროსკლეროზის საწინააღმდეგოდ. ცილინდრების შემადგენლობა მეცნიერებს საშუალებას აძლევს ივარაუდონ, რომ ეს იყო ერთგვარი მეტალოთერაპია. ცილინდრებს ატარებდნენ როგორც დიდები, ასევე პატარებიც. ქუდი ქმნიდა ისეთ მდგომარეობას, რომ ადამიანი უფრო ადვილად აღწევდა თავს მომავალ საშიშროებას, ავადმყოფობას ან რაიმე უბედურებას. მეცნიერთა აზრით, ფარაონის ქუდი იცავს ადამიანს თანამედროვე ტექნიკური საშუალებების მავნე ზეგავლენისგან, ის ანეიტრალებს კომპიუტერულ, ტელევიზორის გამოსხივებას, მიკროტალღურ სხივებს და ა.შ.

# ნეფერტიტის ქმარი უცხოპლანეტელი იყო?



არსებობს მოსაზრება, რომ პირამიდები არამიწიერი ცივილიზაციის ნაშთებია. ამასთანავე, თვით ფარაონებიც, ხშირ შემთხვევაში, საერთოდაც არ ჰგვანან დედამიწელებს. ისინი ყველასგან განსხვავებულად გამოიყურებიან, განსაკუთრებით ეხნატონი, ტუტანჰამონის ნამდვილი მამა და ასევე ცნობილი ნეფერტიტის ქმარი, რომელსაც გველივით წინ წამოწეული ყბა ჰქონდა, ხოლო თავის ქალა კვერცხს მიუგავდა, კეფა მკვეთრად უკან შეწეული. თავის ქალა მას ორნახევარჯერ უფრო დიდი ჰქონდა, ვიდრე ჩვეულებრივ უბრალო ეგვიპტელებს. თითები ობობას საცეცებს მიუგავდა, ფეხის ტერფები, როგორც საცურაო ლასტები, უზარმაზარი საკვერცხეები და... ქალის მკერდი.

ამ ცნობამ მსოფლიო 1907 წელს მოიცვა. სარკოფაგის გამოკვლევებიდან კი მხოლოდ ის დადგინდა, რომ ეხნატონს უშველებელი კვერცხის ფორმის თავი ჰქონდა.

საიდან წარმოიშვა ასეთი შთამომავლობა? შთამომავლობის კვლევის საკითხები მარილენდის შტატის კვლევის ინსტიტუტში განიხილება, სადაც გამოჩენილი ადამიანების ავადმყოფობის ისტორიებს შეისწავლიან. სხვადასხვა დროს აქ ნაპოლეონის, მოცარტის და თვით ალექსანდრე მაკედონელის ფენომენებსაც შეისწავლიდნენ. ახლა ეხნატონის, ანუ ამენხოტეპ IV უეენრ ნეფერხეპერურის ჯერი დადგა, რომელიც 3500 წლის წინათ გარდაიცვალა.

ირვინ ბრეივერმანის შეხედულებით, ფარაონი გენეტიკური კლონირების ნაყოფია. ის მუტაციის შედეგად წარმოიშვა. შესაძლოა, ეხნატონი მარფანის სინდრომითაც იტანჯებოდა, რაც სახის დაბოლოების დაგრძელებას იწვევს, თითების გადასხვაფერებას და ქალის ჰორმონების მოჭარბებას. ფროლიხის სინდრომი, რომელიც ცხიმებს აგროვებს მამაკაცის სათესლე პარკებში, ხოლო თეძოებს ქალივით ამრგვალებს, მოსალოდნელია, სტანჯავდა ეხნატონს. პირველი სინდრომით დაავადებული მამაკაცები, როგორც წესი, იმპოტენციით იტანჯებიან, ხოლო ფროლიხის სინდრომი უშვილობის პირველი მაპროვოცირებელი ფაქტორია. როგორც ისტორიული ქრონიკები იუწყებიან, ეხნატონს არც ერთი აწუხებდა და არც მეორე. ის გამოირჩეოდა განსაკუთრებული მამაკაცურობით, ჰყავდა მრავალრიცხოვანი ჰარემი, ორი ოფიციალური ცოლი და ათობით შვილი. ულამაზესმა ნეფერტიტმა მას 6 გოგონა აჩუქა.

ტუტანჰამონი ფარაონის მეორე ცოლის – კიიას ვაჟი, რომლის შესახებ ცოტა რამაა ცნობილი, სავარაუდოდ, გვარის გამგრძელებელი იყო.

უფოლოგები მიიჩნევენ, რომ ეხნატონი უცხოპლანეტელთა ექსპერიმენტის შედეგია და ცდილობენ მიაღწიონ ეგვიპტის ხელისუფლების თანხმობას შეისწავლონ ეხნატონის გვამის ნაშთების დნმ ამ ვარაუდების დასამტკიცებლად.

# მიწისძვრა

მიწისძვრა – ხანდახან ჯობს ამაზე არც ვიფიქროთ, რადგან ისეთი უმწეობის შეგრძნება ჩნდება, რომ ამან შეიძლება ფსიქიკაზე მართლაც მძიმედ იმოქმედოს.



რეგისტრირებულია, რომ დედამიწაზე ყოველწლიურად 500 000 მიწისძვრა ხდება. მათ შორის დაახლოებით 100 000 გრძნობს ადამიანი. უმეტესობა კი საერთოდ ვერ გებულობს. 8,8 ბალიანი მიწისძვრის შედეგად 27 თებერვალს ქალაქი კონსეპსონი დასავლეთისკენ 3 მეტრით გადაიხარა. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, დღე-ღამის 24 საათიანმა რეჟიმმაც ცვლილება განიცადა.

ასეთი შეხედულება არსებობს, რომ „მიწისძვრის ამინდი“ სინამდვილეში მითია, ამბობენ აშშ-ს სახელმწიფო გეოლოგიური სამსახურის სწავლულები. მიწისძვრა შეიძლება მოხდეს ყინვაშიც, შუაგულ ზაფხულის პაპანაქებაშიც, წვიმაშიც და ყოველთვის, როცა ამის პირობები მომზადება მიწის წიაღში. არც ამინდის სტიქიური შემოტევები, არც ატმოსფერული წნევების ცვლა არ არის იმდენად ზიანის მომტანი, როგორიც შეიძლება იყოს მიწის სიღრმიდან ამომავალი ბიძგები.

2004 წლის ინდონეზიის მიწისძვრამ, რომელიც 9,3 ბალით აღინიშნება რამდენადმე შეცვალა დედამიწა. პლანეტა სხვანაირი გახდა.

გეოლოგიური თვალსაზრისით, მიწისძვრების კუთხით, ყველაზე აქტიურ რეგიონად დედამიწაზე ე.წ. „წყნარი ოკეანის ცეცხლოვანი რკალი“ ითვლება. ის მთელი წყნარი ოკეანის პერიმეტრს მოიცავს სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის რაიონის ნაპირების, იაპონიის, ჩინეთის და რუსეთის ჩათვლით. სწორედ აქ ხდება ყველაზე ხშირი მიწისძვრები მსოფლიოში.

ნავთობის მოპოვება თავისთავად იწვევს შედარებით მსუბუქ მიწისძვრებს, თუმცა ამის შესახებ არ ლაპარაკობენ.

დღესდღეობით დაფიქსირებული მიწისძვრებიდან ყველაზე მძლავრი 1960 წელს 22 მაისს მოხდა ჩილეში. იგი 9,5 ბალიანი იყო.

ჩილეს მიწისძვრის შემდეგ პლანეტა რამდენიმე დღის განმავლობაში ირყეოდა.

ყველაზე მომაკვდინებელი მიწისძვრა 1556 წლის 23 იანვარს ჩინეთში მოხდა, მაშინ რეგიონის 830 000 მაცხოვრებელი დაიღუპა.

მოამზადა **ანა ვადაჭკორიამ**

**გამოვიდა საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის ანზორ ბაბუხადიას წიგნის „შეცდომა თუ დანაშაული?!“ მეოთხე ნაწილი.**

„თუ რუსეთთან ეკონომიკური კავშირი გავწყვიტეთ, წარმოუდგენელი კატასტროფა გველის“, „ვის ხარჯზე მდიდრდებიან ჩინოვნიკები?“ „ქართულ სახელმწიფოს მიზანმიმართულად ანადგურებენ“ და ა.შ. ეს იმ სტატიების მცირე ჩამონათვალია, რაც ამ წიგნშია თავმოყრილი.

ავტორი აქ ეხება დღევანდელობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს და გვთავაზობს გამოსავლის გზებს. ეს გამოცემა მნიშვნელოვანი შენაძენია საზოგადოებრივი პრობლემებით დაინტერესებული მკითხველებისთვის.




# ასტროლოგიური პროგნოზი


**ვერძი** – უცნობთან დაწყებული თანამშრომლობა თქვენი კარიერისთვის ძალიან სასარგებლო აღმოჩნდება. ფინანსური საკითხების მოგვარებისას არ აჩქარდეთ – უფრო გათვლილი და ბალანსირებული მოქმედება გმართებთ. ოჯახში მომწიფებული კონფლიქტის განმუხტვა მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.


**კურო** – ყველას, განსაკუთრებით კი, საკუთარი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნი ხართ და უარს ვერავისგან აიტანთ. გონება კარგად გიმუშავებთ და ფინანსურ პრობლემებს შესანიშნავად აგვარებთ. ოჯახში ძალიან მშვიდი და ჰარმონიული სიტუაცია გაქვთ.


**ტყუპები** – ტყუპების ენერგეტიკული მდგომარეობა საკმაოდ არამდგრადია და კარგი იქნება, თუ სიმშვიდეს და კეთილგანწყობას შეინარჩუნებთ. თუმცა თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე წუწუნი ნამდვილად არ მოგიწევთ.


**კირჩხიბი** – სიმშვიდე და გაწონასწორება გჭირდებათ. იმ უამრავი საქმიანი წინადადებიდან, რომლებსაც ამ დღეებში შემოგთავაზებენ, არცერთი ივარგებს და ამდენად, დაფიქრებაც არ ღირს.


**ლომი** – თუ ამ კვირას ახალი სამსახურებრივი რომანით დაიწყებთ, აუცილებლად გამიჯნეთ ერთმანეთისგან საქმე და პირადი საკითხები. სასიყვარულო ურთიერთობებში კი მართლაც ცხელი დღეები გაქვთ.


**ქალწული** – თქვენი კარიერის საკითხით, ბოლოს და ბოლოს, საკმაოდ კომპეტენტური პირებიც დაინტერესდებიან და დიდი ხნის ნანატრ წარმატებასაც მიაღწევთ.


**სასწორი** – ერთობლივ პროექტზე იწყებთ მუშაობას, რომელიც აუცილებლად წარმატებით დაგვირგვინდება და ამ საქმიდან სხვებზე მეტად თქვენ ისარგებლებთ. ფინანსების საქმე ნამდვილად გამოსწორების გზაზეა.


**მორიელი** – ეს კვირა საკმაოდ ნელა და მძიმედ იწყება, მაგრამ ყველასთვის და განსაკუთრებით თქვენთვის, მოულოდნელი შედეგებით დასრულდება.


**მშვილდოსანი** – მხოლოდ კარიერაზე ფიქრობთ და თქვენი პირადი ცხოვრება უკანა პლანზე გადადის. არ არის გამორიცხული, რომ ამის გამო საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა გამოგრჩეთ და გვიან მიხვდეთ.


**თხის რქა** – სარისკო საქმეებს, ჯობია თავი აარიდოთ. განსაკუთრებით კი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს ერიდეთ. ოჯახში თითქმის ერთგვარი გაუცხოება შეინიშნება, მაგრამ დროებით ერთმანეთისგან დასვენება ყველასათვის სასარგებლო აღმოჩნდება.


**მერწყული** – საკმაოდ დაძაბული მოვლენების ცენტრში აღმოჩნდებით და მაქსიმალური შემართების და მოთმინების გამოჩენა მოგიწევთ.


**თევზები** – ფინანსური საკითხები ამ კვირაში ნაკლებად გადარდებთ, ოჯახის წევრებსაც საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვთ, მაგრამ კვირის ბოლოსთვის ყველაფერი მოგვარდება.